ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
24 ნოემბერი შაბათი 2012 №279 (13 885) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინ ნაბიჯი უკან ფიჯი

საპარლამენტო ბიბლიოთეკა
ილია ჭავჭავაძის სახელობის



13







დღეს 15:00

## საქართველო–ფიჯი

# დინამო დილა მატჩი

18:00

დინამო არენაზე

2-3



ფოტო: fcdinamo.ge

*ლელოს სტუმარი.* რომან რურუა



## ჩემპიონთა ჩემპიონი

დიდ ფალავანს ხვალ **70 წელი** უსრულდება

10

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XVI ტურის წინათქმა

**24.11. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 17:00**
**ზესტაფონი–კოლხეთი**
ურთიერთშეხვედრები:
15 მატჩი, 10 მოგება, 2 ფრე, 3 წაგება. ბურ. 25-8
დისკვალიფიკაცია:
ზესტაფონი - არავინ; კოლხეთი - წაზრია

**24.11. განმუხური. 14:00**
**ზუგდიდი–ვიტ ჯორჯია**
ურთიერთშეხვედრები:
16 მატჩი, 2 მოგება, 4 ფრე, 10 წაგება. ბურ. 9-28
დისკვალიფიკაცია:
ზუგდიდი - ქოჩალია; ვიტ ჯორჯია - არავინ

**24.11. ბოლნისი. თ. სტეფანია. 14:00**
**სიონი–ჩიხურა**
ურთიერთშეხვედრები:
3 მატჩი, 2 მოგება, 0 ფრე, 1 წაგება. ბურ. 4-2
დისკვალიფიკაცია:
სიონი - არავინ; ჩიხურა - ნ. კვასხვაძე

**24.11. რუსთავი. ფოლადი. 14:00**
**მეტალურგი–დინამო (ბთ)**
ურთიერთშეხვედრები:
5 მატჩი, 5 მოგება, 0 ფრე, 0 წაგება. ბურ. 8-2
დისკვალიფიკაცია:
მეტალურგი - სუხიაშვილი, გეწაძე; დინამო (ბთ) - არავინ

**24.11. მარტვილი. ცენტრალური. 14:00**
**მერანი–ტორპედო**
ურთიერთშეხვედრები:
5 მატჩი, 2 მოგება, 0 ფრე, 3 წაგება. ბურ. 5-8
დისკვალიფიკაცია:
მერანი - არავინ; ტორპედო - მ. გიგაური

**24.11. თბილისი. დინამო არენა. 18:00**
**დინამო (თბ)–დილა**
ურთიერთშეხვედრები:
46 მატჩი, 39 მოგება, 6 ფრე, 1 წაგება. ბურ. 136-22
დისკვალიფიკაცია: არავინ
LIVE. რეპორტაჟი მეორე არხზე

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშვ. | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშვ. | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშვ. | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 15 | 11 | 3 | 1 | 43 | 13 | 36 | 7 | 7 | 0 | 0 | 30 | 8 | 21 | 8 | 4 | 3 | 1 | 13 | 5 | 15 |
| 2 | დილა | 15 | 11 | 1 | 3 | 27 | 8 | 34 | 8 | 5 | 0 | 3 | 16 | 8 | 15 | 7 | 6 | 1 | 0 | 11 | 0 | 19 |
| 3 | ტორპედო | 15 | 9 | 2 | 4 | 30 | 13 | 29 | 8 | 6 | 1 | 1 | 17 | 5 | 19 | 7 | 3 | 1 | 3 | 13 | 8 | 10 |
| 4 | ჩიხურა | 15 | 9 | 2 | 4 | 22 | 14 | 29 | 8 | 6 | 1 | 1 | 13 | 4 | 19 | 7 | 3 | 1 | 3 | 9 | 10 | 10 |
| 5 | ზუგდიდი | 15 | 7 | 5 | 3 | 19 | 12 | 26 | 7 | 5 | 2 | 0 | 12 | 5 | 17 | 8 | 2 | 3 | 3 | 7 | 7 | 9 |
| 6 | ზესტაფონი | 15 | 7 | 4 | 4 | 20 | 12 | 25 | 7 | 3 | 2 | 2 | 5 | 3 | 11 | 8 | 4 | 2 | 2 | 15 | 9 | 14 |
| 7 | მეტალურგი | 15 | 5 | 2 | 8 | 9 | 19 | 17 | 7 | 3 | 1 | 3 | 5 | 9 | 10 | 8 | 2 | 1 | 5 | 4 | 10 | 7 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 15 | 4 | 4 | 7 | 10 | 20 | 16 | 8 | 1 | 3 | 4 | 5 | 9 | 6 | 7 | 3 | 1 | 3 | 5 | 11 | 10 |
| 9 | მერანი | 15 | 4 | 2 | 9 | 7 | 24 | 14 | 7 | 3 | 1 | 3 | 4 | 9 | 10 | 8 | 1 | 1 | 6 | 3 | 15 | 4 |
| 10 | სიონი | 15 | 3 | 5 | 7 | 11 | 22 | 14 | 7 | 0 | 4 | 3 | 3 | 9 | 4 | 8 | 3 | 1 | 4 | 8 | 13 | 10 |
| 11 | დინამო (ბთ) | 15 | 2 | 3 | 10 | 16 | 34 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 10 | 15 | 7 | 7 | 0 | 2 | 5 | 6 | 19 | 2 |
| 12 | კოლხეთი | 15 | 0 | 3 | 12 | 5 | 28 | 3 | 8 | 0 | 2 | 6 | 2 | 13 | 2 | 7 | 0 | 1 | 6 | 3 | 15 | 1 |

# ამ მატჩს სავსე სტადიონი მოუხდება!

დღეიდან ჩვენს ფეხბურთელებს „გამძლეობის ტესტი“ ეწყებათ: როგორი საქმეა, 29 დღის განმავლობაში 7 მატჩის ჩატარება?!. ანუ, თითქმის ყოველ მეოთხე დღეს ტური გველოდება და უნდა ვისურვოთ, რომ უამინდობამ გარკვეული კორექტივები არ შეიტანოს კალენდარში. არადა, ეს „კორექტივები“ არავის აწყობს: კალენდარი ისეა შედგენილი, რომ პირველი ეტაპი 22 დეკემბერს უნდა დასრულდეს. პირველი ეტაპის შემდეგ კი, მოგეხსენებათ, ზედა და ქვედა ექვსეულები გაირკვევა, თუმცა, ერთის თქმა კი დაბეჯითებით შეიძლება: თბილისის „დინამოსა“ და გორის „დილას“ ზედა ექვსეულში მოხვედრა გარანტირებული აქვთ. ეგ კი არა, სადღეისოდაც ისეთი სიტუაციაა და ჩემპიონატის დაწყების წინაც ვივარაუდეთ, რომ ოქროს მედლების უპირველესი კანდიდატები სწორედ „დინამო“ და „დილა“ იქნებოდნენ. და აი, დღეს არამხოლოდ XIV ტურის, არამედ, საერთოდ, პირველი ეტაპის ცენტრალური მატჩია: პირველ ადგილზე მყოფმა „დინამომ“ თავის უახლოეს მდევარსა და უშუალო კონკურენტს „დილას“ უნდა უმასპინძლოს! ახალი რა უნდა ვთქვათ: ამ ორივე გუნდის ლიდერობა სრულიად კანონზომიერია და იმის თქმაც შეიძლება, „დინამოც“ და „დილაც“ ერთნაირად იმსახურებენ ჩემპიონობას. თუმცა, მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერ გათამაშებას ერთადერთი გამარჯვებული უნდა ჰყავდეს და იმის იმედიც დავიტოვოთ, რომ უძლიერესის ვინაობა „დინამოსა“ და „დილას“ პაექრობებში გაირკვევა და არა... კაბინეტში. თუმცა, სეზონის ბოლომდე ჯერ დიდი დროა დარჩენილი და, რაც მთავარია, ყველანი დღევანდელი მატჩის მოლოდინში ვართ! აქვე, ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, რომ სეზონის ორი გამორჩეული გუნდის დაპირისპირებამ... ცარიელი ტრიბუნების წინ არ ჩაიაროს: „დინამოსა“ და „დილას“ პაექრობა მართლაც იმსახურებს სოლიდურ აუდიტორიას...



2012 წლის 15 სექტემბრამდე ჩემპიონატში „დილას“ „დინამოსთვის“ მოგებული არ ჰქონდა

ფოტო: www.fcdinamo.ge

## დინამო VS დილა: რეკორდების დევნაში

მიმდინარე სეზონში თბილისის „დინამო“ ერთადერთი გუნდია, საშინაო მატჩებში ასპროცენტიანი შედეგი რომ აქვს; გორის „დილა“ ასევე ერთადერთი გუნდია, სტუმრად არც ერთი შეხვედრა რომ არ წაუგია (6 მოიგო, 1 ფრედ დაამთავრა); თუმცა, თბილისის „დინამოს“ ლიდერობა (ისე როგორც საჩემპიონო ამბიცია) მაინც „ჩვეულებრივ“ ამბად უნდა მივიჩნიოთ, აი, „დილა“ კი პირველად არის ჩართული „საჩემპიონო რბოლაში“. მოკლედ, დღევანდელ მატჩს რომ ინტრიგა აქვს, მსგავსი ამ სეზონში ჯერ არ ყოფილა; არადა, სტატისტიკას თუ გადავხედავთ, საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი ყველაზე „სასურველი“ მეტოქე სწორედ გორის „დილაა“. თავად განსაჯეთ: 1990 წლიდან დაწყებული ამ სეზონამდე „დინამოს“ არც ერთი მატჩი არ ჰქონდა წაგებული გორის „დილასთან“! და აი, ამა წლის 15 სექტემბერს ეს სერია შეწყდა: „დილას“ მთავარი მწვრთნელის რანგში სადებიუტო მატჩი ჰქონდა **გიორგი დარასელიას** და იმის გარდა, რომ ამ სეზონში გორელებმა პირველად გაიმარჯვეს, ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში პირველად დაამარცხეს თბილისის „დინამო“! აი, სწორედ აქედან დაიწყო დარასელიას გუნდის მართლაც საოცარი წინსვლა: „დილამ“ ზედიზედ 11 მატჩი ისე მოიგო, საკუთარ კარში მხოლოდ ერთი ბურთი (ისიც — პენალტით) გაუშვა! საერთოდაც, უმაღლეს ლიგაში ყველაზე ნაკლები გოლი (8) სწორედ „დილას“ აქვს გაშვებული, რაც, რა თქმა უნდა, გუნდის ხორვატი მეკარის, 33 წლის **მარინ სკენდერისა** და ერთიმეორეზე გამოცდილი მცველების დამსახურებაა. ჰოდა, კიდევ ერთი ინტრიგაც „გამოჩნდა“: ყველაზე საიმედო დაცვის მქონე გუნდი სტუმრად ეთამაშება ჩემპიონატის ყველაზე შედეგიან გუნდს! ჰო, არ დაგვავიწყდეს, რომ მიმდინარე სეზონში **დუშან უჰრინის** დამოძღვრილი „დინამო“ საოცარ შედეგიანობას უჩვენებს — გუნდმა მეტოქეთა კარში 43 გოლი გაიტანა! არც ის დაგვავიწყდეს, რომ საუკეთესო ბომბარდირთა დავაში „დინამოს“ სამი ფეხბურთელია დაწინაურებული: 27 წლის **ჯაბა დვალი** (12 გოლი), 32 წლის **ჩისკო** და 29 წლის **მიკელ ალვარო** (9-9 გოლი). აქვე, რახან შედეგიანობაზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში გორის „დილას“ სარეკორდო მარცხი სწორედ დღევანდელ მეტოქესთან აქვს ნაწვნევი: 2005 წლის 2 აპრილს, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დებიუტი ჰქონდა **კახა ცხადაძეს** და ის მატჩი ჩვენმა ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა 9:0 მოიგო! ის შეხვედრა იმითაც დაგვამახსოვრდა, რომ „დინამოს“ ცენტრფორვარდმა **ლევან მელქაძემ** „დილას“ კარში 5 (!) გოლი გაიტანა, ალარაფერს ვამბობთ საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებული **გოჩა ჯამარაულის** მართლაც ზღაპრულ თამაშზე...

...„დინამო“ და „დილა“ უმაღლესი ლიგის „სტაჟიანი“ წევრები არიან და პირველი დაპირისპირებაც გვინდა გავიხსენოთ: პირველ ეროვნულ ჩემპიონატში ორივე გუნდს წარუმატებელი სტარტი ჰქონდა (ორ მატჩში თითო ქულა მოაგროვეს). განსაკუთრებული მოულოდნელობა „დინამოს“ (იმდროინდელ „იბერიას“) მარცხიანი დებიუტი იყო: ფოთის „კოლხეთთან“ საშინაო წაგებას (0:1) სტუმრად რუსთავის „გორდასთან“ ფრე (1:1) მოჰყვა (ძალიან მაგარი თამაში იყო!); და აი, მესამე ტურში სწორედ „დილასთან“ მატჩში იყო, „დინამომ“ („იბერიამ“) ეროვნულ ჩემპიონატში პირველი გამარჯვება რომ მოიპოვა. **დავით ყიფიანის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამომ“ გორელებს შანსი არ დაუტოვა და 5:0 დაამარცხა. ამ მატჩში გოლები გაიტანეს: **თემურ ქეცბაიამ** (2), **კახა ცხადაძემ, გრიგოლ ცაავამ** და **გია გურულმა.** კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: იმ სეზონში თემურ ქეცბაიამ ორჯერ შეასრულა „დუბლი“ და ორივეჯერ „დილასთან“ მოახერხა: „დინამომ“ გორში 3:0 მოიგო და ორი გოლი ჩვენი ნაკრების დღევანდელმა თავკაცმა გაიტანა, ერთიც — **დავით ყიზილაშვილმა.**

დაბოლოს, დღევანდელი მატჩის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზეც: გორის „დილა“ რომ კლუბის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ სეზონს ატარებს, ეს არავისთვის არახალია; ისე როგორც კლუბის ისტორიაში ნაჩვენები სარეკორდო შედეგი — ზედიზედ 11 გამარჯვება! შესაძლოა, ვცდებით, მაგრამ მსგავსი რამ საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში მხოლოდ ერთ სეზონში გვახსენდება: მესამე ეროვნულ ჩემპიონატში (1991-92) **რევაზ ძოძუაშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე თბილისის „დინამომ“ ასევე 11 მატჩი მოიგო ზედიზედ! თანაც, „დინამომ“ მეტოქეთა კარში 45 გოლი გაიტანა და აქედან 15 **კახა კაჭარავას** ანგარიშზე იყო...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო-დილა. მატჩის წინ. დინამოს პრესკონფერენცია

# დინამოელები მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობენ


დუშან უჰრინი

დღეს საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის გადამწყვეტი მატჩია. "დინამო არენაზე" ლიდერი "დინამო" მდევარ "დილას" მასპინძლობს და დედაქალაქელთა და გორელთა დაპირისპირებაში გაირკვევა, თუ ვინ გახდება "ზამთრის ჩემპიონი".

"დინამომ" გუშინ საკუთარ სტადიონზე ღია ვარჯიში გამართა, რასაც პრესკონფერენცია მოჰყვა. მედიის ინტერესი თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა და ფეხბურთელებმა, ჩისკომ და გიორგი მერებაშვილმა დააკმაყოფილეს.

**- რის ხარჯზე შეუძლია "დინამოს" "დილას" დამარცხება?**

- ჩვენი ერთ-ერთი უპირატესობა შინაური კედლებია, თუმცა, რა თქმა უნდა, სხვა კოზირების იმედიც გვაქვს. არ ვიცი რატომ, მაგრამ გორში "დილასთან" სუსტად ვითამაშეთ, ჩვენი შესაძლებლობების ასი პროცენტი ვერ გამოვავლინეთ და ფეხბურთელებს თითქოს შიშიც ეტყობოდათ. საპასუხო მატჩში მსგავს სურათს გამოვრიცხავ, "დინამო" მოედანზე მოსაგებად გავა.

**- მეტოქის შესახებ რას გვეტყვით?**

- "დილას" ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს, განსაკუთრებით კი საიმედო დაცვით გამოირჩევა. ჩვენმა მეტოქემ საინტერესო ტრანსფერებიც განახორციელა, თუმცა არ ვიცი, შეძლებენ თუ არა ასე უცებ "დილას" ახალწვეულები შესაძლებლობების სრულად გამოვლენას.

**- დანაკლისი ხომ არ გაქვთ?**

- ის თერთმეტი ფეხბურთელი, რომელიც "დილასთან" შეხვედრისთვის შევარჩიე, სრულ მზადყოფნაშია. თუმცა ვინ მოიაზრება ამ თერთმეტეულში, ამას ხვალ შეიტყობთ.

**- "დინამო"-"დილას" ექვსი მსაჯი მოემსახურება. ამაზე რა აზრის ხართ?**

- ეს ნოვაცია ევროპის ბევრ ქვეყანაში დაინერგა და მხოლოდ მივესალმები. იმედი მაქვს, მსაჯების რაოდენობის გაზრდა მათი შეცდომების რიცხვს მინიმუმამდე დაიყვანს.

**- "დინამოში" სინჯებზე მყოფი განელი მცველის, დანიელ ადოს თაობაზე გადაწყვეტილება ხომ არ მიგიღიათ?**

- მისი საკითხი ორ-სამ დღეში გადაწყდება.

## დუშან უჰრინი:

- ძალიან მნიშვნელოვანი მატჩის მოლოდინში ვართ. ჩვენი მეტოქეა გუნდი, რომელმაც ზედიზედ ბოლო თერთმეტი შეხვედრა მოიგო, საიდანაც ათში გოლი არ მიუღია. მეტოქეს პატივს ვცემთ, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ლიდერები ვართ და შინ ვთამაშობთ, მიზნად მხოლოდ გამარჯვება გვაქვს დასახული. დიდი სურვილი მაქვს, მაყურებელს საინტერესო მატჩი შევთავაზოთ.


გიორგი მერებაშვილი და ჩისკო

## გიორგი მერებაშვილი:

- კარგად გვესმის, რომ მძიმე შეხვედრა იქნება, მაგრამ მეც და ჩემი თანაგუნდელებიც მზად ვართ, გამარჯვებისთვის მაქსიმუმი გავიღოთ. "დილა" ძლიერი მეტოქეა, მაგრამ დიდი იმედი გვაქვს, რომ მიზანს სწორედ ჩვენ მივაღწევთ. ლიდერები ვართ და ამ პოზიციის კიდევ უფრო განმტკიცება გვსურს.

## ჩისკო:

- რთული მატჩი გველის, მაგრამ ლიდერები ვართ და გამარჯვება გვმართებს. "დინამო" ამ საპასუხისმგებლო შეხვედრას კარგ ფორმაში მყოფი ხვდება და სამი ქულის მოპოვების დიდი იმედი გვაქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

ლეგიონერები



იტალიურ ინტერნეტგამოცემა "კალჩომერკატოს" აქვს რუბრიკა, სადაც მკითხველს ახალგაზრდა ტალანტებს წარუდგენს. ამჯერად, იტალიური გამოცემის ყურადღება საქართველოს ნაკრების შემტევმა ნახევარმცველმა ჯანო ანანიძემ მიიქცია.

რუბრიკაში ჯანოს განვლილი კარიერის ისეთი დეტალები გაიხსენეს, რაც ყველამ კარგად იცის. ამიტომ, მხოლოდ ფრაგმენტებს გთავაზობთ.

### კალჩომერკატო:

# ანანიძე პირლოს და მესის ნაზავია

*"რუბრიკის წინა ნომერში დონეცკის "შახტარის" სომეხ ფეხბურთელზე, ჰენრიხ მხითარიანზე მოგითხრობდით. ამჯერადაც "კავკასიურ ზონაში" ვრჩებით – რუბრიკის მორიგი გმირი მოსკოვის "სპარტაკის" ქართველი პლეიმეიკერი ჯანო ანანიძეა.*

*ქობულეთი პატარა ზღვისპირა ქალაქია, სადაც ზაფხულში დასვენებას ამჯობინებენ ქართველები და მიმდებარე ქვეყნების მოსახლეობა.*

*მაგრამ ბოლო ორი წელია, ქობულეთი ცნობილი იმითაც გახდა, რომ იქ ნიჭიერი ფეხბურთელი ჯანო ანანიძე დაიბადა, რომელიც ევროპულ ფეხბურთში ადგილის დამკვიდრებას ახლა ცდილობს.*

*ჯანო კახა კალაძის თანამემამულეა, რომელმაც კარიერა ახლახან დაასრულა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი გახდა. ანანიძის კარიერა კი ახლა იწყება.*

*2009 წლის ოქტომბერში, სანამ 17 წლის გახდებოდა, ანანიძემ მოსკოვურ დერბიში "ლოკომოტივს" გოლი გაუტანა და ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა, რომელსაც რუსეთის პრემიერლიგაში თავი გამოუჩენია.*

*წლეულს უკვე ჩემპიონთა ლიგის მატჩებში ვიხილეთ, "ბარსელონას" წინააღმდეგ კი 28 წუთი ითამაშა.*

## დახასიათება

*ჯანო უცნაური თვისებების მქონე რეჟისორია. გარკვეულწილად, ანდრეას პირლოს ჩამოჰგავს, მაგრამ ამავე დროს, მეტოქის საჯარიმოში დაახლოებით იგივე სტილში შეუძლია შეღწევა, როგორც ლიონელ მესის. ეს კარგი სინთეზია ნახევარმცველისთვის, რომელიც თამაშსაც ალაგებს და კარგი დრიბლინგითაც გამოირჩევა. და ეს ყველაფერი გაერთიანებულია მშვენიერ აზროვნებასთან. თუმცა, მოსკოველები მის როლზე ჯერ ჩამოყალიბებული არ არიან. მოედნის ცენტრის გარდა, ჯანოს შეუძლია ითამაშოს საყრდენად და ორივე ფლანგის ნახევარმცველად.*

## საბაზრო ღირებულება

მას ყურადღება მხოლოდ ახლა არ მიაქციეს. დიდი ხანია, რაც "არსენალი" და "ლივერპული" აკვირდებიან, მაგრამ მათ მცდელობას შედეგი არ მოუტანია. "სპარტაკის" სპორტული დირექტორი დიმიტრი პოპოვი მოლაპარაკებებს უარყოფდა, თუმცა დავადგინეთ, რომ ბოლო 2,5-წელია, რაც "სპარტაკს" ანანიძის თაობაზე უკავშირდებიან.

ასეთ შემთხვევაში, ანანიძისთვის ბევრად უფრო ფართო კარი გაიღება, ვიდრე ეს რუსეთის პრემიერლიგის სარბიელია. ჯანოს "სპარტაკთან" კონტრაქტი 2014 წელს უმთავრდება. მისი ტრანსფერი ჯერ კიდევ ხელმისაწვდომია, რადგან დაახლოებით 2 მილიონ ევროდ აფასებენ და აუქციონის დაწყებამდე მისით დაინტერესება ღირს.

*და თუ რომელიმე კლუბი "სპარტაკიდან" მის გამოსყიდვას მოახერხებს, ჯანო ანანიძე კარგად თამაშს უფრო მაღალი დონის ჩემპიონატშიც მოახერხებს".*

**მერაბ მამულაშვილი**



ნიკოლოზ გელაშვილი

# გელაშვილმა კიოლნს გაუტანა

**ნიკოლოზ გელაშვილმა** გერმანულ კარიერაში მეორე გოლი გაიტანა. ეს გუშინ "კიოლნისა" და "ბოხუმის" მატჩში მოხდა. გელაშვილი, რომელიც ბოლო დროს "ბოხუმის" 18-კაციან განაცხადშიც აღარ ჩანდა, მოედანზე 88-ე წუთზე შევიდა, 90-ეზე კი მეტოქის კარი დალაშქრა. ამ დროისთვის "კიოლნს" თამაშის ბედი უკვე სათავისოდ ჰქონდა გადაწყვეტილი და ქართველი თავდამსხმელის გოლი მხოლოდ პრესტიჟისა გამოდგა. "კიოლნმა" 3:1 გაიმარჯვა.

იმედია, ეს გოლი გელაშვილის გერმანულ კარიერაში გარდამტეხი აღმოჩნდება და იგი "ბოხუმის" ძირითადში მოხვედრასაც მოუხშირებს და საგოლე მონაგარსაც მალე გაზრდის. ამავე მატჩში გელაშვილის თანაგუნდელმა **ალექსანდრე იაშვილმა** სრულად ითამაშა.

კვლავ "ლე მანის" სათადარიგოთა სკამზე იჯდა ახლად გამოჯანმრთელებული **გიორგი მაკარიძე**. მისი გუნდი შინ "გენგამთან" 0:2 დამარცხდა.

უკრაინის პრემიერლიგაში "კრივბასი" "ჩერნომორეცს" ეწვია და 0:2 წააგო. ამ შეხვედრაში კრივბასელ **უჩა ლობჟანიძეს** მონაწილეობა არ მიუღია.

რუმინულ "გაზ მეთანში" კი კვლავ არ ჩანს **აკაკი ხუბუტია**. საქართველოს ნაკრების მცველის გარეშე მისმა გუნდმა შინ "პეტროლულს" 2:0 სძლია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სტუმრების მოლოდინში

# მალაგა ჩამოვა

შარშან საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ სტადიონ „ბენდელაზე“ (სამედიცინო უნივერსიტეტი) **ზაზა ბენდელიანის** ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა - მთავარი პრიზისთვის 16 გუნდი იბრძოდა, მათ შორის, არნემის “ვიტესი”.

„საბურთალომ“ ტურნირი წლეულსაც დაგეგმა. წინასწარი მონახაზით, „ვიტესის“ გარდა, ორგანიზატორებს საქართველოს ასაკობრივი ნაკრების მონწვევაც სურდათ, რადგან მის მწვრთნელს გუნდის მომზადების, სელექციისა და შეთამაშების საშუალება ჰქონდეს. შესარჩევ ციკლამდე ხომ ჩვენი ნაკრებები ტურნირებით განებივრებულები არ არიან.

“საბურთალოს” პრეზიდენტი, „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ დამფუძნებელი **ტარიელ ხეჩიკაშვილი** ამბობს, რომ ჰოლანდიურ კლუბს წლეულსაც ელიან, რადგან **მერაბ ჟორდანიას** კლუბთან პარტნიორობა აკავშირებთ.



ტარიელ ხეჩიკაშვილი

„საბურთალოს“ პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი **კახა ჭუმბურიძე** ესპანეთში იმყოფებოდნენ და “მალაგას” ხელმძღვანელობას შეხვდნენ. პარტნიორობის გარდა, სხვა საკითხებზეც დაილაპარაკეს და შევიტყვეთ, რომ ტურნირზე “მალაგას” 16-წლამდელთა გუნდის თამაშიც გადაწყდა.

*“გუშინ “მალაგას” ხელმძღვანელობასთან ერთად, “საბურთალოს” მფლობელსა და გენერალურ დირექტორს შევხვდი. მათ დაათვალიერეს “მალაგას” საფეხბურთო სკოლა, ჩვენი მუშაობის პრინციპებსა და მეთოდებს გაეცნენ. ისინი სწორი მიმართულებით მუშაობენ და სწორედ ეს გახდა საფუძველი, რომ ჩვენ ორ კლუბს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა.*

*ამას გარდა, “მალაგას” 16-წლამდელთა გუნდი, რომელსაც მე ვავარჯიშებ, დეკემბერში თბილისში ჩამოვა და საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს”* – გვითხრა **ანდრეს კარასკომ**.

შეგახსენებთ, რომ კარასკო თბილისის „დინამოს“ აკადემიას ხელმძღვანელობდა, მაგრამ წლეულს ივლისში მუშაობა „მალაგას“ აკადემიაში კოორდინატორად და 16-წლამდელთა გუნდის მთავარ მწვრთნელად დაიწყო.

“ლელოსთან” კარასკომ არ დამალა, რომ შესაძლოა, “საბურთალოსთან” უფრო საქმიანი ურთიერთობაც დაამყაროს, თუ „საბურთალო“ საინტერესო წინადადებით მომმართავს, საქართველოში სიამოვნებით დავბრუნდებიო.

აქტუალური ინტერვიუ

# ლექსო თოფურია: ჩვენთვის მთავარი ფეხბურთელების გაზრდაა

**“ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, “ლოკომოტივს” წარმატებები უნდა ვუსურვო. ამ კუთხით საქართველოში საუკეთესოები არიან. ამის მაგალითად კლუბის გაზრდილთა გვარები გამოდგება - ნიკა ჭანტურია, გიორგი არაბიძე და ლევან ყენია” – ასე გამოეხმაურა ერთ-ერთი მკითხველი წერილს, სადაც გიორგი არაბიძის “მალაგაში” სტაჟირებაზე გაუწყებდით და მოითხოვდა მისი ბავშვობის მწვრთნელის დასახელებას, თითქოს, ჩვენ ამას საგანგებოდ ვმალავდით.**

**გიორგი არაბიძე 5 წლიდან თბილისის “ლოკომოტივში” ლაშა გაფრინდაშვილთან იზრდებოდა. მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამ არის: მას შემდეგ, რაც გუნდის მეპატრონე ლექსო თოფურია გახდა, “ლოკომოტივმა” ბევრი ტიტული ვერ მოიპოვა, უმაღლესი ლიგიდანაც გავარდა და ახლა პირველში გამოდის, მაგრამ ქართული ფეხბურთის მომავლისა და ნიჭიერი თაობების გასაზრდელად იმდენი გაკეთდა, რაც ძალიან ბევრ გუნდს არ გაუკეთებია. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ოთხეულში მოხვედრილი ვასილ მაისურაძის 17-წლამდელთა ნაკრებში 6 ფეხბურთელი “ლოკომოტივიდან” იყო.**

**ახლახან თოფურიამ გუნდში ესპანელი სპეციალისტები მიიწვია, რომლებიც გელა სანაიასა და გუნდის სამწვრთნელო შტაბს ფეხბურთელების სწორად გაზრდაში ეხმარებიან. მცირე ხნის წინ კი ჩამოიტანეს ვიდეოაპარატურა, რომელიც 3 კამერაზე გადაღებულ მასალას აანალიზებს, ადგენს მოთამაშეთა და გუნდის ტექნიკურ-ტაქტიკურ მაჩვენებლებს, ვინ რამდენი კილომეტრი ირბინა, რა სისწრაფით, რა მანძილებია მცველებს შორის, ვინ რა სამუშაო შეასრულა და ა.შ.**

**მსგავსი აპარატურა დღემდე არც ერთ ქართულ კლუბს არ გამოუყენებია და ესეც გვაფიქრებინებს, რომ “ლოკომოტივში” მართლა სერიოზული მუშაობენ.**

**საერთოდაც, ლექსო თოფურია ქართულ ფეხბურთში “ნოუ-ჰაუს” დანერგვით არის ცნობილი და ვფიქრობთ, მკითხველს მასთან ინტერვიუ დააინტერესებს.**

**- “ლოკომოტივში” რამდენი ფეხბურთელია ნაკრების კანდიდატი?**

- კახა კაჭარავამ 19-წლამდელთა ნაკრებში სამი მოთამაშე მიიწვია, მეკარე მიქავა, ჭანტურია და მთივლიშვილიც, მაგრამ ამ უკანასკნელს ავადმყოფობის გამო ერთი თვე გაუცდა და ხორვატიაში ვერ წაიყვანა. გიორგი დევდარიანმა 17-წლამდელებში პატარკაციშვილი, აგრეთვე, 35-ე სკოლიდან ჩვენთან გადმოსული მესხი და ზარანდია აიყვანა. 15-წლამდელებში კი 7 მოთამაშე გვყავს. გარდა ამისა, ჩვენთან თამაშობს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი, მეკარე დავით ლეგაშვილი. მოკლედ, ასაკობრივ ნაკრებებში 15-მდე წევრი და კანდიდატი გვყავს.

**- ნიჭიერი ბავშვები, საგურამოში მშვენიერი ბაზა და სავარჯიშო პირობები დამაიმედებელია, მაგრამ უმაღლესი ლიგიდან ფინანსური პრობლემების გამო გავარდით – ახლა ამ კუთხით “ლოკომოტივის” მდგომარეობა როგორია?**

- მაღალი ხელფასები არ გვაქვს, მაგრამ შეძლებისდაგვარად, ფეხბურთელები კვალიფიციური მწვრთნელების ხელში იზრდებიან, ვცდილობთ კარგი შეკრებების მოწყობას და ძლიერ ტურნირებში მონაწილეობას. მაგალითად, შარშან ბარსელონას ტურნირზე ვითამაშეთ, წლეულს შეკრება ავსტრიაში გვქონდა, იანვარში კი - თურქეთში დავგეგმეთ.

**- უმაღლეს ლიგაში გადასვლას აპირებთ?**

- ასეთი მიზანი არ გვქონია, იმიტომ, რომ ძნელია, 17 წლის ბიჭებს გამარჯვება მოსთხოვო, მაგრამ შანსი მაინც გვაქვს. ჩვენ პერსპექტიული ფეხბურთელების გაზრდაზე უფრო ვფიქრობთ, ვიდრე უმაღლეს ლიგაში გადასვლაზე.

მიმაჩნია, რომ ბავშვებს კარგ პირობებში ვარჯიშის საშუალება უნდა მიეცეთ, 18 წლამდე სწორად რომ გაიზარდონ. ამ ასაკამდე ყველაზე დიდი სამუშაო არის ჩასატარებელი, რაც საქართველოში ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ამიტომ, აუცილებელია, ბავშვებმა ტურნირებზე იარონ და იცოდნენ, მათი თანატოლები რა დონეზე თამაშობენ. მიმაჩნია, რომ “ლოკომოტივში” მართლაც ნიჭიერი ბავშვები არიან, უკეთ არიან მომზადებულები, ვიდრე 23-24 წლის ბევრი ქართველი ფეხბურთელი და დიდი პერსპექტივაც აქვთ.

**- ნიკა ჭანტურიას “არსენალში” გადასვლაზე რაიმე სიახლე ხომ არ არის? თითქოს მას სხვა კლუბებიც იწვევენ.**

- „ფრაიბურგიც“ სერიოზულად არის დაინტერესებული. არიან მენეჯერები, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ ნიკას გადაყვანის სურვილი აქვთ ესპანურ და ფრანგულ კლუბებს, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, შემოთავაზება აგენტისგან მოდის თუ კლუბისგან და ვცდილობთ, მოლაპარაკება მხოლოდ სერიოზული ინტერესის შემთხვევაში წამოვიწყოთ. გერმანელები ჯიქიას და ჭანტურიას ისევ იწვევენ, ჭანტურიასადმი ინტერესს „არსენალიც“ ინარჩუნებს, მაგრამ ყველაფერი ახალი წლის შემდეგ გადაწყდება.

**- ახლა ქართული საფეხბურთო სამყაროს გარკვეული ნაწილი რიგგარეშე არჩევნების გამართვას ითხოვს. რას ფიქრობთ, ეს საჭიროა?**

- ზოგადად იმ აზრს ვემხრობი, რომ ფედერაციის საქმიანობაში არავინ უნდა ჩაერიოს და პრეზიდენტმა ვადა დაასრულოს. მაგრამ მნიშვნელოვანია, ხალხს გაუჩნდეს განცდა, რომ საფეხბურთო პოლიტიკა სწორად მიდის, დრო არ იკარგება და პროცესები გამჭვირვალეა. მე ვიცი, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანიც ასე ფიქრობს და ასეც იქნება. ჩატარდება თუ არა რიგგარეშე არჩევნები, ეს ზვიად სიჭინავას გადასაწყვეტია. თუ ის ჩათვლის, რომ ახალ გარემოში ვერ იმუშავებს და გადადგომა აუცილებელია, სხვა საქმეა.

**- ფეხბურთი კვლავ სახელმწიფოს სტრუქტურებზეა დამოკიდებული.**

- ცალსახაა, რომ სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი კლუბების არსებობა ნონსენსია. მაგრამ ამ აზრის მოწინააღმდეგეები საკითხს ასე აყენებენ - საკმარისად არ არიან ის ბიზნესმენები, რომელთაც ჩვენი ფეხბურთი აინტერესებთ. მე კი მგონია, რომ ეს არასწორი შეხედულებაა.

მეორე საკითხი კი სახელმწიფოს სახსრების განკარგვაა: ის თანხები, რომელიც კონკრეტულ კლუბებს ხმარდებოდა, ყველაზე რომ გადანაწილდეს, უფრო სამართლიანიც იქნება და ლოგიკურიც. რაგბიში ასეა, თანხას კერძო კლუბებსაც აძლევენ და ეს ყველა კლუბის მეპატრონისთვის სტიმულია. მოკლედ, აქ ლაპარაკია სახელმწიფოს სახსრების სამართლიან გადანაწილებაზე.

**- პროფლიგის აღდგენაზე რას ფიქრობთ?**

- საჭირო და აუცილებელია, რადგან ლიგამ ფეხბურთის კომერციალიზაციაზე უნდა იზრუნოს, რაც მთელს მსოფლიოში აპრობირებული წესია. მაგრამ აუცილებელია, საშეჯიბრო კომიტეტი მთლიანად პროფლიგის დაქვემდებარებაში გადავიდეს – ადრე მოქმედი ლიგის დროს, ეს ასე არ ყოფილა და სულ იყო პრობლემა. არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.



ლექსო თოფურია

გამოხმაურება

## გია ლეჟავა: ძველი 35-ე სკოლა მე არ გამიყიდია!

თბილისის “დინამოს” ყოფილმა კაპიტანმა **მანუჩარ მაჩაიძემ** ამ რამდენიმე ხნის წინათ, “ლელოში” სტუმრობისას, კითხვაზე, სთავაზობდნენ თუ არ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ან რომელიმე საფეხბურთო კლუბი სამსახურს, უპასუხა: *“ძველი 35-ე სკოლის აღორძინებას ვაპირებდი, მაგრამ სპორტკომიტეტმა ეს ტერიტორია ვინმე ლეჟავას მისცა, ნოდარ ახალკაცის სახელობის საფეხბურთო სკოლა, „21-ე საუკუნე“ უნდა ჩამოაყალიბოსო. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ ახლა იქ ბაზარია.”*

გია ლეჟავა მაჩაიძის ნათქვამს გამოეხმაურა: *“ძალიან გამიკვირდა, ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ასე რომ თქვა. ძველი 35-ე სკოლის ტერიტორიაზე ნოდარ ახალკაცის სახელობის საფეხბურთო სკოლა, „21-ე საუკუნე“ მართლაც მე ჩამოვაყალიბე და სკოლის აღორძინებას ვაპირებდი. ყველა სხვა სახელს თავი რომ დავანებოთ, ძველ 35-ე სკოლაში მიშა მესხი გაიზარდა და იმედი მქონდა, რომ ნელ-ნელა მოვღონიერდებოდით - ოქროსუბანში ხომ ნიჭიერი ბავშვების ნაკლებობა არასოდეს ყოფილა.*

*მაგრამ იქ დიდხანს მუშაობის საშუალებაც არ მქონია. სრულად მხოლოდ ერთ თაობასთან ვიმუშავე, საიდანაც ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში ითამაშეს გოგიტა გოგუამ, კახა ალადაშვილმა, გიორგი ციმაკურიძემ, დათო ნაკანმა, თენგიზ ჩიკვილაძემ... „21-ე საუკუნე“ კარგ ადგილას მდებარეობდა, დრო აირია და მას თვალი ბევრმა დაადგა. სამწუხაროდ, ფეხბურთის ფედერაციამ ამ მნიშვნელოვან ადგილზე საფეხბურთო ცენტრის შესანარჩუნებლად თავი არ შეიწუხა. მაშინ თბილისში არსებული საფეხბურთო სკოლები განათლების სამინისტროს ეკუთვნოდა. 2009 წლის შემოდგომაზე „21-ე საუკუნე“ თბილისის მერიის ბალანსზე გადავიდა და ქალაქის სპორტის სამსახურის გამგებლობაში აღმოჩნდა. ტერიტორია კი “ცენტრ პოინტმა” შეისყიდა და ბაზრობა გახსნა. ანუ ტერიტორია მე არ მეკუთვნოდა და როგორ გავყიდდი?*

*ამის გამო, თბილისის ერთადერთ უფასო საფეხბურთო სკოლას განათლების სამინისტრომ დაფინანსება შეგვიწყვიტა და გაუქმების საფრთხის წინაშე დავდექით. ერთი ამბავი ავტეხე და მედია მოვიწვიე. მაშინ გვერდში დამიდგა “ჩვენი ფეხბურთი”. მისი ერთ-ერთი დამფუძნებლის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დღევანდელი მინისტრის, ლევან ყიფიანის თანდასწრებით ვახტანგ რჩეულიშვილმა პირობა მომცა, რომ ავჭალაში ტერიტორიას გამოყოფდა და სკოლას იქ აგვიშენებდა. დროებით, მოედანი დიდ დიღომში მდებარე სტადიონზე გვიქირავა, გასახდელი კი ვაგონში მოგვიწყო.*

*კარგად მოგეხსენებათ, “ცენტრ პოინტს” მერე რაც მოუვიდა, სტადიონი ველარ აგვიშენეს, „21-ე საუკუნე“ აღარ არსებობს და დავრჩი სკოლისა და საყვარელი საქმის გარეშე. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ჩემი ოცნება იყო, ძალიან ცდება”* - გვითხრა გია ლეჟავამ.

თუმცა, სკოლის დირექტორმა, შესაძლოა, მალე მუშაობა არაბეთში გააგრძელოს: როგორც გვითხრა, საუდის არაბეთის ერთ-ერთი კლუბის მენეჯერი დაუკავშირდა და მეკარეთა მწვრთნელობა შესთავაზა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XIII ტურის წინ

# გააბრაზებს სლომკა ბაიერნს?

## მიუნხენში პრობლემა ჩნდება: გომესს თამაში უნდა, ჰაინკესი ფიქრობს...

**გუშინ**

ფორტუნა-ჰამბურგი 2:0

**დღეს**

**ბაიერნი-ჰანოვერი 18:30**

**ტრავმა:** ჩანი, ლუის გუსტავო, რობენი - ფელიპე, ანდრეასენი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=1-5 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 46 თამაში: +29=8-9, (120:50)

**შალკე-აინტრახტი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** პაპადოპულოსი (შალკე)

**ტრავმა:** ჰიოგერი - ამედიკი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=0-2 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 76 თამაში: +30=19-27, (116:115)

**ვოლფსბურგი-ვერდერი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ლუკიმია (ვერდერი)

**ტრავმა:** პილარი, ჰელმესი - ბარგფრედე

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 30 თამაში: +11=6-13, (46:58)

**მაინცი-ბორუსია (დ) 18:30**

**ტრავმა:** ბუნგერტი, ედე, ჩუპო-მოტინგი - ოვომოიელა, ს. ბენდერი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 12 თამაში: +2=6-4, (9:14)

**ფიურტი-ნიურნბერგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** გებჰარტი (ნიურნბერგი)

**ტრავმა:** ნდოიე, ტირალა, ფალი - შტეფანი, ჰლუშეკი, მენდლერი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=3-3 +1=2-3

ბუნდესლიგაში არ უთამაშიათ

**ხვალ**

**ფრაიბურგი-შტუტგარტი 18:30**

**ტრავმა:** გინტერი, ჰიონი - ჰუგლანდი, აუდელი, დიდავი, კაკაუ, თორუნი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 26 თამაში: +9=2-15, (31:40)

**ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი 20:30**

**ტრავმა:** კრისი, თესკერი, ვესტერგაარდი, მალბაშიჩი, ვუკჩევიჩი - კადლეცი, შვააბი, ბელარაბი, სემი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 8 თამაში: +0=1-7, (6:20)

**აუგსბურგი-ბორუსია (მ) 20:30**

**ტრავმა:** იენტცში, რაინჰარდტი, ვერჰეგი, ვერნერი - ბლასვიხი, დემსი, ლ. დე იონგი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 2 თამაში: +1=1-0, (1:0)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 12 | 10 | 1 | 1 | 33-5 | 31 |
| 2. შალკე | 12 | 7 | 2 | 3 | 22-14 | 23 |
| 3. აინტრახტი | 12 | 7 | 2 | 3 | 25-18 | 23 |
| 4. ბორუსია (დ) | 12 | 6 | 4 | 2 | 26-13 | 22 |
| 5. ლევერკუზენი | 12 | 6 | 3 | 3 | 21-17 | 21 |
| 6. ჰანოვერი | 12 | 5 | 2 | 5 | 25-20 | 17 |
| 7. ვერდერი | 12 | 5 | 2 | 5 | 20-18 | 17 |
| 8. მაინცი | 12 | 5 | 2 | 5 | 15-14 | 17 |
| 9. ჰამბურგი | 13 | 5 | 2 | 6 | 12-16 | 17 |
| 10. ფრაიბურგი | 12 | 4 | 4 | 4 | 16-14 | 16 |
| 11. ბორუსია (მ) | 12 | 4 | 4 | 4 | 18-23 | 16 |
| 12. შტუტგარტი | 12 | 4 | 4 | 4 | 14-20 | 16 |
| 13. ფორტუნა | 13 | 3 | 5 | 5 | 13-18 | 14 |
| 14. ვოლფსბურგი | 12 | 4 | 2 | 6 | 12-19 | 14 |
| 15. ჰოფენჰაიმი | 12 | 3 | 3 | 6 | 18-26 | 12 |
| 16. ნიურნბერგი | 12 | 3 | 3 | 6 | 10-18 | 12 |
| 17. ფიურტი | 12 | 1 | 4 | 7 | 10-23 | 7 |
| 18. აუგსბურგი | 12 | 1 | 3 | 8 | 8-22 | 6 |

**ბომბარდირები:** 9 - მანჯუკიჩი (ბაიერნი), ა. მაიერი (აინტრახტი); 8 - კისლინგი (ლევერკუზენი), სალაი (მაინცი).



თუ ასე გაგრძელდა, იუპ ჰაინკესსა და მარიო გომესს შორის გაუგებრობა გარდაუვალია

**ყოველი ტურის წინ „ბაიერნის" მეტოქეზე ყურადღების გამახვილებით გვიწევს ტურისწინა მიმოხილვის დაწყება, რაც, შესაძლოა, მოსაბეზრებელია, მაგრამ, სანამ რეკორდმაისტერი კონკურენტებს დიდი სხვაობით უსწრებს, სხვა გზა არ გვაქვს. ახლა „ჰანოვერის" რიგია - მირკო სლომკას თავისი საკმაოდ სიმპათიური გუნდი მიუნხენში ჩაჰყავს და ეს თამაში იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგები სლომკას „ბაიერნის" მომავალ თავკაცად მოიაზრებენ. „დორტმუნდი" „მაინცს" სტუმრობს და ეს შეხვედრა იურგენ კლოპისთვისაა განსაკუთრებული, ტურის ცენტრალური მატჩი კი მეორე და მესამეადგილოსანი გუნდების დუელია: „შალკე" „აინტრახტს" მასპინძლობს. საინტერესო იქნება „ვოლფსბურგისა" და „ვერდერის" დაპირისპირებაც, რომლის მთავარი გმირი „მუსიკოსებიდან" „მგლებში" გადასული მენეჯერი კლაუს ალოფსი იქნება.**

### ფიურტი-ნიურნბერგი მძაფრი დერბია

ბავარიის მხარეში ერთ-ერთ რეგიონს ფრანკენი ჰქვია და ამ რეგიონს პირველ ბუნდესლიგაში ორი გუნდი ჰყავს, რომლებიც დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: „ფიურტისა" და „ნიურნბერგის" დუელი მძაფრი დერბია. ქალაქ ფიურტის მერიამ უსაფრთხოების ზომები მიიღო, თუმცა ყველა ავი ფანის გაკონტროლება შეუძლებელია და ორივე მხარე იმედოვნებს, რომ დერბი მშვიდობიანად, არეულობის გარეშე ჩაივლის. ფიურტელები ამ სეზონში საკუთარ მოედანზე პირველი გამარჯვების მოპოვებას შეეცდებიან, „ნიურნბერგის" მიზანი კი 11 თვის წინ, გერმანიის თასზე განცდილი მტკივნეული მარცხისთვის რევანშის აღებაა. ნიურნბერგელებს **გებჰარტი** ჰყავთ დისკვალიფიცირებული, რომელსაც სასტარტო შემადგენლობაში დისკვალიფიკაციამოხდილი **ბალიჩი** შეცვლის.

*„ფრანკენის რეგიონში პირველები ჩვენ ვართ და ასე იქნება მომავალშიც,"* - ეს ნიურნბერგელთა თავკაც **დიტერ ჰეკინგის** სიტყვებია, რომელმაც ამ განცხადებით ცეცხლზე ნავთი დაასხა.

### ბაიერნის მნიშვნელოვანი კვირა

ბუნდესლიგის ერთპიროვნულმა ლიდერმა შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საგზური ფინიშამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა. მიუხედავად ამისა, რეკორდმაისტერში მაინც არაა საუკეთესო განწყობა. ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ბოლო ორ მატჩში ნანახით (1:1 ნიურნბერგთან და 1:1 ვალენსიასთან) უკმაყოფილება ვერ დამალა და მომავალ მატჩებში „ბაიერნის" ფეხბურთელებისგან მაქსიმალური კონცენტრაცია მოითხოვა. ბავარიელებს ეს დიახაც სჭირდებათ, რადგან „ჰანოვერთან" დღევანდელი მატჩის შემდეგ „ბაიერნი" ოთხშაბათს ფრაიბურგში ჩადის, მერე კი, 1 დეკემბერს „დორტმუნდს" ეთამაშება.

„ჰანოვერმა" წინა ტურში საკუთარ მოედანზე „ფრაიბურგთან" წააგო, ევროპალიგაში კი „ტვენტესთან" 0:0 დააფიქსირა. თუმცა კლუბში უკმაყოფილების მთავარი მიზეზი მწვრთნელ **სლომკასთან** მოლაპარაკებების გაჭიანურებაა. თანაც, ამ ყველაფერს ისიც უშლის ხელს, რომ გერმანიაში სულ უფრო და უფრო ხშირად ამბობენ, სლომკას „ბაიერნის" ბოსები უმიზნებენო.

ერთი სიტყვით, საინტერესო მატჩი გველის, რომლის ინტრიგა **მარიო გომესიცაა**. რეკორდმაისტერის პირველი გოლეადორი გამოჯანმრთელდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, რაც მის უკმაყოფილებას იწვევს. **იუპ ჰაინკესი მარიო მანჯუკიჩს** ენდობა, შეცვლებზე კი ბოლო ორ მატჩში **კლაუდიო პისარო** ათამაშა. ეს ლოგიკურიცაა, რადგან გომესი ფორმაში არაა, მანჯუკიჩი კი ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი გახლავთ. მაგრამ რაც დრო გადის, გომესი უფრო და უფრო ბრაზდება, რაც „დონ იუპისთვის" დღეს თუ არა, ხვალ უკვე სერიოზული პრობლემა გახდება. ვნახოთ, მიეცემა თუ არა მარიოს „ჰანოვერთან" შესაძლებლობების დამტკიცების შანსი.

### კლოპი მაინცში

მაინცში თამაში „დორტმუნდის" თავკაც **იურგენ კლოპისთვის** და მცველ **ნევენ სუბოტიჩისთვის** წარსულში დაბრუნებაა. „ბორუსიას" დამრიგებელს „მაინცის" ხელმძღვანელებთან დღემდე ახლო მეგობრული ურთიერთობები აქვს. მაინცელები წინა ტურში „ჰამბურგთან", ცოტა არ იყოს, უიღბლოდ დამარცხდნენ და **თომას ტუხელის** გუნდი ზედმეტადაა დამოკიდებული თავდამსხმელ ადამ სალაიზე, რომელსაც ბოლო დროს გოლების გატანა უჭირს. დორტმუნდელებმა ჩემპიონთა ლიგაში მნიშვნელოვანი ბრძოლა გადაიტანეს (4:1 „აიაქსთან") და „სიკვდილის ჯგუფში" პირველი ადგილი გაინაღდეს. კლოპმა არ დამალა, რომ „მაინცთან" დღევანდელ შეხვედრაში 2-3 ფეხბურთელის დასვენებას გეგმავს.

### ბაიერნის მდევრები გელზენკირხენში

ესეც კიდევ ერთი შეხვედრა „აინტრახტის" მონაწილეობით, რომელიც ტურის ცენტრალურ დაპირისპირებად უნდა შევრაცხოთ: **არმინ ფეეს** მესამე ადგილზე მყოფი გუნდი მეორეადგილოსან „შალკეს" სტუმრობს. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში თამაში „ბაიერნისა" და „დორტმუნდის" დარად გელზენკირხენელებმაც გაინაღდეს და შეუძლიათ, მთელი კონცენტრაციით ბუნდესლიგაზე გადაერთონ. თანაც, „შალკემ" წინა ტურში ლევერკუზენში ძალიან უიმედოდ წააგო (0:2) და **ჰუუბ სტევენსის** ბიჭებს თავიანთი ქომაგებისთვის ბოდიში აქვთ მოსახდელი.

### შაფს ალოფსის ზეიმი ეწყინება

„ვოლფსბურგისა" და „ვერდერის" მატჩში ისეთი ადამიანი მოექცევა ყურადღების ცენტრში, რომელიც არც ფეხბურთელია და არც მწვრთნელი - **კლაუს ალოფსს** ვგულისხმობთ, რომელმაც „ვერდერში" 13 წელი იმუშავა და ორი კვირის წინ „ვოლფსბურგში" გადაბარგდა.

*„ჩვენ ალოფსს კი არა, „ვოლფსბურგს" ვეთამაშებით და სამი ქულა გვინდა. არა მგონია, კლაუსმა ჩვენს კარში გატანილი გოლი იზეიმოს, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს მისი საქმეა,"* - როგორღაც დანანებით საუბრობდა გუშინ ამ თემაზე „ვერდერის" თავკაცი **თომას შააფი**, რომელმაც ბრემენულ კლუბში უდიდესი ერა სწორედ ალოფსთან ერთად შექმნა.

### ევროპალიგელები ხვალ თამაშობენ

ევროპალიგის გამო ხვალ სამი მატჩია. „შტუტგარტმა" ბუქარესტის „სტიაუა" 5:1 გაანადგურა, რაც იმას ნიშნავს, რომ **ბრუნო ლაბადიას** ბიჭები „ფრაიბურგს" იდეალური განწყობით ესტუმრებიან. „ჰოფენჰაიმი" „ლევერკუზენს" მასპინძლობს და რთული მატჩი ელის - „ჰოფეს" თავკაცი **მარკუს ბაბელი** ხვდება, რომ კიდევ 2-3 მატჩის ვერმოგების შემთხვევაში ჩემოდნებზე შემოსვამენ. „ლევერკუზენმა" ევროპალიგაში ხარკოვის „მეტალისტთან" ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით ითამაშა და 0:2 წააგო, რითაც „ბაიერმა" ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შანსი დაკარგა, თუმცა ლევერკუზენელებს ეს ნაკლებად აღელვებთ - ამ კვირაში მათი მთავარი სურვილი „ჰოფენჰაიმთან" წარმატების მიღწევაა.

ტურის ბოლო შეხვედრა კი „აუგსბურგისა" და მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ჯახია. რაც ბაბელზე ვთქვით, ეს „აუგსბურგის" თავკაც **მარკუს ვაინცირლსაც** ეხება, რადგან გუნდი 6 ქულით უიმედოდაა ბოლო ადგილზე. „გლადბახი" ევროპალიგის პლეი ოფში გავიდა, ბუნდესლიგაში კი მოლოდინს ვერ ამართლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ წნეხის ქვეშაა **ლუსიენ ფავრიც**.

მოსაზრება

## გარინჩა: პელეს გაუმართლა!

### ESPN-მა 1983 წელს ჩაწერილი ინტერვიუ ახლაღა გამოაქვეყნა



პელე და გარინჩა

ESPN-მა ახლაღა გამოაქვეყნა **გარინჩასთან** ჩაწერილი ინტერვიუ, რომელიც 1983 წელს, ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე შედგა. ინტერვიუს ყველაზე საინტერესო ეპიზოდში გარინჩა **პელეზე** საუბრობს.

*„პელე უდავოდ ძალიან კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ კიდეც გაუმართლა. მას ბევრი გოლი გაჰქონდა, მაგრამ კარგი თანაგუნდელებიც ჰყავდა, რომლებიც შესანიშნავი პასებით ამარაგებდნენ,"* - უთქვამს გარინჩას ხსენებულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ გარინჩა, რომელმაც 1958 წელს პელესთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონობა იზეიმა, 1983 წელს, 49 წლის ასაკში გარდაიცვალა, რისი მიზეზიც მისი ალკოჰოლისადმი დამოკიდებულება გახდა.

ინტერვიუში ბრაზილიური და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა თავის ავადმყოფობაზეც საუბრობდა: *„მუცელი საშინლად მტკიოდა და იმისათვის, რომ თავი უკეთ მეგრძნო, ხშირად სახეს ცივ ბეტონს ვადებდი-ხოლმე."*

ბუნდესლიგა

## ბუნდესლიგა პრემიერლიგას უახლოვდება

ამ კვირაში გერმანული კლუბების წარმატებული თამაში ევროტურნირებზე უეფას ბოლო ხუთი წლის რეიტინგში ბუნდესლიგის პროგრესზე აისახა. გერმანიის ჩემპიონატს ახლა უკვე 70,757 ქულა აქვს და კვლავ მესამე ადგილზეა, თუმცა უკვე საკმაოდ მიუახლოვდა ინგლისის პრემიერლიგას (74,963 ქულა). მეოთხე ადგილს კვლავ იტალიის სერია A ინარჩუნებს, მაგრამ იტალიის ჩემპიონატი გერმანიისას მნიშვნელოვნად ჩამორჩება (57,481) და არც ისე დიდი სხვაობით უსწრებს საფრანგეთს (54,833) პირველ ადგილზე კი, რა თქმა უნდა, ისევ ესპანეთის პირველობაა 79,311 ქულით.

შეგახსენებთ, რომ ამ რეიტინგს მნიშვნელობა პირველ რიგში იმის გამო აქვს, რომ საუკეთესო სამეულის წარმომადგენლები ჩემპიონთა ლიგაში 4-4 გუნდით არიან წარმოდგენილები. 2012/13 წლების სეზონის შემდეგ ბუნდესლიგიდან ჩემპიონთა ლიგაში ოთხი გუნდი გადის, იტალიიდან კი - სამი.

**გვერდი მოამზადა**
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XIV ტურის წინ

# იტალიური ფეხბურთის კლასიკა

## MILAN VS JUVENTUS



"მილანი"-"იუვენტუსის" სკანდალური მატჩი და სალი მუნტარის არჩათვლილი გოლი

### დღეს

**პალერმო-კატანია 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** უიკანი, ლაზრინი, ბარეტო (პალერმო).

**ტრავმა:** ერნანდესი, მანტოვანი - კეკო, აუგუსტინი, შაკა, ბიაჯანტი, ბერგესიო.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 20 თამაში: +6=7-6, (31-32)

### ხვალ

**ატალანტა-ჯენოა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ჩიგარინი (ასტალანტა).

**ტრავმა:** ფერეირა პინტუ, კაპელი, ბელინი, ბიონდინი - ანტონელი, ფერონეტი, ხორკერა, ანსელიმო, პიშიტელა.

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +0=0-6

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 16 თამაში: +7=3-6, (19-16)

**კიევო-სიენა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ჰეტემაი, სარდო - ლარონდო, ვიტიელო, ტერცი, ბელმონტე.

**ტრავმა:** სკუიცი, პაპი, ფრეი - ზე ედუარდო, პაჩი.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 17 თამაში: +6=4-7, (19-21)

**პესკარა-რომა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ძანონი, კაპუანო, კაშონე - გუბერტი, დე როსი.

**ტრავმა:** ბურგმანი, კოლუჩი, საველონი, ბლაზი - ლამელა, სტეკელენბურგი.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 0 თამაში: +0=0-0, (0-0)

**სამპდორია-ბოლონია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პორტანოვა, ტაიდერი (ბოლონია).

**ტრავმა:** პოცი, მაქსი ლოპესი, ედერი - კარვალიო, აკვაფრესკა, ნატალი, კურჩი, პაციენცა, პაპონი, გარიჩი, ხიმენესი.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=0-5 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 17 თამაში: +6=7-4, (27-23)

**ტორინო-ფიორენტინა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პისარო (ფიორენტინა).

**ტრავმა:** სუჩუ, ბაკიჩი, მეჯორინი, ვივესი - კამპორეზე.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 +5=1-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 18 თამაში: +4=4-10, (12-28)

**მილანი-იუვენტუსი 23.45**

**ტრავმა:** მესბა, შტრასერი, დიდაკ ვილა, მუნტარი, ანტონინი, აბატე, ტრაორე, ამბროზინი, ბონერა, პატო - კიელინი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 42 თამაში: +13=14-15, (48-55)

### ზეგ

**კალიარი-ნაპოლი 22.00**

**დისკვალიფიკაცია:** ასტორი - კავანი.

**ტრავმა:** ნენე (კალიარი).

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 22 თამაში: +5=12-7, (27-29)

**პარმა-ინტერი 00.00**

**დისკვალიფიკაცია:** პაროლო - გარგანო, კასანო.

**ტრავმა:** გალოპა - ობი, კივუ, სტანკოვიჩი, მუდინგაი, გუარინი.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 38 თამაში: +12=10-16, (47-58)

### მაზეგ

**ლაციო-უდინეზე 23.45**

**ტრავმა:** ბროკი, დიასი - ბენეტია, პინცი, მურიელი, ლაძარი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +2=4-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 36 თამაში: +17=9-10, (71-54)

*შენიშვნა: + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 13 | 10 | 2 | 1 | 29-9 | 32 |
| 2. ინტერი | 13 | 9 | 1 | 3 | 26-15 | 28 |
| 3. ფიორენტინა | 13 | 8 | 3 | 2 | 23-10 | 27 |
| 4. ნაპოლი | 13 | 8 | 3 | 2 | 22-11 | 27 |
| 5. ლაციო | 13 | 7 | 2 | 4 | 19-17 | 23 |
| 6. რომა | 13 | 6 | 2 | 5 | 30-23 | 20 |
| 7. კატანია | 13 | 5 | 4 | 4 | 17-17 | 19 |
| 8. ატალანტა | 13 | 6 | 2 | 5 | 14-19 | 18 |
| 9. პარმა | 13 | 4 | 5 | 4 | 16-18 | 17 |
| 10. კალიარი | 13 | 4 | 4 | 5 | 13-19 | 16 |
| 11. უდინეზე | 13 | 3 | 7 | 3 | 18-20 | 16 |
| 12. მილანი | 13 | 4 | 3 | 6 | 20-18 | 15 |
| 13. ტორინო | 13 | 3 | 6 | 4 | 13-12 | 14 |
| 14. სამპდორია | 13 | 4 | 2 | 7 | 16-19 | 13 |
| 15. ბოლონია | 13 | 3 | 2 | 8 | 15-18 | 11 |
| 16. პალერმო | 13 | 2 | 5 | 6 | 11-20 | 11 |
| 17. კიევო | 13 | 3 | 2 | 8 | 13-25 | 11 |
| 18. პესკარა | 13 | 3 | 2 | 8 | 9-24 | 11 |
| 19. სიენა | 13 | 4 | 4 | 5 | 13-14 | 10 |
| 20. ჯენოა | 13 | 2 | 3 | 8 | 13-21 | 9 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

ბომბარდირები: 10 – ელ შაარავი (მილანი); 8 - კავანი (ნაპოლი), ლამელა (რომა), დი ნატალე (უდინეზე); 7 - მილიტო (ინტერი), კლოზე (ლაციო).

"მილანი"-"იუვენტუსი" თამამად შეგვიძლია შევრაცხოთ იტალიური ფეხბურთის კლასიკად, რადგან საქმე გვაქვს კალჩოს ორი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის დაპირისპირებასთან. თუ "იუვენტუსს" ტროფეებში ქვეყნის მასშტაბით არ ჰყავს ბადალი, "მილანი" ევროარენაზეა მიუწვდომელი...

## სკანდალური მატჩის შესახებ...

გასულ სეზონში "სან სიროზე" გამართული "მილანი"-"იუვენტუსის" მატჩი სკანდალური გამოდგა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "იუვენტუსი" ყველაზე ახლოს სწორედ იმ შეხვედრაში იყო მარცხთან, მაგრამ საბოლოოდ, მაინც გადარჩა. გადარჩა დიდწილად მსაჯების გამო, რომლებმაც "მილანელ" სალი მუნტარის წესების დაცვით გატანილი გოლი არ ჩაუთვალეს...

"მილანის" გულშემატკივრები დღესაც ამბობენ, რომ იმ მატჩის მოგების შემთხვევაში, სწორედ მათი საყვარელი გუნდი გახდებოდა სკუდეტოს მფლობელი და არა "იუვენტუსი". "გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ მუნტარის აჩრდილი, უფრო სწორად კი მუნტარის გოლის აჩრდილი დღემდე დაჰყვება "ვეკია სენიორას". იმედი დავიტოვოთ, რომ კვირას დაგეგმილ პაექრობაში მსაჯები თავის მოვალეობას იდეალურად შეასრულებენ.

## დიდი მატჩის წინ

მოახლოებული ჯახისთვის ორივე ბანაკში განსაკუთრებულად ემზადებიან – მაგალითად, **ანდრეა პირლომ** არ დამალა, რომ მილანში გამარჯვება სკუდეტოსკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი იქნება. დაახლოებით ამგვარი განცხადებები გააკეთეს **ფაბიო კვალიარელამ** და **არტურო ვიდალმა**... მილანელებს სხვა ამოცანა აქვთ, მათ კრიზისი უნდა დაძლიონ და ერთხმად აცხადებენ, რომ "იუვეს" ძლევა ამის წინაპირობა გახდება. კომენტარებს ქვემოთ გაგაცნობთ, აქ კი გუნდებში არსებულ ვითარებას შევეხოთ...

ტრადიციულად, "მილანის" ლაზარეთში უამრავი ფეხბურთელია, ტურინელები კი მხოლოდ **ჯორჯო კიელინის** და სავარაუდოდ, **ლუსიოს** მოისაკლისებენ. ბოლო სამი სეზონია, "იუვეს" მაქსიმუმ 2-3 ფეხბურთელი ჰყავს ტრავმირებული და ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი ამბავი. ფაქტია, ტურინში ყველა მიმართულებით შესანიშნავად მუშაობენ და ამ ტემპს არც სამედიცინო პერსონალი ჩამორჩება. თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ორი ფეხბურთელის გამოკლება "ვეკია სენიორასთვის" საკმაოდ სერიოზული პრობლემაა...

საქმე იმაშია, რომ ჯორჯო კიელინიც და ლუსიოც ცენტრალური მცველები არიან, მათი ღირსეული შემცვლელის მოძებნა კი **ანტონიო კონტეს** ნამდვილად გაუჭირდება. "გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, **ანდრეა ბარცალისთან** და **ლეონარდო ბონუჩისთან** ერთად, დაცვის ცენტრში **მარტინ კასერესი** გაირჯება. სამხრეთამერიკელი უფრო მარჯვნივ იქნება, მაგრამ ეს მაინც არაა მისთვის ჩვეული ამპლუა და რთული სათქმელია, რამდენად კარგად გაართმევს მოვალეობას თავს. სხვა მხრივ, ტურინელებს ყველაფერი რიგზე აქვთ – ნახევარდაცვაში ხშირად **მაურისიო ისლა** და **შტეფან ლიხტშტაინერი** ენაცვლებიან ერთმანეთს და ამჯერად, ძირითადში ალბათ ექს-უდინელი იქნება. რაც შეეხება თავდასხმის ხაზს, იქ **სებასტიან ჯოვინკოსა** და ფაბიო კვალიარელას ტანდემი უნდა ვიხილოთ.

"მილანის" ლაზარეთს ისე ტოვებენ ფეხბურთელები და შემდეგ, უკან ბრუნდებიან, რომ ვგონებთ, ამას ველარც **მასიმილიანო ალეგრი** აკონტროლებს ხეირიანად. **ალეშანდრე პატო** ისევ დაშავდა და "იუვენტუსის" წინაალმდეგ ვერ იასპარეზებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენ ხანს მოუწევს უქმობა ბრაზილიელ თავდამსხმელს. "მილანის" თავკაცი სავარაუდოდ 4-3-3 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე **სტეფან ელ შაარავისთან** ერთად, **ბოიან კრკიჩს** და **კევინ პრინს ბოატენგს** გაამწესებს. განელის ფორვარდობა არ გაიშვას, მაგრამ ფლანგიდან თამაში უფრო ეხერხება და ალბათ ეს ფუნქცია დაეკისრება. მოედანზე იქნება **ურბი ემანუელსონი** და თუ ბოას არ წაუვა თამაში, შესაძლოა, ჰოლანდიელს გაუცვალოს პოზიცია. დაცვის ცენტრში **მარიო იეპესი** და "ანდერლეხტის" კარში სუპერ-გოლის გამტანი **ფილიპ მექსე** გაირჯებიან, კარში კი **კრისტიან აბიატი** იდგება, რომელმაც ბოლო შეხვედრებში რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და პრესის მხრიდან კრიტიკის ქარცეცხლი გამოიარა. მოკლედ, "როსონერის" კიპერი წნეხშია და ვნახოთ, იქონიებს თუ არა ეს მის ასპარეზობაზე გავლენას. დანარჩენი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.

**მასიმილიანო ალეგრი (მილანის მთავარი მწვრთნელი):** "ეს ის შეხვედრაა, რომელმაც წერტილი უნდა დაუსვას კრიზისს და პროგრესის გზაზე დაგვაყენოს. ამისთვის გამარჯვებაა საჭირო გუნდთან, რომელიც არა მარტო იტალიაში, ევროპაშიც საუკეთესოა. "ანდერლეხტთან" გამარჯვებით ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის საგზური მოვიპოვეთ და მთლიანად ეროვნულ პირველობაზე გადმოვერთეთ – საჭიროა სრული კონცენტრირება მოვახდინოთ "იუვესთან" ჯახზე და მიზანს აუცილებლად მივაღწევთ. მეტოქე ძლიერია ყველა რგოლში, ჩვენი კოზირი კი მონდომება და გამარჯვების წყურვილი უნდა იყოს".

**ანჯელო ალესიო (იუვენტუსის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი):** "ვფიქრობ, ეს იქნება ყველაზე მძიმე მატჩი მიმდინარე სეზონში, რადგან "მილანთან" გასვლაზე ჭიდილი ყოველთვის კატასტროფულად რთული იყო. გასულ სეზონში ყველაზე მძიმე მატჩი სწორედ "სან სიროზე" გადავიტანეთ და ვეჭვობ, რომ ამჯერადაც ასე იქნება. დაცვაში ჩაჯდომას ნამდვილად არ ვაპირებთ, აუცილებლად გადავალთ მეტოქეს ნახევარზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც ქულის მოპოვება წარმოუდგენელია. შემადგენლობაზე ვერაფერს გეტყვით, ყველაფერი მატჩის წინა დღეს გადაწყდება".

**ანდრეა პირლო (იუვენტუსი):** "მილანში დაბრუნება ჩემთვის ყოველთვის ამაღელვებელია, რადგან კარიერის საუკეთესო წლები სწორედ "როსონერიში" გავატარე. ვიცი, რომ ტიფოზები ისევე თბილად მიმიღებენ, როგორც ერთი წლის წინ და ეს ჩემთვის ყველაზე ფასეულია. რაც შეეხება შეხვედრას, შანსები 50/50-ზეა, რადგან ერთმანეთის პირისპირ ორი გიგანტი, ისტორიული მეტოქე წარდგება. იმედი მაქვს, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, მილანში სწორედ სამი ქულისთვის მივდივართ".

სავარაუდო შემადგენლობები

**მილანი (4-3-3):** აბიატი - დე შილიო, იეპესი, მექსე, კონსტანტი - მონტოლივო, დე იონგი, ემანუელსონი - ბოატენგი, ბოიანი, ელ შაარავი.

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - კასერესი, ბონუჩი, ბარცალი - ისლა, ვიდალი, პირლო, მარკიზიო, ასამოა - ჯოვინკო, კვალიარელა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XIII ტურის წინ

# გრანდების ტურნე სევილიასა და ვალენსიაში

## სევილია და ვალენსია კი მალაგასა და მადრიდს სტუმრობენ

**გუშინ**

სოსიედადი-ოსასუნა 0:0

**დღეს**

**ვალეკანო-მალიორკა 19:00**

**ტრავმა:** როდრი - სანტოსი, მარკესი, ხიმენესი, ჟ. ვიქტორი, ნუნიეში, ლოპესი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +0=1-5

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 12 თამაში: +2=2-8, (10-23)

**ვალიადოლიდი-გრანადა 21:00**

**ტრავმა:** ვალიენტე, სერენო - ფ. რიკო, მაინსი, მ. რიკო (?), რომერო, იებდა

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 +2=0-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 2 თამაში: +1=0-1, (3-3)

**მალაგა-ვალენსია 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** სისოკო (ვალ)

**ტრავმა:** მონრეალი, ს. სანჩესი, ბაპტიშტა - ჟაგო, მატიო, ჟ. პერეირა, კანალესი, პიატი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 22 თამაში: +2=6-14, (19-40)

**ბეტისი-რეალი 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** რ. პერესი

**ტრავმა:** პერკისი, პაულაუ, მარიო - იგუაინი, მარსელო, იოზილი (?), ესიენი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +5=1-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 34 თამაში: +6=12-16, (33-54)

**ხვალ**

**ესპანიოლი-ხეტაფე 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** სტუანი (ესპ)

**ტრავმა:** აბრაამი, ლოპესი (ხეტ)

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 20 თამაში: +8=6-6, (22-27)

**ბილბაო-დეპორტივო 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** დე მარკოსი, ანდერი - პიცი

**ტრავმა:** ამორებიეტა (?), პერესი, გალარეტა - სალომაო, ოლივეირა

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 36 თამაში: +10=10-16, (40-55)

**ატლეტიკო-სევილია 22:00**

**ტრავმა:** სილვიო - ტროხოვსკი

**ბოლო 6 მატჩი**

+5=0-1 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 33 თამაში: +8=11-14, (39-48)

**ლევანტე-ბარსელონა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** დიოპი, პ. ლოპესი

**ტრავმა:** გეკასი, დუდკა - კვენკა, მუნიესა, აბიდალი, ალკანტარა, ადრიანო, სანჩესი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +5=1-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 10 თამაში: +0=3-7, (8-24)

**ზეგ**

**სარაგოსა-სელტა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** სეპუნარუ, აბრაამი - კაბრალი

**ტრავმა:** ლოოვენსი, ობრადოვიჩი, ლანძარო - ლიორკა, ინსა

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 26 თამაში: +8=9-9, (27-25)

***შენიშვნა:*** *+ მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა*

***შენიშვნა:*** *ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან*



ბარსას ეს მცველები ფიფას წლის სიმბოლური ნაკრებისთვის კი წარადგინეს, მაგრამ ისინი დღეს საიმედოდ ვერ თამაშობენ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 12 | 11 | 1 | 0 | 39-15 | 34 |
| 2. ატლეტიკო | 12 | 10 | 1 | 1 | 25-11 | 31 |
| 3. რეალი | 12 | 8 | 2 | 2 | 32-9 | 26 |
| 4. ლევანტე | 12 | 6 | 2 | 4 | 15-16 | 20 |
| 5. მალაგა | 12 | 5 | 4 | 3 | 15-9 | 19 |
| 6. ბეტისი | 12 | 6 | 13 | 5 | 19-21 | 19 |
| 7. სევილია | 12 | 5 | 3 | 4 | 18-15 | 18 |
| 8. ვალენსია | 12 | 5 | 3 | 4 | 16-14 | 18 |
| 9. სოსიედადი | 13 | 5 | 2 | 6 | 16-16 | 17 |
| 10. ხეტაფე | 12 | 5 | 1 | 6 | 14-19 | 16 |
| 11. ვალეკანო | 12 | 5 | 1 | 6 | 16-29 | 16 |
| 12. ვალიადოლიდი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-14 | 15 |
| 13. სარაგოსა | 12 | 5 | 0 | 7 | 15-21 | 15 |
| 14. ბილბაო | 12 | 4 | 2 | 6 | 17-26 | 14 |
| 15. მალიორკა | 12 | 3 | 3 | 6 | 13-20 | 12 |
| 16. სელტა | 12 | 3 | 2 | 7 | 14-18 | 11 |
| 17. გრანადა | 12 | 3 | 2 | 7 | 11-19 | 11 |
| 18. ოსასუნა | 13 | 2 | 4 | 7 | 11-15 | 10 |
| 19. დეპორტივო | 12 | 2 | 4 | 6 | 18-27 | 10 |
| 20. ესპანიოლი | 12 | 2 | 3 | 7 | 13-20 | 9 |

**ბომბარდირები:** 17 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 12 კრიშტიანო რონალდო (რეალი); 10 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 8 - არიც ადურისი (ბილბაო).

**წინა ტური „ანოეტაზე“ დასრულდა, ახალიც ამ არენაზე დაიწყო - „რეალ სოსიედადმა“ ბასკურ-ნავარულ დერბიში „ოსასუნას“ უმასპინძლა. მთავარი მოვლენები კი დღეს-ხვალ გაიმართება, ტური ზეგ არაგონის დედაქალაქში „სარაგოსა“-“სელტას“ შეხვედრით დასრულდება.**

**მაშ ასე, დღეს ორი გამორჩეული შეხვედრაა და ორივე ანდალუსიაში გაიმართება: მანუელ პელეგრინის „მალაგა“ „ვალენსიას“ მასპინძლობს, ხოლო სევილიაში „ბეტისი“ „სამეფო კლუბს“ დაუპირისპირდება. ხვალ ვალენსიაში „ბარსელონა“ ჩადის წარმატებულ „ლევანტესთან“, ხოლო მადრიდის „ატლეტიკო“ „სევილიას“ მასპინძლობს.**

### სევილიას ჯავრი სერხიო რამოსზე უნდათ იყარონ

**სერხიო რამოსი.** დიახ, 26 წლის მცველი ექცევა ყურადღების ცენტრში, როცა „რეალი“ „ბენიტო ვილიამინზე“ სათამაშოდ გადის - მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ხომ „სევილიას“ აღზრდილია ანუ „ბეტისის“ დაუძინებელი მტრის. 2005 წლის ზაფხულში 19 წლის სერხიო „სამეფო კლუბმა“ მცველისთვის არნახული თანხის სანაცვლოდ, 27 მილიონ ევროდ იყიდა. სხვათა შორის, სერხიო რამოსი **ფლორენტინო პერესის** პირველი შენაძენი გახლდათ. ახლა რამოსი, რომელსაც 2 მატჩიღა აკლია ესპანეთის ნაკრებში საიუბილეო 100 რიცხვამდე, მე-8 სეზონია, „რეალში“ თამაშობს და ყოველ სეზონში უთუოდ გააქვს გოლი. წინა ტურში, „ლევანტესთან“ მან სეზონში პირველი გოლი გაიტანა ლა ლიგაში, „რეალის“ მაისურით ეს 29-ე გოლი იყო მცველისთვის ჩემპიონატში.

ბუნებრივია, სევილიაში გასამგზავრებელთა სიაში **ჟოზე მოურინიომ** სერხიო რამოსიც შეიყვანა. იმის შეხსენება ალბათ არავის სჭირდება, რომ „რეალს“ ქულების დაკარგვის ფუფუნების უფლება წართმეული აქვს - „ბარსელონას“ ისედაც 8 ქულით ჩამორჩება. „ბეტისი“ კი საკუთარ გულშემატკივართან შერცხვენილია, „სევილიასთან“ დერბი 1:5 წააგო! ამიტომაც „მწვანეები“ თავს დადებენ „თეთრებთან“ შეხვედრაში. მასპინძლებს არ ეყოლებათ ბრაზილიელი სტოპერი **პაულაუ**, რომელიც იმ ავადსახსენებელ დერბიში დაშავდა და 4 კვირით გამოაკლდა გუნდს. ამდენივე ხნით ვერ ითამაშებს **მარიოც**. გამოჯანმრთელდა ფორვარდი **ჯონათან პერეირა**, მაგრამ ახალგაზრდა ნახევარმცველი **რუბენ პერესი** დისკვალიფიცირებულია დერბიში გაძევებისთვის.

**მესუთ იოზილი** „სიტისთან“ მატჩში უკვე სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ასე რომ, მისი დაბრუნება არ არის გამორიცხული, მაგრამ **გონსალო იგუაინი** ჯერ არ არის მზად სათამაშოდ. დიდი ხანია, აკლია გუნდს ბრაზილიელი **მარსელო** და ახლა უკვე **მიკაელ ესიენი.** მოურინიომ სევილიაში **ალვარო მორატა, ხოსე როდრიგესი** და **დენის ჩერიშევიც** წაიყვანა. ამათგან თამაშის შანსი მორატას უფრო აქვს.

* „რეალმა“ ზედიზედ 5 ტურში მოიგო, ბოლო 8 მატჩია, დაუმარცხებელია.

* ბოლო ოთხი საშინაო შეხვედრა „რეალთან“ „ბეტისმა“ წააგო, ბურთების საერთო შეფარდებით - 5:15. ბოლოს 2008 წლის თებერვალში აჯობა „ბეტისმა“ „რეალს“ - 2:1.

* „რეალმა“ მხოლოდ 9 გოლი გაუშვა, ეს კი „მალაგასთან“ ერთად ლა ლიგის საუკეთესო შედეგია.

* **კრიშტიანო რონალდოს** სამი გოლი აკლია, რომ გაუსწროს **პაკო ხენტოს** (126 გოლი) და „რეალის“ ისტორიაში მე-6 ბომბარდირი გახდეს ლა ლიგაში.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბეტისი:** *ადრიანი - ნელსონი, დორადო, ამაია, მარტინესი - კანიასი, ბენიატი - პოსუელო, სევილია, ხუან კარლოსი - რ. კასტრო.*

**რეალი:** *კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, ფ. კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია, იოზილი, რონალდო - ბენზემა.*

### ლევანტეს გამოცდა

გუშინ გაუწყეთ, რომ **ტიაგო ალკანტარა** და **ადრიანო კორეია** უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობენ, თუმცა **ტიტო ვილანოვას** განკარგულებით ისინი ჯერ სარეზერვო გუნდთან ერთად ემზადებიან და ბუნებრივია, „ლევანტესთან“ არ იქნებიან. „ბარსა“ ვალენსიაში მას მერე ჩადის, რაც იქვე, „წყალბურთში“ „რეალმა“ ეს გუნდი დაამარცხა.

„ლევანტემ“ შარშან ფურორი მოახდინა, როცა ევროპალიგის საგზური მოიპოვა. ეს ვალენსიური კლუბი აგრძელებს საფეხბურთო სამყაროს განცვიფრებას. ევროპალიგის პლეიოფშიც გაალწია და ჩემპიონატშიც მე-4 ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ ეს ადგილი ჩემპიონთა ლიგის საგზურს იძლევა. „ლევანტეს“ მცირე ბიუჯეტი აიძულებს განსაცვიფრებელი კომბინაციები აკეთოს, რათა გუნდი გაძლიერდეს. ახლაც, რუსეთიდან ნათხოვარი **ობაფემი მარტინსით** იმდენად გაძლიერდა გუნდი, რომ სერიოზულად შეუძლია მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა. ვნახოთ, რას იზამს მარტინესის გუნდი „ბარსელონასთან“. ერთი კია, ჯერჯერობით ამ გუნდს „ბარსელონასთვის“ არ მოუგია.

სავარაუდო შემადგენლობები

**ლევანტე:** *მუნუა - ლელი, ნავარო, ბალესტეროსი, ხუანფრანი - იბორა, მიჩელი - ელ-ჟარი, ბარკერო, ხუანლუ - მარტინსი.*

**ბარსელონა:** *ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - ფაბრეგასი, მესი, ვილია.*

### ორი თანაბარი და საინტერესო ჯახი

„მალაგამ“ ჩემპიონთა ლიგის პლეიოფის საგზური ყველაზე ადრე მოიპოვა, ამიტომაც სანკტ-პეტერბურგში ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩავიდა, თუმცა მაინც კინაღამ მოიგო. შესანიშნავი სტარტის შემდეგ **მანუელ პელეგრინის** გუნდმა მოუკლო, ბოლო 6 ტურში „მალაგამ“ მხოლოდ 5 ქულა აიღო და მეხუთე ადგილამდე დაეშვა. „მალაგა“ დღეს „ვალენსიას“ მასპინძლობს, რომელმაც ახლაღა დაიწყო მდგომარეობის გამოსწორება. თანაბარ და დაძაბულ ორთაბრძოლას ამიტომაც ველით.

ხვალ „ატლეტიკო“ „სევილიას“ უმასპინძლებს, **რადამელ ფალკაოს** მიეცემა შანსი, გაიხსენოს თავისი ბომბარდირული თვისებები, კოლუმბიელმა ფორვარდმა ბოლო დროს მოუკლო და **რონალდოს** და (განსაკუთრებით) **მესის** ჩამორჩა ბომბარდირთა დავაში. სამაგიეროდ, დიდებულ ფორმაშია თურქი ნახევარმცველი **არდა თურანი**, ვინც წინა ტურში სამი ქულის მომტანი გოლი გაიტანა. **მიჩელის** გუნდი კი დერბიში გამარჯვების შემდეგ ალმაფრენას განიცდის.

სხვა მატჩებზეც ვიტყვით - დღეს „რაიო ვალეკანო“ „მალიორკას“ მასპინძლობს, ორივე გუნდი ბოლო დროს კრიზისშია და ცხრილის ფსკერისკენ მიექანება; ყოჩაღი „დებიუტანტი“ „ვალიადოლიდი“ კი „გრანადას“ მიიღებს, ორივე გუნდის მთავარი ამოცანა ელიტაში დარჩენაა; „ესპანიოლი“ „ხეტაფეს“ უმასპინძლებს და ალბათ მწვრთნელს დაკარგავს, თუ კიდევ დაუცდება ფეხი. „ბილბაოსა“ და „დეპორტივოს“ შეხვედრა ჯერ მარტო სახელების მიხედვით არის საინტერესო, თუმცა, ფაქტია, ორივე გუნდს ცუდი დროება უდგას ლა ლიგაში; „სარაგოსას“ „სელტას“ დამარცხება სჭირდება ცხრილის ქვედა ზონიდან თავის დასაღწევად.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დანიშვნა

### ჩილეს ხორხე სამპაოლი უთავკაცებს

**კლაუდიო ბორგის** გათავისუფლების შემდეგ, ჩილეს ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელად, “უნივერსიდად დე ჩილეს” დამრიგებელი, **ხორხე სამპაოლი** დანიშნა. 52 წლის სპეციალისტმა 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც მისი ხელფასი წელიწადში 1,5 მილიონი დოლარი იქნება, ხოლო თუ გუნდი მუნდიალის ფინალური ეტაპის საგზურს მოიპოვებს, დამატებით ერთ მილიონსაც ბონუსის სახით მიიღებს.



სამპაოლიმ “უნივერსიდად დე ჩილეს” საკლუბო ისტორიაში პირველი საერთაშორისო ტიტული მოაგებინა, როდესაც მისმა გუნდმა 2011 წელს კოპა სუდამერიკანაზე იმარჯვა. გარდა ამისა, მისი ხელმძღვანელობით გუნდი ჩილეს ჩემპიონი ზედიზედ სამჯერ გახდა (აპერტურა 2011, კლაუსურა 2011, აპერტურა 2012) და მიმდინარე ჩემპიონატშიც გამარჯვების მთავარი კანდიდატია.

**ტატო ბაციკაძე**

ინგლისი. პრემიერლიგა. XIII ტურის წინ

# ევროპაში იმედგაცრუებული ფავორიტები

**დღეს**

**სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი 16:45**

ტრავმა: ბრაუნი – რიდი, მაკოლი, ფოსტერი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +4=0-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 108 თამაში: +40=29-39 (183-173)

**ევერტონი-ნორვიჩი 19:00**

**ტრავმა:** ანიჩებე, მირალიაში, ჰიბერტი, ნევილი, გიბსონი – მარტინი, კეინი

**დისკვალიფიკაცია:** ფელაინი -

**ბოლო 6 მატჩი**

+1=4-1 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 45 თამაში: +17=15-13 (68-59)

**მანჩესტერ იუნ.-ქუინზ პარკი 19:00**

**ტრავმა:** კაგავა, ნანი, ვიდიჩი, ევანსი – ეპრაჰიმი, ზამორა, ჯონსონი, პარკი

**ბოლო 6 მატჩი**

+5=0-1 +0=2-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 41 თამაში: +25=10-6 (72-41)

**სტოკ სიტი-ფულჰემი 19:00**

**ტრავმა:** დელაპი, უილსონი, უილკინსონი, ოუენი – დიარა, კაჩანიკლიჩი, რიჩარდსონი, დევისი, პეტრიჩი, რუისი

**დისკვალიფიკაცია:** - ჰანგელანდი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 +1=4-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 28 თამაში: +8=7-13 (32-43)

**უიგანი-რედინგი 19:00**

**ტრავმა:** უოტსონი, კოლდუელი, მაკარტური, კრუსატი, ალკარასი – კებე, მაკარტი, გატრი, კარაჩანი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +1=4-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 18 თამაში: +6=5-7 (19-18)

**ასტონ ვილა-არსენალი 21:30**

**ტრავმა:** ნზოგბია, დანი, გარდნერი, ჰერდი, ბენტი, ბენეტი, პეტროვი – დიაბი, როსიცკი, ჟერვინიო, სანტოსი, უოლკოტი, გიბსი, ფაბიანსკი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 167 თამაში: +60=38-69 (243-264)

**ხვალ**

**სუონსი-ლივერპული 17:30**

**ტრავმა:** ტეილორი, ბარტლი, ვორმი, ლიტა, კი – ბორინი, კელი, ლუკასი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +2=4-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 7 თამაში: +3=2-2 (8-9)

**საუთჰემპტონი-ნიუკასლი 19:00**

**ტრავმა:** რიჩარდსონი, ჩაპლოუ – გოსლინგი, პერჩი, კაბაი, ხონასი, ვუკჩიჩი, ობერტანი, ტეილორი

**დისკვალიფიკაცია:** - კოლოჩინი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 51 თამაში: +17=13-21 (66-79)

**ჩელსი-მანჩესტერ სიტი 20:00**

**ტრავმა:** ტერი, ლემპარდი, სტარიჯი – ბალოტელი, მილნერი, რიჩარდსი, როდუელი, კლიში

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +5=1-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 127 თამაში: +52=35-40 (188-163)

**ტოტენჰემი-ვესტ ჰემი 20:00**

**ტრავმა:** დემბელე, პარკერი, კოლკერი, კაბული, ასუ-ეკოტო – ვას ტე, კოლისონი, დიარა, ბენაიუნი, ჯარვისი

**დისკვალიფიკაცია:** ადებაიორი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=0-4 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 99 თამაში: +42=23-34 (153-139)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 12 | 8 | 4 | 0 | 25-10 | 28 |
| 2. იუნაიტედი | 12 | 9 | 0 | 3 | 29-17 | 27 |
| 3. ჩელსი | 12 | 7 | 3 | 2 | 24-13 | 24 |
| 4. ვესტ ბრომვიჩი | 12 | 7 | 2 | 3 | 19-13 | 23 |
| 5. ევერტონი | 12 | 5 | 5 | 2 | 22-16 | 20 |
| 6. არსენალი | 12 | 5 | 4 | 3 | 23-13 | 19 |
| 7. ვესტ ჰემი | 12 | 5 | 4 | 3 | 15-12 | 19 |
| 8. ტოტენჰემი | 12 | 5 | 2 | 5 | 20-21 | 17 |
| 9. ფულჰემი | 12 | 4 | 4 | 4 | 25-22 | 16 |
| 10. სუონსი | 12 | 4 | 4 | 4 | 18-16 | 16 |
| 11. ლივერპული | 12 | 3 | 6 | 3 | 17-16 | 15 |
| 12. ნიუკასლი | 12 | 3 | 5 | 4 | 13-17 | 14 |
| 13. ნორვიჩი | 12 | 3 | 5 | 4 | 9-18 | 14 |
| 14. სტოკ სიტი | 12 | 2 | 7 | 3 | 10-11 | 13 |
| 15. სანდერლენდი | 11 | 2 | 6 | 3 | 10-12 | 12 |
| 16. უიგანი | 12 | 3 | 2 | 7 | 12-21 | 11 |
| 17. რედინგი | 11 | 1 | 6 | 4 | 14-19 | 9 |
| 18. ასტონ ვილა | 12 | 2 | 3 | 7 | 10-22 | 9 |
| 19. საუთჰემპტონი | 12 | 2 | 2 | 8 | 18-30 | 8 |
| 20. ქუინზ პარკი | 12 | 0 | 4 | 8 | 9-23 | 4 |

**ბომბარდირები:** 10 - ლუის სუარესი (ლივერპული), 8 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), დემბა ბა (ნიუკასლი), 7 – მიგელ მიჩუ (სუონსი)

**როგორც ყოველთვის, ჩემპიონთა ლიგის თამაშების შემდეგ პრემიერლიგაში ტურის ცენტრალური მატჩი კვირას დაინიშნა. ხვალ "სტემფორდ ბრიჯზე" "ჩელსი" "მანჩესტერ სიტის" უმასპინძლებს. ჩემპიონობის პრეტენდენტთა დაპირისპირება ისედაც დიდ ინტერესს მიიპყრობდა, მაგრამ სამშაბათს ტურინში 3:0-ის წაგების შემდეგ რობერტო დი მატეოს დათხოვნა და მის ადგილზე რაფა ბენიტესის დანიშვნა, ამ მატჩს განსაკუთრებულ ელფერს სძენს.**

"ჩელსის" ახალ ესპანელ დამრიგებელს შეუძლია, წარმატებული დებიუტის შემთხვევაში ლიდერთან სხვაობა სამ ქულამდე შეინარჩუნოს. დიახ, სამ ქულამდე, რადგან თამამად შეიძლება იმის წინასწარმეტყველება, რომ "მანჩესტერ იუნაიტედი" "ქუინზ პარკთან" თავის მატჩს მოიგებს. "სტემფორდ ბრიჯზე" მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში კი სხვაობა 5 ქულამდე გაიზრდება, რაც, უპირველესად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იქნება მძიმე გადასატანი. ბენიტესს "ჩელსის" სერიოზული ფსიქოლოგიური შოკიდან გამოყვანა დასჭირდება. თავად წარმოიდგინეთ, გუნდი, რომელიც ყველა ტურნირზე უმთავრეს ფავორიტებს შორის სახელდებოდა, ბოლო ერთი თვის განმავლობაში ჩატარებულ 8 შეხვედრაში 4-ჯერ დამარცხდა და მხოლოდ 2-ჯერ იმარჯვა. ამას გარდა, პრაქტიკულად დაასრულა გამოსვლა ჩემპიონთა ლიგაში.

"ჩელსის" ბოლო წლებში "სიტისთან" საშინაო შეხვედრებში დადებითი ბალანსი აქვს – 7-დან 6 მოგება, ბურთების 18:5-ზე შეფარდებით. ლონდონელთა ვებგვერდზე მოცემულია სტატისტიკა, სადაც საინტერესო აღნიშვნაა: შარშან, "სიტი" "სტემფორდ ბრიჯზე" სტუმრობის წინ პრემიერლიგის მონაწილე 92 კლუბს შორის ერთადერთი იყო, რომელსაც წაგებული არ ჰქონდა და სეზონში პირველი მარცხი შინაურ ტურნირებში სწორედ "ლურჯებმა" აწნიეს. "ქალაქელები" წელსაც იმავე სტატუსით სტუმრობენ ლონდონს – **რობერტო მანჩინის** გუნდი ისევ ერთადერთი დაუმარცხებელია 92 კლუბს შორის. ისე, ვერც "სიტის" ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ვუწოდებთ სახარბიელოს, რადგან ხვალინდელი მეტოქისგან განსხვავებით, მან პრაქტიკულად კი არა, უკვე თეორიულადაც დაასრულა ჩემპიონთა ლიგის პლეიოფისთვის ბრძოლა.

გვაპატიეთ, თუ ტრადიცია დავარღვიეთ, რადგან როგორც წესი, ტურის წინა მიმოხილვას ცხრილში მოცემული წყვილების მიხედვით მივყვებით ხოლმე. ამჯერად, წესიდან გამონაკლისი დავუშვით.





მანჩესტერში სერ ალექს ფერგიუსონის ძეგლი გაიხსნა

XIII ტურს "სანდერლენდი"-"ვესტ ბრომვიჩის" წყვილი გახსნის. **სტივ კლარკის** გუნდმა გასვლითი შეხვედრა პირველად XI ტურში მოიგო და დღეს ზედიზედ მეორედ გეგმავს სტუმრად სამი ქულის აღებას. მას ამის საფუძველი ნამდვილად აქვს. "შავი კატები" "სტედიუმ ოფ ლაითზე" ნამდვილად არ არიან მრისხანე მასპინძლები. **მარტინ ონილის** გუნდს, წესით, ამჯერადაც უნდა გაუჭირდეს გამარჯვება.

"ნორვიჩი" სეზონის დაწყების შემდეგ საუკეთესო ფორმაშია - ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. 5-დან 2-ჯერ "იადონებმა" გასვლაზე ითამაშეს ფრედ. ამჯერად **კრის ჰიუტონის** შეგირდებს "ევერტონთან" "გუდისონ პარკზე" მოუწევთ სტუმრობა, რაც ყველასთვის სერიოზული განსაცდელია. მიუხედავად **მარუან ფელაინის** დისკვალიფიკაციისა, ვფიქრობთ, მერსისაიდელები შეძლებენ მეტოქის გატეხას.

შესავალშივე ვთქვით: პრაქტიკულად დარწმუნებულები ვართ, რომ "ოლდ ტრეფორდზე" "მანჩესტერ იუნაიტედი" "ქუინზ პარკს" აუცილებლად დაამარცხებს. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. დავიწყოთ იმით, რომ "რეინჯერები" "ეშმაკებისთვის" ისტორიულად მიიჩნეოდნენ იოლ ლუკმად. ამას ზემოთ სტატისტიკურ მონაცემებშიც ნახავდით. ამას გარდა, დღევანდელი მასპინძლები ძალიან გაბრაზებულები არიან, რადგან ჯერ ჩემპიონატში და მერე ჩემპიონთა ლიგაში ორჯერ "მშრალად" დამარცხდნენ. ძნელად დასაჯერებელია, **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა მესამე თამაში დათმოს, თანაც აუტსაიდერთან. "იუნაიტედს" შინ მიჯრით 54 თამაშში აქვს გოლი გატანილი, რაც მეორე საუკეთესო შედეგია ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში. პირველ ადგილზე 50-იანი წლების "ვულვერჰემპტონი" დგას 75 მატჩით. ლონდონელებზე კი იმას ვიტყვით, რომ "ოლდ ტრეფორდზე" მათ დროებითი თავკაცის ხელმძღვანელობით მოუწევთ გამოსვლა.

"სტოკ სიტი"-"ფულჰემის" დაპირისპირებაში ორი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ფილოსოფიის გუნდი ხვდება. მასპინძლები ქულებს მძიმე შრომით აგროვებენ. თუკი მიმდინარე სეზონში მათი თამაშით ვიმსჯელებთ, პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე მეტი პრეტენზია არც უნდა ჰქონდეთ. "ფულჰემი" კი პირიქით, იმაზე უფრო ლაღად ასპარეზობს, ვიდრე ექსპერტები ვარაუდობდნენ. **მარტინ იოლის** გუნდმა ბოლო პერიოდში ცოტა დაამუხრუჭა, მაგრამ იოლად არავისთვის არაფერი დაუთმია. ამჯერადაც სერიოზულ ბრძოლას ველით და არც ერთი შედეგი არ გაგვიკვირდება.

"უიგანი"-"რედინგის" შეხვედრაში სტუმართა მცირე უპირატესობას ველოდებით. "არისტოკრატებმა" ხომ XII ტურში ნანატრი პირველი გამარჯვება ჩაიწერეს აქტივში. "უიგანმა" კი "ენფილდზე" პირი შეირცხვინა (0:3). ისე არც უინტერესო მატჩია გამორიცხული, რომელიც ფრედ დასრულდება.

დღის ბოლო დაპირისპირება "ვილა პარკზე" შედგება. მასპინძლებს წინა ტურის შემდეგ არბიტრის კრიტიკისთვის დისკვალიფიცირებული **პოლ ლამბერტი** აკლიათ. შოტლანდიელი ტრიბუნებიდან თუ უქომაგებს საკუთარ გუნდს. XII ტურში "ტოტენჰემთან" გაბრწყინების შემდეგ "არსენალმა" უნდა დაამტკიცოს, რომ ეს ყველაფერი კანონზომიერება იყო და არა მხოლოდ კაცნაკლული მეტოქის უმოწყალო რბევა.

"სუონსი" "ლივერპულს" მიმდინარე სეზონში ერთხელ უკვე შეხვდა და თავბედი აწყევლინა - "ენფილდზე" 3:1 დაამარცხა ლიგის თასის მე-4 რაუნდში. მას მერე "წითლებმა" ნელი ნაბიჯებით, მაგრამ დაიწყეს სიტუაციის გამოსწორება. მართალია, ბოლო 7 შეხვედრაში არ წაუგიათ, მაგრამ მოგებითაც მხოლოდ ორჯერ მოიგეს. საინტერესოა, დაძლევს თუ არა "ლივერპული" ლამის 20-თვიან წყევლას და მოიგებს თუ არა ზედიზედ მეორე თამაშს. რატომღაც გვგონია, რომ მერსისაიდელებს ეს შეუძლიათ.

"საუთჰემპტონმა" XII ტურში უშუალო კონკურენტს გასვლაზე სძლია. ამჯერად "წმინდანებს" უკვე შინ მოუწევთ გასავარდნი ზონიდან თავის დაღწევისთვის ბრძოლა. "კაჭკაჭები" საშინელ ფორმაში არიან. **ალან პარდიუს** ბიჭებმა ბოლო 6 შეხვედრაში 18 შესაძლებლიდან მხოლოდ 6 ქულა აიღეს და ალბათ საბოლოოდ ჩაიქნიეს ხელი ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის ამბიციურ გეგმაზე.

"ჩელსი"-"სიტის" პარალელურად კიდევ ერთი საინტერესო მატჩი გაიმართება. ძალიან ცუდ ფორმაში მყოფი "ტოტენჰემი" ლონდონურ დერბიში "ვესტ ჰემს" უმასპინძლებს. მართალია, **ანდრე ვილაშ ბოაშისგან** სადებიუტო სეზონში სასწაულებს არავინ ელოდა, მაგრამ ბოლო 5 ტურში 4 წაგებაც ალბათ მეტისმეტია. ჩვენი აზრით, "დეზები" კოშმარულ სერიას ხვალ აუცილებლად დაასრულებენ.

**ლევან ბიბილაშვილი**



მანჩესტერ სიტის და ჩელსის დაპირისპირება ყოველთვის ყურადღების ცენტრშია

## ამბები

### ჰიუზი გააგდეს, რედნაპი დანიშნეს





"ქუინზ პარკმა" პრემიერლიგის სასტარტო 12 ტურში წარუმატებელი თამაშის შემდეგ მთავარ მწვრთნელს, 49 წლის **მარკ ჰიუზს** პოსტი დაატოვებინა. უელსელს "რეინჯერებიდან" წასვლა "საუთჰემპტონთან" შინ 1:3-ის შემდეგ სურდა, მაგრამ მაშინ კლუბმა მისი განცხადება არ დააკმაყოფილა. „სქაი სპორტსის" ცნობით, ლონდონურ კლუბში "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩის დასრულების შემდეგ **ჰარი რედნაპი** დაინიშნება. 65 წლის სპეციალისტი ივნისში "ტოტენჰემიდან" გათავისუფლების შემდეგ უმუშევარი იყო. მას უკრაინის ნაკრებთან 2-წლიან ხელშეკრულებაში 10 მილიონ ევროს სთავაზობდნენ, რაზეც უარი თქვა.

### არსენალის გრანდიოზული კონტრაქტი

"არსენალის" ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ კლუბმა კომპანია "ემირეიტსთან" ახალი 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც ავიაკომპანია "მეთოფეებს" ამ დროის განმავლობაში 150 მილიონ ფუნტს (185 მილიონი ევრო) გადაუხდის. ხელშეკრულების მიხედვით, "ემბარტონ გროუვი" "ემირეიტსის" სახელს 2028 წლამდე შეინარჩუნებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

საფრანგეთი. ლიგა 1. XIV ტურის წინ.

# მთავარი მატჩები კვირას გაიმართება

**გუშინ**

სტ. ეტიენი-ვალანსიენი 1:0

**დღეს**

პსჟ-ტრუა 20:00
ნანსი-აიაჩო 23:00
სოშო-ნიცა 23:00
ბასტია-ლორიანი 23:00
რეიმსი-ბრესტი 23:00
რენი-ევიანი 23:00

**ხვალ**

მონპელიე-ბორდო 17:00
ტულუზი-ლიონი 20:00
მარსელი-ლილი 00:00

| | თ | მ | ფ | | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სენტ ეტიენი | 14 | 7 | 4 | 3 | 24-10 | 25 |
| 2. ლიონი | 12 | 7 | 4 | 1 | 23-11 | 25 |
| 3. ბორდო | 13 | 6 | 6 | 1 | 18-10 | 24 |
| 4. პსჟ | 13 | 6 | 5 | 2 | 19-10 | 23 |
| 5. მარსელი | 12 | 7 | 2 | 3 | 16-11 | 23 |
| 6. ვალანსიენი | 14 | 6 | 4 | 4 | 27-16 | 22 |
| 7. რენი | 13 | 7 | 1 | 5 | 18-16 | 22 |
| 8. ლილი | 13 | 5 | 5 | 3 | 16-14 | 20 |
| 9. ტულუზი | 13 | 5 | 4 | 4 | 20-16 | 19 |
| 10. ლორიანი | 13 | 4 | 6 | 3 | 21-25 | 18 |
| 11. ნიცა | 13 | 3 | 7 | 3 | 18-19 | 16 |
| 12. ბრესტი | 13 | 5 | 1 | 7 | 14-18 | 16 |
| 13. რეიმსი | 13 | 4 | 3 | 6 | 13-14 | 15 |
| 14. მონპელიე | 13 | 3 | 5 | 5 | 18-18 | 14 |
| 15. აიაჩო | 13 | 4 | 4 | 5 | 14-18 | 14 |
| 16. სოშო | 13 | 4 | 2 | 7 | 13-19 | 14 |
| 17. ბასტია | 13 | 4 | 2 | 7 | 19-32 | 14 |
| 18. ევიანი | 13 | 3 | 3 | 7 | 15-22 | 12 |
| 19. ტრუა | 13 | 1 | 5 | 7 | 14-25 | 8 |
| 20. ნანსი | 13 | 1 | 3 | 9 | 8-24 | 6 |

შენიშვნა: "აიაჩოს" - 2 ქულა

**ბომბარდირები:** 10 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 8 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 7 – ბენ იედერი (ტულუზი); 6 – ერდინჩი (რენი), გომისი (ლიონი), გუფრანი (ბორდო).

**საფრანგეთის ჩემპიონატის მე-14 ტური ორი ყველაზე უხვგოლიანი გუნდის მატჩით, პარასკევს დაიწყო. მეხუთე ადგილზე მყოფმა "სენტ ეტიენმა" მეექვსეზე მყოფ "ვალანსიენს" უმასპინძლა. ამ ტურის სხვა გამორჩეული მატჩები კვირას გაიმართება, ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი კი შაბათს, ერთ-ერთ აუტსაიდერს მასპინძლობს...**

პარიზში სტუმრად მე-19 ადგილზე მყოფი "ტრუა" ჩადის და უიმედოდ მოჩანს, მით უმეტეს, რომ პსჟ-ს, 2-თამაშიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** უბრუნდება, რომელიც 10 გოლით ბომბარდირთა დავას ლიდერობს. პარიზელებს უკვე სამი თამაშია არ მოუგიათ და ამ ცუდი სერიის დასასრულებლად უკეთეს მეტოქეს ვერც ინატრებდნენ. წინა ტურში "რენთან" წაგების შემდეგ, **კარლო ანჩელოტიმ** კრიზისზე საუბარი დაიწყო, მაგრამ სულ რამდენიმე დღეში მისმა გუნდმა კიევში მოიგო და ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის საგზური მოიპოვა. ახლა ქომაგები მოგებას ლიგა 1-ის მატჩშიც ელიან.

"ტრუას" მხოლოდ ერთი მოგება აქვს, თუმცა ეს სამი ქულა **ჟან ფურლანის** შეგირდებმა "მარსელთან" მოიპოვეს. ისტორიის განმავლობაში "ტრუამ" პარიზში 10-ჯერ ითამაშა და 8-ჯერ წააგო, ორ შემთხვევაში კი შინ ქულა წაილო. 1977 წელს "პარი სენ ჟერმენმა" სტუმრებს 8:2 მოუგო. ასე არა, მაგრამ პარიზელები საყვარელი გუნდისგან დიდი ანგარიშით გამარჯვებას ელიან.

კვირას სამი მატჩია დაგეგმილი და სამივე დიდ ინტერესს იწვევს. თბილისის დროით 17 საათზე "მონპელიე" საკუთარ მოედანზე "ბორდოს" უმასპინძლებს და 3-მატჩიანი მოუგებელი სერიის (3 ფრე) დასრულებას ეცდება, თუმცა ეს იოლი ნამდვილად არ იქნება, რადგან **ფრანსის ჟიოს** შეგირდები შესანიშნავად გამოიყურებიან და ჩემპიონატში მხოლოდ ერთი მატჩი აქვთ წაგებული. გარდა ამისა, ხუთშაბათს "ბორდომ" ბრიუგეში მოიგო და ევროპა ლიგის მომდევნო ეტაპის საგზურიც მოიპოვა. თუ დიდი ხნის წინ დაშავებულ **ქარიმ აიტ-ფანას** არ ჩავთვლით, გუნდებს განსაკუთრებული დანაკლისი არ აქვთ და ორივე მხარე მოედანზე ძირითადი შემადგენლობით უნდა გამოვიდეს.

მონპელიეში მატჩის დამთავრებიდან, დაახლოებით ერთ საათში საკმაოდ საინტერესო დაპირისპირება ტულუზში გაიმართება – ამ ქალაქში ჩემპიონატის ლიდერი "ლიონი" ჩადის. მასპინძლებმა სეზონი ძალიან კარგად დაიწყეს, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სამი შეხვედრა წააგეს და ახლა მე-9 ადგილზე არიან, "ლიონს" კი "ბორდოს" მსგავსად მხოლოდ ერთი წაგება აქვს (სწორედ "ბორდოსთან") და გარდა იმისა, რომ პირველ პოზიციაზეა, ერთი მატჩი (მარსელთან) თადარიგში აქვს.

უკვე 5 წელია "ლიონს" ტულუზში გოლი არ გაუტანია – ამ პერიოდში სულ 6 თამაში გაიმართა, რომელთაგანაც მასპინძლებმა 4 მოიგეს და 2 ფრედ დაასრულეს (ბურთების სხვაობა: 8:0). ბოლოს "ოლიმპიკის" ფეხბურთელებმა "სტადიუმ მუნისიპალიდან" 3 ქულა 2005 წელს წაიღეს (0:1). სტუმრებს დისკვალიფიკაციის გამო **ანტონი რევეიე** არ ეყოლებათ, გარდა ამისა, ტრავმა აქვს **ჯიმი ბრიანს** და მისი თამაში საეჭვოა.

ტური კი "ველოდრომზე", "მარსელი"-"ლილის" მატჩით დასრულდება. **რუდი გარსიას** გუდნმა, შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგაზე ბატე დაამარცხა და ხასიათი ოდნავ გამოიკეთა. ამის საპირისპიროდ, ევროპა ლიგაზე დამარცხა "მარსელი" და ჯგუფში ჩარჩა, რის გამოც **ელი ბოპი** ძალიან იმედგაცრუებული იყო. მასპინძლებს **მორგან ამალფიტანო** არ ეყოლებათ, რომელსაც **ბლეზ მატუიდისთვის** ხელის გარტყმის გამო 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, სამაგიეროდ, გუნდს უბრუნდებიან **ჟორდან აიუ** და რაც უფრო მნიშვნელოვანია: **ჯოი ბარტონი**, რომელმაც ჯერ კიდევ ინგლისში მიღებული 12-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და ახლა უკვე ლიგა 1-ში თამაშის უფლებაც აქვს (აქამდე ბარტონი მხოლოდ ევროპაში თამაშობდა).

შევსება არის სტუმართა რიგებშიც – ერთი მატჩის გამოტოვების შემდეგ ისევ მწვრთნელის განკარგულებაშია **მარვენ მარტენი**, რომელზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. "ლილმა" წინა ტურში (ლორიანთან), ზედიზედ სამი მოგებული მატჩის შემდეგ წააგო და მართალია ახლა მე-8 ადგილზეა, სამაგიეროდ, მომავალ მეტოქეს მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება.

**ტატო ბაციკაძე**



კოპა სუდამერიკანა. 1/2 ფინალი. I მატჩები.

# შანსი ყველას აქვს

**უნივ. კატოლიკა-სან პაულო 1:1**

**გოლები:** 0:1 რაფაელ ტოლოი (22), 1:1 ნ. კასტილიო (70).

ტიგრე-მილიონარიოსი 0:0

კოპა სუდამერიკანაზე ნახევარფინალური ეტაპის პირველი მატჩები გაიმართა და ჯერჯერობით არაფერი გარკვეულა, გარდა იმისა, რომ ორივე წყვილში ფავორიტი გამოიკვეთა.

ტურნირის ყველაზე ძლიერმა გუნდმა, "სან პაულომ" სტუმრად ჩილეში ითამაშა და შეხვედრის დებიუტში ძალიან მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა – თავი ახალგაზრდა მცველმა, **რაფაელ ტოლოიმ** გამოიჩინა, რომელმაც ორი კვირის წინ გოლი "უნივერსიდად დე ჩილესაც" გაუტანა. სტუმრებს ანგარიშის გაზრდის შანსები კიდევ ჰქონდათ, მაგრამ **ლუკას მოურამ** მიზანი ვერ გაისწორა, რისთვისაც ბრაზილიელები დაისაჯნენ. 70-ე წუთზე 19 წლის **ნიკოლას კასტილიომ** ახლოდან დაარტყა, მასზე ორჯერ უფროსმა (39 წლის) **როჟერიო სენიმ** შეცდომა დაუშვა და ანგარიში გათანაბრდა, 1:1.

მეორე ნახევარფინალური დაპირისპირება არგენტინაში შედგა და გოლის გარეშე დასრულდა. მატჩის ყველაზე რეალური მომენტი არგენტინელთა ვეტერან ფორვარდ **ესეკილ მახიოლოს** ჰქონდა, მაგრამ მისი დარტყმული, სასწაულებრივ ნახტომში, **ლუის დელგადომ** მოიგერია. "მილიონარიოსი" საკუთარ მოედანზე ძალიან ძლიერია ("პალმეირასს" 3:0 მოუგო, ხოლო "გრემიოს" 3:1) და საპასუხო მატჩის წინ ფავორიტადაც ის მიიჩნევა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ "ტიგრეს" არგენტინის ჩემპიონატში მოგება არ აქვს (8 ფრე და 7 მარცხი), **ნესტორ გოროსიტოს** გუნდი სუდამერიკანაზე დამაჯერებლად თამაშობს და უშანსოდ ნამდვილად არ არის.

ნახევარფინალის საპასუხო მატჩები 29 და 30 ნოემბერს გაიმართება.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელოს სტუმარი

# რომან რურუა

# ჩემპიონთა ჩემპიონი

„ლელოს" სტუმარი გახლავთ სახელოვანი ქართველი ფალავანი, ოლიმპიური ჩემპიონი რომან რურუა, რომელსაც ხვალ დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდება.

**— ბატონო რომან, წინასწარ გილოცავთ იუბილეს. ჯანის სიმრთელესა და მხნეობას გისურვებთ.**

— დიდი მადლობა.

**— უფროსი თაობის წარმომადგენლებისგან არაერთხელ გვსმენია, რომან რურუა შრომისმოყვარე, მიზანსწრაფული და უშიშარი პიროვნებაა, რომელმაც არაფრისგან გამოჭედაო თავისი ბედი და ისტორია. გაიხსენეთ პირველი ნაბიჯები დიდ სპორტში.**



— მადლიერებით მინდა დავიწყო: „ლელოს" ფურცლებზე ჩემი გვარი ნახევარი საუკუნის წინათ გამოჩნდა. 1958 წლიდან სწორედ თქვენმა გაზეთმა შემოუნახა შთამომავლობას ჩემი სპორტული ცხოვრება და არა მარტო ჩემი: ნებისმიერი ქართველი სპორტსმენი და, საერთოდ, მთელი ქვეყანა ვალშია „ლელოს" წინაშე. ეს არის ყველაზე პოპულარული და უსაყვარლესი გაზეთი საქართველოში, განსაკუთრებით სპორტსმენებისთვის. დიდი მადლობა, რომ ტრადიციას არ ღალატობთ.

ახლა კი საკუთარ თავზეც გეტყვით: ჩემი სპორტული კარიერა სოფელ მუხურჩაში დაიწყო, სადაც მდინარე აბაშის ნაპირას, ჭალაში, ბიჭებთან ერთად დილიდან საღამომდე დავდევდი ჭინჭებით გატენილ რეზინის ბურთს. მაშინ 8-10 წლის ვიქნებოდი. ისე ძალიან მომინდა ფეხბურთელობა, რომ 1955 წელს თბილისში ჩამომიყვანეს. პირველად ვნახე „დინამოს" სტადიონი — უზარმაზარი მრგვალი შენობა, რომლის ტრიბუნებზეც, ალბათ, ასამდე მუხურჩა დაეტეოდა. ცსკა — „დინამოს" თამაშს დავესწარი. მერე „ნორჩ დინამოელში" მოვხვდი გრიშა გაგუასთან. ურიგო პერსპექტივა არ მქონდა, მეც არაფერს ვიშურებდი. სოფლიდან ქალაქში რომ მოდიხარ, რაღაცის მიღწევა გსურს. მეც მინდოდა, კაცი გავმხდარიყავი. ფეხბურთი ტრამპლინად გავიხადე. ვცდილობდი, მიზნის თამასა, რაც შეიძლება, მაღალი ყოფილიყო, იმის მიუხედავად, რომ ხელმოკლედ ვცხოვრობდი და სავარჯიშოდ ნახევრად მშიერ-მწყურვალი მივდიოდი. საკუთარ თავს ხვალ უფრო მეტს ვთხოვდი, ვიდრე დღეს. სხვაგვარად წინსვლა წარმოუდგენელი იყო. მიღწეულით არასდროს ვკმაყოფილდებოდი.

**— ფეხბურთიდან ჭიდაობაში როგორ აღმოჩნდით?**

— ერთ დღეს ჩემმა უფროსმა ბათუმელმა მეგობარმა ილია ტულუშმა ჭიდაობის სამყაროსთვის ცნობილ „პეტრეს დარბაზში" წამიყვანა. კარგა ხანს ვუყურე ახალგაზრდა „კლასიკოსთა" ფანდების კორიანტელს. მონუსხულივით ვიდექი დარბაზის კუთხეში. უცებ მამაკაცის ხმამ გამომაფხიზლა: „ჭაბუკო, რა შორიდან გვიყურებ, შემოდი ხალიჩაზე". ეს გახლდათ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნერსეს აკოფოვი. თითქოს ხელი მკრესო, ნაბიჯი გადავდგი ოფლში გახვითქული ბიჭებისკენ და... მას მერე ფეხბურთისკენ აღარც გამიხედავს...

*აქაც დიდი ნიჭი და მონდომება აღმოაჩნდა მუხურჩელ ყმაწვილს. ქანცის გამოლევამდე ვარჯიშობდა. მწვრთნელს რომ ეგონა, მისი შეგირდი შხაპს გადაივლებდა და შინ წავიდოდა, რომან რურუა ისევ დარბაზს უბრუნდებოდა და სხვასთან განაგრძობდა წვრთნას. გარჯამ შედეგი გამოიღო. 1961 წელს ქუთაისში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე იასპარეზა. ცნობილ ფალავნებთან პაექრობაში მეხუთე ადგილი დაიკავა. იქვე საკავშირო ნაკრების წევრობის კანდიდატად დაასახელეს.*

— ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იმავე წელს თბილისში გამართული გუნდური საკავშირო პირველობა იყო, — ბრძანა ბატონმა რომანმა. — საქართველოს ნაკრებში მერაბ ლუდუშაურის რეკომენდაციით ჩამრიცხეს. ფაქტობრივად, თავისი ადგილი დამითმო. არადა, წინა წელს მან საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოიგო.

*დებიუტანტმა უფროსი მეგობარი არ გააწბილა: ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხა საქვეყნოდ აღიარებული ფალავნები, მათ შორის — ოლიმპიური ჩემპიონი* ***ოლეგ კარავაევი.***

— თბილისში კარავაევი დამექადნა, ჩვენ კიდევ შევხვდებითო ერთმანეთს. მაშინ ამ სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. მაგრამ გავიდა 2 წელიწადი და, მართლაც, კვლავ წარვდექით ერთმანეთის პირისპირ. ეს იყო 1963 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე. ამ შეჯიბრებისთვის ბორჯომში ვემზადებოდით. მორიგი მოთელვისას სტადიონზე სამყურას ნაცვლად ოთხყურა ბალახს წავაწყდი. უფროსებისგან მსმენოდა, ბედნიერება მოაქვსო. მეც მოვწყვიტე და წიგნში შევინახე. მოსკოვში პირველ მეტოქედ კარავაევი რომ მერგო, უნებურად ოთხყურა ბალახი გამახსენდა. ჩემი ბედიც ეგ ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე და საჭიდაოდ გავედი...

*ქართველმა ჭაბუკმა შავი დღე აყარა ოლიმპიურ ჩემპიონს. ფინალში ზაპოროჟიელ* ***იური გრიგორიევს*** *მოუგო და სპარტაკიადის ოქროს მედალი მოიპოვა. მაშინ მისი ჭიდაობა უნახავს* ***მილან ერცეგანს,*** *რომელიც მერე დიდხანს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი იყო. მას უთქვამს: „ვირუპაევის, სტაშკევიჩის და კარავაევის გვერდით გამოჩნდა კიდევ ერთი დიდი პოტენციის ახალგაზრდა ოსტატი რომან რურუა, რომლის შესახებ მალე გაიგებს მთელი მსოფლიო".*

— საკავშირო ნაკრებისკენ მიმავალ გზაზე ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონების მთელი ხერგილების გადალახვა მომიხდა, — წამით ჩაფიქრდა რომან რურუა. — ჩემს წონაში მაშინ შეუდარებელი „კლასიკოსები" გამოდიოდნენ: კარავაევი, ვირუპაევი, სტაშკევიჩი, საპუნოვი, გრიგორიევი... ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მთელი თანავარსკვლავედი. ყველას ვუგებდი. თუ გინდათ, ტრაბახად ჩამითვალეთ: ჩემპიონი ვიყავი ჩემპიონთა შორის.

**— და მაინც, ხშირად დიდ სარბიელზე სხვები გაჰყავდათ...**

— დიახ, იყო ასეთი შემთხვევებიც. საკავშირო ნაკრების მწვრთნელები ზოგჯერ თავისიანის წაყვანას არჩევდნენ. მართალი გითხრათ, არც ის ბიჭები იყვნენ დასაწუნი. მაგალითად, საპუნოვი და გრიგორიევი, შესაბამისად, 1963 და 1965 წლებში მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. სამაგიეროდ, 1964 წელს ტოკიოში ოლიმპიურ თამაშებზე მე ვიჭიდავე.

**— სადაც ვერცხლის მედალი გხვდათ.**

— მსაჯების უსამართლობას რა ვუთხარი, თორემ იაპონიიდან ოლიმპიური „ოქრო" უნდა ჩამომეტანა. შესანიშნავ სპორტულ ფორმაში ვიყავი. ფინალამდე ყველა მეტოქე დავამარცხე, მათ შორის — რომის ოლიმპიური ჩემპიონი თურქი მუზახირ სილე, რომელიც ორჯერ დავაწვინე „სუფთაზე". გვიან გავიგე მწვრთნელებისგან, ოლიმპიური ჩემპიონი დამიმარცხებია. გადამწყვეტ პაექრობაში განთქმულ უნგრელ მოჭიდავეს, სამგზის მსოფლიოს ჩემპიონ იმრე პოლიაკს შევხვდი. მეტოქე ნაკლები საჯარიმო ქულებით გავიდა ფინალში და ჩემპიონობისთვის ფრეც ხელს აძლევდა. ყველაფერი ილონა საამისოდ არბიტრების დახმარებით. სამჯერ გადავიყვანე ჩოქბჯენში, თუმცა მსაჯებმა ერთხელაც „ვერ შენიშნეს". ოლიმპიადის შემდეგ ლოზანაში — ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში — ამ ორთაბრძოლის ფირი ვნახეთ. ყველამ აღიარა, რომ მსაჯები შეცდნენ, 3:0 გავიმარჯვე, მაგრამ ოლიმპიადის შედეგი არავის შეუცვლია. გული მაინც არ მწყდება. პოლიაკზე ალალი იყო ოქროს მედალი. მან ოთხჯერ იასპარეზა ოლიმპიურ სარბიელზე და წინა სამზე მეორე ადგილებით დაკმაყოფილდა. მეოთხე ცდა მაინც ხომ უნდა დაგვირგვინებულიყო ოქროთი. ამიტომაც თანაუგრძნობდნენ მას არბიტრები. არც მიკვირს.

უნგრეთში პოლიაკის დასაფლავებაზე მიმიწვიეს. კათედრალური ტაძრის ეზოში დაკრძალეს სახელოვანი სპორტსმენების — ლასლო პაპისა და ფერენც პუშკაშის გვერდით, სადაც მადიართა ყველა დროის უდიდესი ადამიანები არიან დასაფლავებული.

**სადარბაზო ბარათი**

დაიბადა 1942 წლის 25 ნოემბერს მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩაში. ასპარეზობდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (63 და 68 კგ). 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის მეორე პრიზიორი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი (1966, 1967, 1969, 1970). საბჭოთა კავშირის ხალხთა III, IV და V სპარტაკიადებისა და სსრკ სამგზის (1964, 1965, 1970) ჩემპიონი, ივან პოდდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული (1966), იყო საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, სსრკ ნაკრების მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, სოკ-ისა და ფილას ორდენების კავალერი.

**— სხვა დროსაც თუ უცდიათ მსაჯებს თქვენი დაჩაგვრა?**

— ძალიან იშვიათად. ტრაბახად ნუ ჩამითვლით და, საკმაოდ ძლიერი ვიყავი, ჩემი მომრევი მაშინ არავინ იყო, ალბათ, ამიტომაც ვერ ბედავდნენ არბიტრები ზედმეტად მიკერძოებას. მაგალითად, ქალაქ ტოლედოში მსოფლიოს ჩემპიონატზე 6 მეტოქე დავამარცხე ქულათა საერთო ანგარიშით 82:0 და ისე ავედი კვარცხლბეკის



უმაღლეს საფეხურზე.

მეხიკოში ოლიმპიური თამაშების მოგების შემდეგ ნება დამრთეს, 68 კილოში მეჭიდავა, რადგან ყოველთვის წონის დაკლება მიწევდა. და, აი, 1969 წელს არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატას მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, მთხოვეს, ისევ 62 კილოს დავბრუნებოდი. ბევრი ვეცადე, მაგრამ შეჯიბრებაზე ჩასულს ასპარეზობის წინა დღეს 3 კილოგრამი ზედმეტი აღმომაჩნდა. ნაკრების მთავარ მწვრთნელ კოლესოვთან ერთად თითქმის მთელი ღამე ორთქლის აბანოში გავატარე. ჩემსას მაინც მივაღწიე...

*რომან რურუამ ის ჩემპიონატი დიდი უპირატესობით მოიგო. საგულისხმოა, რომ ოთხი მსოფლიოს პირველობიდან, რომლებშიც ქართველი ფალავანი ჩემპიონი გახდა, სამში საუკეთესო მოჭიდავედ აღიარეს. ბატონი რომანი ათი წელიწადი საბჭოთა კავშირის ნაკრების პირველი ნომერი და გუნდის კაპიტანი, ასევე, მწვრთნელთა საბჭოს წევრი გახლდათ.. ცნობილია, რომ* ***ყოველდღიური ვარჯიშები საბჭოთა კავშირში გივი კარტოზიამ შემოიღო,*** *ხოლო* ***დღეში ორჯერადი ვარჯიშების იდეა რომან რურუას ეკუთვნის.***

*ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი* ***ვიქტორ იგუმენოვი*** *იგონებს: რომან რურუა „სიმართლეს ყველას პირში ახლის. არც სათქმელის მოზომვა იცის მაინცდამაინც, ამავე დროს ძალიან ტაქტიანი კაცია, თავაზიანი, გულისხმიერი. უფრთხილდება ადამიანის ღირსებას. სიმართლის თქმა იცის. მაგრამ ისე, რომ არავის ამცირებს ამ სიმართლით. ეს ძალიან იშვიათი ნიჭია!.. რომანი ჩვენი გუნდის სინდისი, მისი ტრადიციების დამცველი გახლდათ. ჩვენი კაპიტანი ნაკრების ყველაზე საიმედო მოჭიდავე იყო".*

*რომან რურუასი, მართლაც, ყოველთვის ეიმედებოდათ. 1971 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წინ მიუნხენის თამაშებისთვის „კლასიკოსები" მინსკის ოლიმპიურ ბაზაზე ემზადებოდნენ. რომანიც იქ იყო. ქართველი ფალავანი ხერხემლის გაუსაძლისი ტკივილით მოსკოვის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში აღმოჩნდა.*

*ერთ დღეს რურუას პალატაში საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მაშინდელმა თავმჯდომარე* ***ირაკლი სარაჯიშვილმა*** *და ცნობილმა მწვრთნელმა* ***ვახტანგ კუხიანიძემ*** *მიაკითხეს — რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თხოვნით სპარტაკიადაზე უნდა იჭიდავოო. უარმა არ გაჭრა. ცნობილ ექიმ* ***ზოია მირონოვასთან*** *მიიყვანეს ტკივილგამაყუჩებლის გასაკეთებლად. უზარმაზარი ნემსის დანახვაზე გააყრუოლა: რა ნემსი, რის წამალი, არაფერი მტკივა, წამიყვანეთ, ვიჭიდავებო, — თქვა.*

*ბატონმა რომანმა ჩვეული სტიქიით იბრძოლა ხალიჩაზე — შვიდ მეტოქეს სძლია და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი მესამედ გახდა. სასპარტაკიადო პაექრობების დამთავრების მერე ტკივილებისგან წელში მოხრილი ისევ საავადმყოფოში დააბრუნეს, სადაც კარგა ხანს იმკურნალა. მომჯობინების შემდეგ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ერთი საერთაშორისო ტურნირი მოიგო, მაგრამ აშკარად გრძნობდა, უწინდებურად ჭიდაობა აღარ შეეძლო, რაც მის მრწამსს ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ დიდ სპორტთან განშორება გადაწყვიტა.*

*თქვა და წავიდა.*

**— ბატონო რომან, დღევანდელ ჭიდაობაში არსებულ მდგომარეობაზე რას იტყვით?**

— უწინ ნებისმიერი სახეობა, მათ შორის ჭიდაობა, ანდამატივით იზიდავდა მაყურებელს. ეს არ იყო შემთხვევითი: მაშინ „დინამოს" ფეხბურთი ხელოვნება იყო, გივი კარტოზიას თუ ვახტანგ ბალავაძის ჭიდაობა ხელოვნება იყო და ქომაგები სწორედ ამ სილამაზის სანახავად დადიოდნენ. დღეს ეს ხელოვნება სასურველ დონეზე აღარ არის, ამიტომაც ტრიბუნებზე საოცრად იკლო გულშემატკივართა რაოდენობამ.

ჭიდაობაზე ვიტყვი: „კლასიკურსა" და „თავისუფალში" ათ-ათ ათასამდე ადამიანი მაინც ვარჯიშობდა, დღეს, ალბათ, მეათედსაც ვერ დავითვლით. ის სახეობა, რომლითაც პითაგორა ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ლამის თამაშების პროგრამიდან ამოიღეს, რადგან საერთაშორისო ფედერაციამ ჭიდაობის ორივე სახეობა დააჩაჩანაკა. ასე იქნება მანამ, სანამ ამ ორგანიზაციას სათავეში მარტინეტი ეყოლება. ჭიდაობა რომ დავიწყე, შეუსვენებლად 12 წუთს ვიბრძოდით ხალიჩაზე. მერე ეს დრო შუაზე გაყვეს თითოწუთიანი შესვენებით. დღეს ორ-ორ წუთს ჭიდაობენ, ორ-სამ მეტოქეს დაამარცხებენ და ოლიმპიური ჩემპიონები ხდებიან. როგორ შეიძლება, ასეთი ჩემპიონი მძლეთა მძლედ მიიჩნიო. ვფიქრობ, რომ ორთაბრძოლა 10 წუთს უნდა გრძელდებოდეს ორ პერიოდად, რომ ფალავანმა ჭიდაობის სათანადო ფაზაში შესვლა შეძლოს. ორ წუთში "გახსნას" ვერ ასწრებს. მნიშვნელოვანი ტურნირების კვარცხლბეკზე ასასვლელად კი 6-7 შეხვედრა მაინც უნდა გამართოს.

მასობრიობა გვაკლია. განსაკუთრებით ბოლო წლებში სპორტს ზურგი ვაქციეთ. სამაგიეროდ, აფთიაქები მოვამრავლეთ. წლეულს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ვიყავი. სპეციალურად ვათვალიერებდი ქუჩებს, მაგრამ ბრიტანეთის დედაქალაქში აფთიაქს ვერსად მოვკარი თვალი. ალბათ, უამისოდ ვერ იქნებიან ინგლისელები, მაგრამ ფაქტია, ისინი ერის გაჯანსაღებას მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე მოსახლეობის ავადმყოფობის ხარჯზე აფთიაქების მომრავლებასა და წამლის ბიზნესით გამდიდრებას. საინტერესოა, ჩვენი შეგნება როდის ამაღლდება აქამდე. მე ახლოს ვიცნობ სპორტის სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას. ახლახან შევხვდი მათ. სამომავლო გეგმებზე ვისაუბრეთ. ვიმედოვნებ, რომ ისინი არა მარტო მაღალ მიღწევებზე, არამედ ახალგაზრდების და, ზოგადად, ერის გაჯანსაღებაზეც იზრუნებენ, რაც ჩემი დიდი ხნის ოცნებაა.

უქმად არც ერთი დღე არ გამიტარებია. ახლაც ბევრი მაქვს სამუშაო, ამიტომ 70 წელიწადი არ მეყოფა...

*რომან რურუამ ვალმოხდილად დატოვა დიდი სარბიელი, თუმცა სპორტისთვის ზურგი არასდროს შეუქცევია. იყო მწვრთნელი, ჭიდაობის სკოლის დირექტორი, 30 წელიწადზე მეტია, თბილისის სპორტნაწარმის ფაბრიკას ხელმძღვანელობს. ძნელბედობის ჟამს კბილებით დაიცვა საწარმო, სადაც დღეს სამასამდე ადამიანია დასაქმებული.*

**ვაჟა დანელია**



# რომან რურუა 70 წლისაა

**ჩვენო რომან!**

გილოცავთ ცხოვრებაში ღირსშესანიშნავ თარიღს, დაბადებიდან 70 წელს. თქვენ ბრძანდებით თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი სპორტსმენი. 1968 წლის მეხიკოს XVIII ოლიმპიური თამაშების, და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი.

გასული საუკუნის სამოციან წლებში თქვენ მოგვევლინეთ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის რეფორმატორად, ფლობდით უნიკალურ ტექნიკურ და ტაქტიკურ არსენალს, რომელსაც თან ახლდა პლასტიკურობა, იმპროვიზაციის დიდი უნარი, რასაც განცვიფრებაში მოჰყავდა ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ქვეყნის მრავალრიცხოვანი მაყურებელი, და საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტები.

თქვენ გახასიათებთ გატაცებით მუშაობა, კოლოსალური ენერგია და სინთეზის ნიჭი, განზომილება, მთლიანი სურათის მოხაზვა — თქვენი სტიქიაა.

გისურვებთ დიდი ხნის სიცოცხლეს თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**მეგობრები და კოლეგები**

## ქართული სპორტი

ტყვიის სროლა. ინტერვიუ ნინო უჩაძესთან

# სწავლა და სპორტი – ქართული დილემა

ნინო უჩაძე - ახლო წარსულში საქართველოს ტყვიის მსროლელთა ნაკრების წევრი, რამდენიმე ოლიმპიადის მონაწილე და ევროპის ვიცე-ჩემპიონი გუნდურში, დღეს კი მშობლიურ ქუთაისში „არასამეწარმეო- არაკომერციული პირი სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" უფროსის მოადგილეა. ის აქტიურადაა ჩართული ქუთაისის სპორტულ ცხოვრებაში. ვერაფერს გეტყვით სხვა სახეობებზე, მაგრამ რიონისპირა ქალაქიდან ბოლო წლებში მსროლელთა კარგი ნაკადი რომ წამოვიდა, ამაში მისი დიდი წვლილიცაა. უჩაძეს რამდენიმე დღის წინ ფედერაციის არჩევნებზე შევხვდით და საუბრის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაც ამ ახალი თაობიდან მთავარი სპორტსმენის - **ნინო ფანჩულიძის** საკითხი იყო, რომელიც ბოლო ტურნირზე არ გამოსულა...

ფანჩულიძის და სხვათა საკითხი ფრიად მტკივნეულია ქართული სპორტისთვის, რადგან კანონმდებლობა მოვარჯიშე მოსწავლეებსა და სტუდენტებს არანაირ შეღავათს არ აძლევს, რასაც სავალალო შედეგები უკვე მოუტანია სპორტსმენებისთვის. ამაზე ინტერვიუში უჩაძე საუბრობს, რომელსაც ქუთაისში ამ სახეობის დღევანდელ მდგომარეობაზეც დავეკითხეთ.

**- თავდაპირველად ნინო ფანჩულიძის ამბავი გვაინტერესებს: აგრძელებს თუ არა ის ვარჯიშს?**

- კი, როგორ არა, ვარჯიშობს. ის წლეულს თბილისიდან ქუთაისში დაბრუნდა სასწავლებლად და გააგრძელა ვარჯიში. სამწუხაროდ, შოთა ქველიაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე ვერ ჩამოვიდა, რადგან ჩათვლები ჰქონდა და ვერ გააცდენდა. საერთოდ, ეს ცალკე თემაა - ჩემს სამსახურში ათეულობით წერილი შემოგვდის სპორტის სამინისტროსთან შუამდგომლობის თხოვნით შეღავათებზე... ვფიქრობ, ამგვარი მიდგომა აუცილებელია და სპორტსმენებს დახმარება მართლაც სჭირდებათ, როგორც ეს ჩვენ გვქონდა თავის დროზე, როცა მოქმედი სპორტსმენი ვიყავი. ფანჩულიძეს, როგორც დიდ სპორტსმენს დავკარგავთ, თუ კანონში, საგანმანათლებლო სისტემაში რაღაც არ შეიცვალა - როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე - სკოლებში. ქუთაისში მაგალითებიც გვქონდა ვარჯიშებით გამოწვეული გაცდენების გამო ფეხბურთელების კლასში ჩატოვების და ასე შემდეგ. სასწავლო დაწესებულებები სპორტსმენებს კი ათავისუფლებენ, მაგრამ ეს საპატიო გაცდენებში არ ეთვლებათ და საჯარიმო ქულები უგროვდებათ. მაგალითად, სპორტსმენი 20 დღით შეკრებაზე რომ წაიყვანო, ეს, მინიმუმ, კლასში დატოვებას ნიშნავს, იმდენი გაცდენა დაუგროვდება.

ახლა იგივე პრობლემის წინაშეა ჩემი პირადი მოსწავლე გიორგი რამიშვილიც, რაც ფანჩულიძეს უდგას - ისიც სამედიცინოზე აბარებს და მთელ დროს სწავლას უთმობს. რა შედეგიც მან ქველიაშვილის ტურნირზე აჩვენა, ესეც სანახევრო მზადებით.

**- საბედნიეროდ, ბოლო წლებში ქუთაისში საკმაოდ გამოჩნდნენ ნიჭიერი ბავშვები. ეს რისი შედეგია, რა შეიცვალა ასეთი ქუთაისში?**

- ინტერესია დიდი. ქალაქი უბნებად დავყავით და ვცდილობთ, ყველას გავნვდეთ, მაგრამ მეორე ტირი სულ 20 დღეა, რაც ავამუშავეთ. „დინამოს" ბაზაზე ისეთი პირობები არაა, როგორიც - ახალ ტირში, მაგრამ ბატონი როლანდ გირგვლიანი ყველაფერს აკეთებს ნორმალური სავარჯიშო პირობების შესაქმნელად. იქ თუ რამეა გაკეთებული, სულ - მისი ხელით. ქალაქიც ვეხმარებით, როგორც შეგვიძლია, მაგალითად, შემა შევუძინეთ გათბობისთვის, თუმცა დიდი პრობლემაა იარაღი - ის ბაზა არეულობისას გაიძარცვა და ყველა პისტოლეტი წაიღეს... დღეს რაცაა, დიდი ნაწილი ჩემი ჩამოტანილია, შეჯიბრებებზე რომ დავდიოდი... მთავარი პრობლემა იარაღია, თორემ ბავშვების ინტერესი ძალიან დიდია. მწირი ინვენტარის მიუხედავად, მაინც ვახერხებთ, რომ შედეგები წინ მიდის.

**- სხვა რა პრობლემები გაქვთ?**

- იარაღით თუ დაგვეხმარებიან, კარგი იქნება. მასრები შევიძინეთ, ფარებიც დავამზადეთ, სპორტული ფორმებიც შევიძინეთ, ახლა კი ქალაქის ახალ ბიუჯეტში ჩავსვით საჭირო თანხა. იარაღი ძალიან ძვირია, მაგრამ, ალბათ სამ ცალს და ამდენივე დანადგარს მაინც შევიძენთ.

**- ამ ბაზებიდან რომელიმეში არის 25, 50-მეტრიანი დარბაზები?**

- 50-მეტრიანისთვის საჭირო ფართი მხოლოდ „დინამოზეა", ახალ ტირში არაა, თუმცა დანადგარები არ გვაქვს და ამიტომ ჯერჯერობით სპორტულში ვერსად ვვარჯიშობთ.

**ირაკლი თავაძე**

...აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია

## „ლელოს" მკითხველებს!

26 ნოემბრიდან „ლელო" ხსნის ახალ რუბრიკას: **„...აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია"** რუბრიკაში ყოველკვირეულად წინა პლანზე წამოიწევა ყველაზე აქტუალური თემები, მეტწილად დაუხანებლად გადასაწყვეტი. მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი აზრი ჯეროვნად დაეხმარება შესაბამის სტრუქტურებს პრობლემის გადაჭრაში.

მაშ ასე, **გთავაზობთ მომავალი კვირის მთავარ თემას: *„არის თუ არა აუცილებელი მოსწავლე და სტუდენტ სპორტსმენებს მიეცეთ სწავლის პერიოდში შეღავათები და გაცდენები ჩაეთვალოთ საპატიოდ შეკრებებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობის პერიოდში"?***

თქვენი შეხედულება გამოგვიგზავნეთ ან ტელეფონით გვაცნობეთ „ლელოს" მე-16 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული საკონტაქტო საშუალებებით.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

სუმო. კიუშუს ბაშო. 11-25 ნოემბერი

# მეასე და გადამწყვეტი!

**თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** წარმატებით დაასრულა წელიწადი - მართალია, კიუშუს ბაშოს დასრულებამდე ორი დღე დარჩა, მაგრამ 25 წლის ქართველმა უკვე გაინაღდა დადებითი ბალანსი, - მას 8-5 გაუხდა. გუშინ გაგამარუმ **ასაჰიშო** დაამარცხა, დღესკი 212-კილოგრამიანი სუმოისტი **ჩიოტაირიუს** დაეჭიდება. გუშინდელი მოგება ელიტურ დივიზიონში გაგამარუსთვის კიდევ ერთი მიზეზით იყო მნიშვნელოვანი, ეს ჩვენებურის მე-100 გამარჯვებაა მაკუუჩის დივიზიონში.

სამწუხაროდ, ვერაფრით გვახარებს ელიტის მეორე ქართველი **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**. მას წარმატებით ასპარეზობის შემთხვევაში კომუსუბის ტიტულის დაბრუნება შეეძლო, თუმცა დღეისათვის 3-10 ბალანსი აქვს. გუშინ ჩვენებურს კომუსუბი **ამინიშიკიმ** მოუგო, დღეს მას მონღოლი **შოტენრო** დაეჭიდება.

დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** იმპერატორის თასის 23-ედ მოპოვებამდე ფორმალობაღა რჩება. კიუშუს ბაშოზე ვერ ივარგეს მისმა კონკურენტებმა. ეს განსაკუთრებით ახალ დიდ ჩემპიონზე, ჰაკუჰოს მონღოლ თანამემამულე **ჰარუმაფუჯიზე** ითქმის, რომელიც უკვე 4-ჯერ წააქციეს დოჰიოზე. სხვათა შორის, იმპერატორის თასი ყველა შემთხვევაში მონღოლეთში დაიდებს ბინას, რადგან მისი მოპოვების თეორიული შანსი მე-6 მაეგაშირა **კიოკუტენჰოს** აქვს, მონღოლური სუმოს პიონერს.

**XIII დღე (მნიშვნელოვანი ბრძოლები):** ჰაკუჰო-კისენოსატო (ოშიდაში), კაკურიუ-ჰარუმაფუჯი (იორიტაოში), მიოგირიუ-კოტოშოგიკუ (იორიკირი), გოეიდო- კოტოოშუ (ჰიკიოტოში), ამინიშიკი-**ტოჩინოშინი** (კატასუკაში), ჰომაშო-ტაკეკაძე (ოშიდაში), კიოკუტენჰო-ტოჩიოზანი (კოტენაგე), შოჰოზანი-ჩიოტაირიუ (იორიტაოში), **გაგამარუ**-ასაჰიშო (ოშიტაოში).

სატურნირო მდგომარეობა

**12-1:** ჰაკუჰო (იოკოძუნა).

**10-3:** კიოკუტენჰო (მაეგაშირა 6).

**9-4:** ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა), კისენოსატო (ოძეკი); გოეიდო (სეკივაკე), ტოჩიოძანი (მ 1), შოჰოზანი (მ 2), ტოიონოშიმა (მ 6), ჩიოტაირიუ (მ 15)... **8-5:** გაგამარუ (მ 7)... **3-10:** ტოჩინოშინი (მ 3).

**XIV დღე (მნიშვნელოვანი წყვილები):** ჰარუმაფუჯი-კისენოსატო, ჰაკუჰო-კაკურიუ, კოტოშოგიკუ-კიოკუტენჰო, კოტოოშუ-ტოიონოშიმა, გოეიდო-არანი, მიოგირიუ-კაისეი, ჰომაშო-ტაკაიასუ, ამინიშიკი-ტაკეკაძე, ტოჩიოძანი-შოჰოზანი, **ტოჩინოშინი**-შოტენრო, **გაგამარუ**-ჩიოტაირიუ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური მედლები




სარაევო, 1984



პირველი, პირველმა, პირველად...

* * *

**პირველი** ცნობები ბადმინტონზე გვხვდება ინდოეთში, სადაც აღმოაჩინეს 2000 წლის წინანდელი ნახატები. მღვიმეების კედლებზე გამოსახულია ბრტყელი ხისა და ასევე ხის ბურთში ჩარჭობილი ფრთებიანი გამოსახულებებით თამაში.

* * *

**პირველმა** ქალთაგან, ბოსტონის მარათონში იასპარეზა **რობერტა ბინგმა.**

* * *

**პირველად** სტატია ჩოგბურთზე დაიბეჭდა ინგლისის ერთ-ერთ გაზეთში 1793 წლის 29 სექტემბერს.

ვიქტორინა

**1. რომელ ცნობილ ავტომრბოლს ჩამოართვეს დოპინგის მიღებაში მხილების გამო „ტურ დე ფრანსის" შვიდი ტიტული?**

ა — არტონ სენას
ბ — ლეს არმსტრონგს
გ — მიკა ჰაიკინენს

**2. თავისი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატში ცნობილმა მეკარემ ჰეთ-თრიკი შეასრულა. ვინ იყო იგი?**

ა — ბარტეზი
ბ — ბანიკოვი
გ — ჩილავერტი

**3. როდის და სად ჩატარდა ფეხბურთის ისტორიაში პირველი საერთაშორისო მატჩი?**

ა — ლონდონში
ბ — გლაზგოში
გ — უელსში

**4. დაასახელეთ პროფესიონალი ჩოგბურთელი, რომელმაც ტურნირებში პირველმა გამოიმუშავა 10 ათასი დოლარი.**

ა — ივან ლენდლი
ბ — ბორის ბეკერი
გ — ანდრე აგასი

**5. რომელ წელს მოიპოვა მაიკლ ტაისონმა პროფესიული კრივის სუპერმძიმე წონაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული?**

ა — 1982 წელს
ბ — 1985 წელს
გ — 1987 წელს

პასუხები: 1 ბ, 2 — გ, 3 — ბ, 4 — ა, 5 — გ.

არა არს რა დაფარული...

# გენდერული სკანდალების გამხელა




პირველი კაცი- სპორტსმენი, რომელიც თავს ქალად ასაღებდა, იყო დორა რატიენი (გერმანია, 1918-2008წ.) ნაცისტები გერმანიაში, ბერლინის 1936 წლის ოლიმპიადისთვის ემზადებოდნენ და დორას უბრძანეს... წონაში დაეკლო და სიგამხდრით ქალს დამსგავსებოდა. იგი შეჯიბრების პერიოდში არ შედიოდა ქალების საშხაპეში, არ იხდიდა ტანისამოსს თანაგუნდელების თანდასწრებით და ა.შ. მიუხედავად კაცობისა, დორამ ოლიმპიადაზე მხოლოდ მე-4 ადგილი დაიკავა სიმაღლეზე ხტომაში. საქმე 19 წლის შემდეგ გაიხსნა.

სხვათა შორის, დღემდე უცნობია, რამდენი ''გაქალებული'' კაცი მონაწილეობდა ოლიმპიადაზე მესამე რაიხის გუნდის სახელით.

ეს მხოლოდ გენოსე ჰებელსმა თუ იცოდა.

თარიღი

## 24 – 30 ნოემბერი

**24. 1923 წ.** დაიბადა **ზლატკო ჩაიკოვსკი** — ფეხბურთი (იუგოსლავია).

**25. 1959 წ.** დაიბადა **ალექსანდრ ბელოსტენი** — კალათბურთი (უკრაინა).

**25. 2005 წ.** გარდაიცვალა **ჯორჯ ბესტი** — ფეხბურთი (ირლანდია).

**26. 1939 წ.** ამ დღეს გარდაიცვალა კალათბურთის გამომგონებელი **ჯეიმს ნეისმიტი.**

**26. 1967 წ.** საბჭოთა კავშირში დაარსდა „გრიგორი ფედოტოვის კლუბი", რომლის წევრები ხდებოდნენ მხოლოდ ის ფეხბურთელები, რომლებმაც ოფიციალურ მატჩებში 100 და მეტი გოლი გაიტანეს.

**26. 2007 წ.** „ბარსელონას" არგენტინელი ნახევარმცველი **ლეო მესი** 21-წლამდელ ახალგაზრდა ფეხბურთელთა შორის ევროპის 2006-2007 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

**27. 1940 წ.** დაიბადა **ბრიუს ლი** (აშშ) აღმოსავლური ორთაბრძოლების დიდოსტატი, მსახიობი. გარდაიცვალა 1973 წელს.

**27. 1941 წ.** დაიბადა **ემე ჟაკე** — ფეხბურთელი, მწვრთნელი (საფრანგეთი).

**27. 2006 წ.** „ფრანს ფუტბოლის" მიერ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული „ოქროს ბურთი" იტალიელ **ფაბიო კანავაროს** გადაეცა.

**27. 2006 წ.** გარდაიცვალა **ალესანდრო დე სოუზა პერეირა** — ფეხბურთი (ბრაზილია).

**28. 1945 წ.** გარდაიცვალა **დუაიტ დევისი.** ჩოგბურთში „დევისის თასის" დამაარსებელი.

**28. 1955 წ.** დაიბადა **ალესანდრო ალტობელი** — ფეხბურთი (იტალია).

**29. 1973 წ.** დაიბადა **რაიან გიგზი** — ფეხბურთი (ინგლისი).

**30. 1991 წ.** პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალთა ფეხბურთში გახდა აშშ-ს ნაკრები, რომელმაც ფინალში ნორვეგიელებს 2:1 მოუგო.

**შენიშვნა:** ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ხუთშაბათობით "ქართული სპორტის ქრონიკებში" ქვეყნდება.

კვიმატი ობიექტივი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

● სუპერლიგა 2012-13. VI ტური

# ორ-ომბრიალი

ვიდრე თბილისში ერთმანეთის წინაშე ქართული გრანდები წარდგებოდნენ, რეგიონებში ორი მატჩი გაიმართა. რუსთავში ადგილობრივმა გუნდმა „სოხუმს" აჯობა, ხოლო ბათუმში თსუ-მ თავისი უპირატესობა დაამტკიცა - 74:61.



„რუსთავმა" ორიანებში იტრიალა: „სოხუმი" 22 ქულის სხვაობით დაამარცხა. მატჩის ბომბარდირ რუსთაველ **ნეით ბოუისაც** სწორედ 22 ქულა მოუგროვდა. მეტსაც გეტყვით, მან 2 საჯარიმო ჩააგდო, 2 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა. პასივშიც ორიანები ჰქონდა - 2-2 შეცდომა-ფოლი.

23 ნოემბერი, რუსთავი

**რუსთავი 87 : 65 სოხუმი**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 23 | 17 | 23 | 24 |
| სოხუმი | 20 | 15 | 13 | 17 |

| რუსთავი | წთ | მ | პ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოუი | 24 | 2 | 2 | 2 | 4 | 0 | 22 |
| ცეკვავა | 22 | 0 | 5 | 0 | 1 | 0 | 12 |
| აბაიშვილი | 15 | 2 | 2 | 2 | 1 | 0 | 3 |
| ჩაჩანიძე | 5 | 1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 |
| გუგავა | 4 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ნელსონი | 31 | 8 | 2 | 1 | 0 | 0 | 13 |
| ჭოჭუა | 15 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 7 |
| ტუფანი | 28 | 7 | 5 | 2 | 2 | 1 | 6 |
| ათანელიშვილი | 14 | 8 | 1 | 1 | 0 | 0 | 10 |
| მაჭავარიანი | 11 | 2 | 2 | 1 | 0 | 0 | 2 |
| არაბული | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ხმელიძე | 22 | 10 | 0 | 4 | 2 | 0 | 9 |

| სოხუმი | წთ | მ | პ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნაზმიევი | 14 | 5 | 2 | 3 | 2 | 2 | 2 |
| გულიაევა | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 |
| ჩლაიძე | 34 | 2 | 5 | 5 | 2 | 0 | 5 |
| კოპალიანი | 22 | 8 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 |
| თავართქილაძე | 8 | 1 | 2 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გასიტაშვილი | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| შავგირაძე | 8 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| დეკანოიძე | 29 | 4 | 0 | 1 | 0 | 1 | 20 |
| ბააკაშვილი | 26 | 3 | 7 | 6 | 1 | 1 | 5 |
| ქადარია | 35 | 13 | 4 | 3 | 2 | 0 | 21 |
| კვანტალიანი | 6 | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 |

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, დავით ბერიშვილი

**მიხეილ ბერუაშვილი** („რუსთავის" მწვრთნელი):

- ჩემმა ბიჭებმა მაქსიმალური მობილიზებით ითამაშეს და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. „რუსთავი" თამაშის ხარისხს აუმჯობესებს.

**ვაჟა კვარაცხელია** („სოხუმის" მწვრთნელი):

- რუსთაველები თავიდანვე ფავორიტებად მიიჩნეოდნენ და ეს უპირატესობა ბოლომდე გამოიყენეს. ბევრი შეცდომა დავუშვით. საკუთარ თავზე საკმაო სამუშაო გვაქვს.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 6 | 5 | 1 | 472/408 | 11 |
| 2. შსს აკადემია | 5 | 5 | 0 | 435/323 | 10 |
| 3. ქუთაისი | 5 | 4 | 1 | 386/338 | 9 |
| 4. არმია | 4 | 4 | 0 | 362/208 | 8 |
| 5. ოლიმპი | 4 | 4 | 0 | 395/255 | 8 |
| 6. თსუ | 6 | 2 | 4 | 383/475 | 8 |
| 7. ბათუმი-რსუ | 6 | 1 | 5 | 387/471 | 7 |
| 8. დინამო | 4 | 2 | 2 | 296/274 | 6 |
| 9. სოხუმი | 5 | 0 | 5 | 363/453 | 5 |
| 10. სტუ | 5 | 0 | 5 | 282/403 | 5 |
| 11. სამედიცინო | 4 | 0 | 4 | 214/367 | 4 |

■ ■ ■

დღეს, ოთხი ფავორიტი ერთმანეთში ითამაშებს: „არმია"-"შსს აკადემია" და „ოლიმპი"-"ქუთაისი".






23 ნოემბერი, ბათუმი

**ბათუმი 61 : 74 თსუ**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 11 | 17 | 19 | 14 |
| თსუ | 14 | 13 | 23 | 24 |

| ბათუმი | წთ | მ | პ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მაისურაძე | 35 | 7 | 3 | 1 | 0 | 0 | 2 |
| რამიშვილი | 36 | 5 | 2 | 7 | 5 | 0 | 18 |
| ნანიტაშვილი | 33 | 4 | 2 | 5 | 3 | 0 | 7 |
| ელიაშვილი | 23 | 5 | 0 | 2 | 2 | 1 | 7 |
| სიგუა | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ყველაშვილი | 22 | 6 | 0 | 1 | 0 | 2 | 10 |
| კეშელავა | 37 | 10 | 2 | 3 | 1 | 1 | 17 |
| ნინუა | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

| თსუ | წთ | მ | პ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაქრაძე | 34 | 5 | 9 | 2 | 5 | 0 | 18 |
| ასელაინი | 26 | 7 | 1 | 0 | 0 | 2 | 20 |
| კოხრეიძე | 12 | 5 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ტეტელაშვილი | 10 | 2 | 0 | 5 | 0 | 0 | 4 |
| ხანიაშვილი | 24 | 2 | 3 | 3 | 2 | 0 | 7 |
| კოგიძე | 22 | 10 | 0 | 3 | 0 | 4 | 0 |
| ბერუაშვილი | 27 | 7 | 3 | 2 | 4 | 0 | 9 |
| ჩქარეული | 24 | 4 | 2 | 3 | 1 | 0 | 10 |
| ნოზაძე | 17 | 6 | 2 | 0 | 0 | 1 | 6 |

მსაჯები: **დავით ბერეკაშვილი, ირაკლი ბერიშვილი, გურამ მიქელაძე**

სტუდენტთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა გამთამაშებელმა **გივი ბაქრაძემ**, რომელმაც, როგორც იტყვიან, თსუ-ში იპოვა თავისი თამაში. მან აჭარაში 18 ქულა, 9 პასი და 5-5 ჩაჭრა-მოხსნა მიითვალა. გივიმ 7-7 ორიან-სამიანი ისროლა, 4 ორქულიანი და 3 სამიანი ჩააგდო. მატჩის ბომბარდირი ასევე თსუ-ელი **სერჟ ასელაინი** გახდა - 20 ქულა.

**გიორგი ჩხეიძე** (თსუ-ს მწვრთნელი):

- ჩვენმა ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და დალაგებული დაცვისა და თავდასხმის ხარჯზე გამარჯვება მოიპოვეს. უკვე შეიძლება ითქვას, რომ თსუ-ს კარგად შეეწყო ახალი ლეგიონერი, სერჟ ასელაინი, რომელმაც გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წილი დაიდო.

**მიხეილ კობეშავიძე** („ბათუმის" მწვრთნელი):

- ვიბრძოლეთ, მაგრამ მაინც დავმარცხდით. სამწუხაროდ, სათანადო სათადარიგოთა სკამი არ გაგვაჩნია, რაც წაგების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.



● ქართველი უკრაინაში



გიორგი ცინცაძე

# მეთერთმეტე მოგება და პირველი ადგილი

ერთკვირიანი შესვენების შემდეგ უკრაინის ჩემპიონატში ითამაშა **გიორგი ცინცაძის** „ბუდიველნიკმა". მატჩი ლვოვში, „პოლიტექნიკა გალიჩინას" არენაზე გაიმართა. ფავორიტებად სტუმრები მიიჩნეოდნენ და ეს სტატუსი ბოლომდე გაამართლეს. მატჩი მშვიდად დაიწყეს, პირველი პერიოდი 22:17 მოიგეს, მეორე პერიოდის ბოლოს სხვაობა 8 ქულამდე გაზარდეს, ხოლო მეორე ტაიმში, მართალია, მასპინძლებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ გამარჯვება მაინც კიევში წაიღეს - 82:75.

უკვე აღარაა გასაკვირი გიორგი ცინცაძის „ბუდიველნიკის" სასტარტო ხუთეულში ხილვა. მან 24 წუთში 6 ქულა, 4 შედეგიანი გადაცემა, 1 მოხსნა და 2 ჩაჭრა მოაგროვა. „ბუმ" ერთი სამქულიანი ისროლა და მიზანში მოარტყა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე 3 რეალიზებული საჯარიმოა. 6 ორქულიანიდან კი ქართველმა გამთამაშებელმა კალათში ერთიც ვერ მოათავსა.

მატჩის ბომბარდირი „ბუდიველნიკის" ამერიკელი კალათბურთელი **ლეო ლაიონსი** გახდა - 15 ქულა ჩააგდო.

გიორგის გუნდმა ამ მოგებით უკრაინის ჩემპიონატში პირველი ადგილი შეინარჩუნა. მას 14 მატჩიდან 11 მოგებული აქვს. ასეთივე შედეგით პირველ ადგილს იზიარებს იუჟნის „ხიმკი".

25 ნოემბერს „ბუდიველნიკი" „ჰოვერლას" ეწვევა.

● ქართველები ევროლიგაზე

# სანიკიძემ შერმადინს აჯობა

## კანტუს დასანანი მარცხი

ამავე გვერდზე საქართველოს ჩემპიონატის მიმოხილვის სათაურში სიტყვა „ორი" ურევია. ეს რიცხვი ამ სტატიასაც „აჩრდილივით დასდევს", თუმცა ამჯერად სათაურში აღარ შევურიეთ. **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ" ბერძნულ „პანათინაიკოსს" უმასპინძლა და 2 ქულის სხვაობით დამარცხდა - 69:71.

მანუს მეოთხე პერიოდამდე 2 ქულა ჰქონდა, თუმცა მატჩის ბოლოს სამქულიანი ჩააგდო და „კანტუ" 66:60 დააწინაურა. თითქოს, „მწვანეები" „ლურჯების" შემჩერებლები აღარ ჩანდნენ, მაგრამ სტუმრებმა ერთმანეთის მიყოლებით ორი სამქულიანი ჩააგდეს და ბოლო წამებამდე თამაში ქულა-ქულაში წარიმართა. უკანასკნელ წამზე გადამწყვეტი ტყორცნა ბელგიელმა **ჯონათან ტაბუმ** შეასრულა, რომელმაც სამქულიანით თამაშის მოგება სცადა, მაგრამ მიზანს ააცილა და ტაბლოზე „პანათინაიკოსის" სასურველი ანგარიში დარჩა - 71:69.

მანუჩარმა 29 წუთში 5 ქულა (6-დან 1 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი), 2 მოხსნა, 2 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა.

ბერძნებთან წაგების გამო „კანტუმ" მომდევნო ეტაპზე გასვლის საქმე გაირთულა. მას 2 მოგება აქვს და ამდენივე გამარჯვებით ჩამორჩება მეოთხე ადგილზე მყოფ „პანათინაიკოსს". ტოპ-16-ში სწორედ საუკეთესო კვარტეტი გადის.

■ ■ ■

იტალიაშივე, ოღონდ სამხრეთით, სიენაში, ქართველტა გუნდები შეხვდნენ. „მონტეპასკი"-"მაქაბის" შეხვედრაში სასტარტო ხუთეულში იყო **ვიქტორ სანიკიძე**, რომელმაც 18 წუთში 2 ქულა (2-დან 1 ორქულიანი), 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა გაიფორმა.

მაქაბელ **გიორგი შერმადინს** გაცილებით მცირე დრო ერგო: 3 წუთში 2 ქულა (2-დან 1 ორქულიანი), 1 მოხსნა. ქართველები მოედანზე ერთმანეთს არ შეხვედრიან, სხვადასხვა დროს ითამაშეს.

სიენელებმა პირველ მეოთხედში დიდი სამუშაო გასწიეს და „მაქაბის" სწრაფი, აგრესიული თამაში გაანეიტრალეს. სანიკიძეს **ელიაჰუს** მეურვეობა უწევდა. სხვა მატჩებისგან განსხვავებით თელავიველებმა პირველივე ტაიმში ვერ მოახერხეს დიდი უპირატესობის დაბევება. შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და საბოლოოდ „მონტეპასკის" ორქულიანი გამარჯვებით დასრულდა - 89:87.

ამ ორ გუნდს ჯგუფში ისეთი მეტოქეები ჰყავთ („პროკომი" და „შალონი"), რომ საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა არ უნდა გაუჭირდეთ. „მაქაბის" 5 გამარჯვება აქვს, ხოლო „მონტეპასკის" - 4.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



მანუჩარ ამარკოიშვილი (მარჯვნივ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კაპიტნის ვარჯიში

# ფიჯისთან უფრო რთული თამაში გვექნება

**საქართველოს ნაკრების დღეს, ნოემბრის ტესტების ბოლო შეხვედრას მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ფიჯის ეროვნულ გუნდთან გამართავს. შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნებმა“ პირველ მატჩში იაპონიის ნაკრებს უმასპინძლეს და 22:25 დამარცხდნენ.**

საქართველოს ნაკრებმა გუშინ ბოლო, კაპიტნის ვარჯიში გამართა, რომელმაც ერთ საათს გასტანა. მცირე მოთელვის შემდეგ ძირითადი შემადგენლობა დაცვაში დადგა და მეტოქის იერიშის მოგერიებას ცდილობდა. მერე როლები გაცვალეს და დაცვაში თამაშის იმიტაციას ახლა სათადარიგოები და განაცხადში ვერ მოხვედრილი მორაგბეები ქმნიდნენ. მორაგბეები ხელდახელ ბურთაობით და შეტევის მიმართულების ხშირი ცვლით ცდილობდნენ ფონს გასვლას.

ბოლოს დამრტყმელებმა კარში ზუსტად დარტყმაში ივარჯიშეს. წვრთნაში მონაწილეობდა შერკინების ბურჯი **დავით ზირაქაშვილიც**, რომელსაც მიკრო ტრავმა აწუხებდა, სავარაუდოდ ის თამაშს შეძლებს.

სტუმრებს მატჩისწინა დღეს თავი დიდად არ დაუტვირთავთ და არხეინადაც იყვნენ.

**ინოკე მალე,** ფიჯის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*“საქართველოს ნაკრებისგან ველოდებით ძლიერ თამაშს სტატიკაში, შერკინებაში და სიღრმიდან ბურთის სწრაფად წამოღებაში. განსაკუთრებით საშიშნი არიან თქვენი გუნდის მორკინალები. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ჩვენი მიზანი ამ ყველაფრის გაანალიზება და გუნდის სათანადოდ მომზადება იყო.*

*გუნდი, რომლითაც ამ ევროპულ ტურნეზე გამოვემგზავრეთ, უმეტესად ადგილობრივი ჩემპიონატიდანაა დაკომპლექტებული. ფიჯელი მორაგბეები მრავლად არიან ევროპულ კლუბებში, მაგრამ ამჯერად მათი დამატება ვერ მოვახერხეთ, კლუბებმა არ გამოუშვეს. შემდეგ ტესტებზე მათაც დავიმატებთ და შედეგებიც უკეთესი გვექნება. ძირითადი შემადგენლობის 8-10 მოთამაშე გვაკლია და წინა სამი თამაშის დიდი სხვაობით წაგებაც მხოლოდ ამის ბრალია”.*

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ფიჯის მორაგბეთა ნაკრებები ამ მატჩს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას უძღვნიან. ეს კამპანია „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერაა ინიცირებული.



**მილტონ ჰეიგი,** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„იაპონიის ნაკრებთან მატჩის შემდეგ მზადებისთვის ბევრად მეტი დრო გვქონდა. ვეცდებით, ამჯერად უფრო ორგანიზებულად ვითამაშოთ. გვინდა, უკანა ხაზიც ისეთივე აქტიური გახდეს, როგორც შერკინება. ერთი სიტყვით, სათამაშო ბალანსი უნდა აღვადგინოთ.*

*ვიცით, რომ შეგვიძლია ფიჯი სტატიკურ მდგომარეობაში თამაშში დავჯაბნოთ. თუმცა აუცილებელია, დაცვა კიდევ უფრო გავაძლიეროთ, რადგან მათ შეუძლიათ ყველა მიმართულებით შეგვიქმნან საფრთხე. რაც მთავარია, ბურთს უნდა გავუფრთხილდეთ, ვეცადოთ, დიდხანს შევინარჩუნოთ.*

*თავიდანვე მეტოქე დიდი წნეხის ქვეშ უნდა მოვაქციოთ, უპირატესობა ჩვენი უნდა იყოს და მთელი თამაში ჩვენივე კარნახით წარიმართოს.*

*დავით ზირაქაშვილს მცირე ტრავმა აქვს და ვარჩიეთ ძირითად შემადგენლობაში დავით ქუბრიაშვილი დაგვეყენებინა. მეორეხაზელ კონსტანტინე მიქაუტაძეს პირველი მატჩის წინ ოდნავ არ გაუმართლა, შემადგენლობაში რომ ვერ მოხვდა. მან მთელი ორი კვირის განმავლობაში თავდაუზოგავად იმუშავა და, ვფიქრობ, დაიმსახურა, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშის შანსი მიეცეს. იგივე შეიძლება ითქვას ირაკლი ნატრიაშვილზეც, მასაც ვაძლევთ შანსს, თავი გამოიჩინოს.“*

**ირაკლი აბუსერიძე,** საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

*„ფიჯისთან უფრო რთული თამაში იქნება, ვიდრე იაპონიის ნაკრებთან. ფიჯელები ინდივიდუალურად უფრო ძლიერები და სწრაფები არიან. ამას კოლექტიური დაცვა უნდა დავუპირისპიროთ, არ უნდა მივცეთ თავისუფალი სივრცე. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება“.*

ფიჯის ნაკრების კაპიტნის ვარჯიში დილის ათ საათზე დაიწყო და ნახევარ საათში დასრულდა.

*„დაუშვებელია ძალადობა ქალთა და გოგონათა მიმართ. ჩვენ, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები მოვუწოდებთ რაგბის ყველა გულშემატკივარს და ზოგადად მამაკაცებს, რომ არასდროს ჩაიდინონ და არ დაუშვან ძალადობა ქალთა და გოგონათა მიმართ“* - თქვა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა.

### საქართველო-ფიჯი

**საქართველო: 15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. სანდრო თოდუა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. ვიქტორ კოლელიშვილი, 8. მამუკა გორგოძე.**

**16. შალვა მამუკაშვილი, 17. მიხეილ ნარიაშვილი, 18. დავით ზირაქაშვილი, 19. ვახტანგ მაისურაძე, 20. გიორგი ბეგაძე, 21. ბექა ბიწაძე, 22. ლაშა ხმალაძე, 23. თედო ზიბზიბაძე.**

**ფიჯი: 15. მეტუსეილა ტალემბულა, 14. აისეა ნატონგა, 13. საულა რანდინდი, 12. ვერენიკი ნგონევა, 11. ვატისონი ვოტუ, 10. ჯონეტანი რალულუ, 9. ნიკოლა მატავალუ. 1. ჯერი იანუტავა, 2. ვილიამე ვეიკოსო, 3. სეტეფანო სომოსა, 4. ლეონე ნაკარავა, 5. აპისალომე რატუნირავა, 6. აპი ნაიკატინი, 7. მალაკაი რავულო, 8. ილიესა რატუვა.**

**16. ტუაპატი ტალემაი-ტონგა, 17. მანასა საულო, 18. ჯერი ნაურეურე, 19. ჯოვილი ნდომი-ლაილაი, 20. ნემანი ნანგუსა, 21. კელემენდი მბოლა, 22. სამუელა ვარა, 23. მალაკაი ვოლაუ.**

**მსაჯი: პასკალ გოზერი (საფრანგეთი)**

● დიდმოხელეთა სტუმრობა



შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილთან

# საქართველო განვითარებული სარაგბო ქვეყანაა

**მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს რაგბის საერთაშორისო საბჭოს ალმასკომის სხდომაზე საქართველოს რაგბის კავშირი დაწინაურდება და ის ელიტარულ ქვეყნებს გაუტოლდება. აქამდე პირველი დონის სარაგბო ქვეყნებად 16 ქვეყანა მოიხსენიებოდა და მალე მათ რიგებს საქართველოც შეემატება.**

შედეგად საერთაშორისო საბჭოს მხრიდან გაიზრდება ქართული რაგბის დაფინანსება, რაც ავტომატურად ნიშნავს სამომავლოდ უფრო მაღალი დონის ტესტ-მატჩებს ძლიერ მოწინააღმდეგეებთან. ამ ყველაფერს კი გარანტად სახელმწიფო უდგება, რომელიც უკვე კარგა ხანია ახორციელებს ქართული რაგბის განვითარების ოთხწლიან პროგრამას, ის მომავალშიც გაგრძელდება და დიდი ალბათობით, გაიზრდება კიდეც.

2013 წლის ივნისიდან თბილისი ყოველწლიურად ტრადიციულ ოთხთა ტურნირს უმასპინძლებს. რუმინეთის ტურნირი არ უქმდება და იქ “ევროპის ერთა თასიდან” რუსეთის ნაკრები ითამაშებს, თბილისში კი, პორტუგალიის, ესპანეთის ან ურუგვაის ნაკრები ჩამოვა. მონაწილე ორ-ორ გუნდს დაემატებიან სამხრეთ აფრიკის, არგენტინის, ირლანდიის და იტალიის A ნაკრებები, რომლებიც როტაციის პრინციპით თბილისსა და ბუქარესტში იასპარეზებენ. ამასთან ერთად, მომავალი წლის ნოემბერში თბილისს კანადისა და აშშ-ს ნაკრებები ესტუმრებიან.

რადგან საქართველოში მთავრობის ცვლილება მოხდა, შეიცვალა სპორტის მინისტრი და სხვა ხელმძღვანელი პირები, თბილისს რაგბის საერთაშორისო საბჭოს მაღალჩინოსნები, განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელი **მარკ იგანი**, კომიტეტის თავმჯდომარე **გრემ მური** და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **რიჩი დიქსონი** ეწვივნენ, რომლებმაც შეხვედრები გამართეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლევან ყიფიანთან**, მის მოადგილე **გია რაფავასთან** და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **გიორგი ასათიანთან**. მათგან გარანტიების მიღების შემდეგ, ისინი შესახვედრად საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ბიძინა ივანიშვილთან** გაემართნენ.

**ლევან ყიფიანი**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი.

*“უწინარესად, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო რაგბის საერთაშორისო საბჭოს იმ დაფასებისთვის, რომელსაც ისინი ჩვენი ქვეყნის რაგბის კავშირის მიმართ იჩენენ. მათ აღნიშნეს, რომ მოკლე პერიოდში ქართულმა რაგბიმ განვითარებისკენ დიდი ნაბიჯები გადადგა და ისინი მზად არიან, საქართველო აიყვანონ უმაღლეს რანგში და გაუტოლონ განვითარებულ სარაგბო ქვეყნებს. მათგან მივიღეთ კონკრეტული წინადადება, რომ მომავალი წლიდან ყოველწლიურად, საქართველომ უმასპინძლოს ოთხთა ტურნირს, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებებთან ერთად ითამაშებენ წამყვანი სარაგბო ქვეყნების “ა” ნაკრებები.*

*ლაპარაკია უფრო მაღალი დონის ტესტ-მატჩების გამართვაზეც. წლეულს, ნოემბერში საქართველოს უკვე ესტუმრა იაპონიისა და ფიჯის ნაკრებები და ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. უახლოეს წლებში საქართველოში, რაგბის საერთაშორისო საბჭოს დაფინანსებით და თანადგომით, ამ და უფრო მაღალი დონის ნაკრებებსაც ვიხილავთ.*

*სტუმრებთან ერთად ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ბატონ ბიძინა ივანიშვილს შევხვდებით, სადაც კიდევ ერთხელ დავადასტურებთ, რომ სახელმწიფო განაგრძობს რაგბის დახმარებას. რაგბის კავშირის მოდელი სამაგალითო უნდა გახდეს სპორტის სხვა სახეობებისთვის, რადგან ის მართლაც საუკეთესოა საქართველოში. რაგბის კავშირისგან უკვე მივიღეთ ოთხწლიანი გეგმა თავისი ბიუჯეტით. ურთიერთობებში პრობლემას ვერ ვხედავთ, ნებისმიერ შემთხვევაში, არსებული პროგრამა ძალაში რჩება და შესაძლოა, ამ პროგრამის დაფინანსება გაიზარდოს კიდეც”.*

**მარკ იგანი, IRB**-ს განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელი:

*“მოხარული ვარ საქართველოში მორიგი სტუმრობით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო გვერდით უდგას რაგბის განვითარებას. პროგრესი აშკარაა და რაგბის საერთაშორისო საბჭოც გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას, რადგან მიგვაჩნია, რომ ის ჩვენი ოჯახის მნიშვნელოვანი წევრია”.*

**გიორგი ნიჟარაძე,** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

*“რაგბის საერთაშორისო საბჭოს ალმასკომის სხდომებზე და კონგრესზე, არაერთხელ აღინიშნა ქართული რაგბის წინსვლისა და სახელმწიფოს მხრიდან მისი თანადგომის თაობაზე. ვიზიტის მიზანი იყო ახალი მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრა და შემდგომი ოთხწლიანი ციკლის თანამშრომლობის შესახებ საუბარი. ეს პროგრამა გაგრძელდება და უკვე ითქვა ით კონკრეტულ სასიკეთო ამბებზე, რასაც რაგბის საერთაშორისო საბჭო აპირებს.*

*მათ მოისმინეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრისგან, რომ სახელმწიფო რაგბის წინაშე აღებულ ყველა ვალდებულებას შეასრულებს და თავის მხრივ, მათგანაც მივიღეთ დასტური, რომ მომავალი წლიდან საქართველოში ყოველწლიურად გაიმართება ტრადიციული ოთხთა ტურნირი. ამა წლის ნოემბრის ბოლოს რაგბის საერთაშორისო საბჭო საქართველოს მიანიჭებს განვითარებული სარაგბო ქვეყნის სტატუსს და ეს არის დიდი დაფასება და აღიარება. შესაბამისად, საქართველოს რაგბის კავშირს საერთაშორისო ორგანიზაციიდან გაეზრდება დაფინანსება და ჩვენთვის უფრო მარტივი გახდება სერიოზული ტესტ-მატჩების დაგეგმვა”.*

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

ფორმულა 1. ინტერვიუ ფერნანდო ალონსოსთან

# ბრაზილიაში სასწაული არ მოხდება

**კვირას სან პაულუში გაიმართება სეზონის დასკვნითი რბოლა, რომელიც განსაზღვრავს - ვინ გახდება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი - სებასტიან ფეტელი თუ მასთან 13 ქულით ჩამორჩენილი ფერნანდო ალონსო. ორი დღის წინ ალონსომ პერსონალური პრესკონფერენცია ჩაატარა და საჩემპიონო შანსების გარდა, ბევრ სხვა თემაზე ილაპარაკა, მათ შორის, თავის ბავშვობაზე.**

**- 13 ქულა სოლიდური სხვაობაა ერთი დარჩენილი რბოლისთვის. ბევრს ჰგონია, რომ ჩემპიონატის ბედი გადაწყვეტილია. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

- საკუთარ ძალებში დარწმუნებული ვარ. ასევე მჯერა ჩემი გუნდის, ასე რომ, ბოლომდე ვიბრძოლებთ. სეზონის დიდი ნაწილი არც ისე კონკურენტუნარიანი მანქანით გამოვდიოდი, მაგრამ ჩავარდნისა და პროგრესის მომენტები ყველას ჰქონდა. უფრო სხვა რამ არის მნიშვნელოვანი. დარწმუნებული ვარ, რომ გუნდი ასი პროცენტით გამოიყენებს თავის პოტენციალს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ტექნიკა არ გაძლევს მაქსიმუმის ჩვენების საშუალებას – ეს არ არის იმის საბაბი, რომ ხელები ჩამოუშვა და დანებდე.

**- როგორია ალბათობა იმისა, რომ "ფერარი" რაღაც ახლის მოფიქრებას შეძლებს ბრაზილიის გრანპრისთვის?**

- აუცილებლად რაღაცას მოვიფიქრებთ. ბრაზილია – ბოლო რბოლაა, სასწორზე ძევს ტიტული. რა თქმა უნდა, ახალ მანქანას ვერ გამოვიგონებთ, მაგრამ გარკვეული სიახლეები გვექნება. ეჭვი არ მეპარება, რომ მანქანა იმდენად სწრაფი იქნება, რამდენადაც ეს შესაძლებელია. პარასკევს, ვარჯიშებზე ახალ ვარიანტებს გამოვცდით. ლაპარაკია წამის მეათედებზე, მაგრამ ხანდახან ამას ოქროს ფასი აქვს. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ სხვებიც იგივეთი იქნებიან დაკავებული. ყველას მოუნდება მომატება და რომელიმე კონკურენტი ამას აუცილებლად მოახერხებს. ბრაზილიაში სასწაული არ მოხდება. ყველაფერს გადაწყვეტს ტექნიკური მახასიათებლები კონკრეტულ ტრასაზე, კონკრეტულ მეტეოროლოგიურ პირობებში. ასევე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იღბალზე.

**- "ფერარიმ" ბრაზილიაში საკუთარი თავს უნდა აჯობოს თუ "რედ ბულმა" უნდა დაუშვას ერთი შეცდომა?**

- არც ერთ ვარიანტს არ გამოვრიცხავ.

**- რატომ ხართ ასე დარწმუნებული საკუთარ თავში? ეს გამარჯვებისკენ სწრაფვიდან მოდის?**

- საქმე ისაა, რომ მძულს წაგება. ამასთან, ბევრ ადამიანს გაუხარდება, თუ "ფერარი" "რედ ბულს" გაასწრებს. მაგრამ თუ ეს არ მოხდება, გამოვნახავ ძალას იმისთვის, რომ სებასტიანს გამარჯვება მივულოცო.

**- არსებობს ისეთი რამ, რაც ბრაზილიაში თქვენზე არ იქნება დამოკიდებული?**

- ალბათ, იღბალი. სხვა დანარჩენი კი საკუთარი კონტროლის ქვეშ უნდა აიყვანო. რაც შეეხება ზეწოლას, რომელსაც პილოტები გრძნობენ, ეს საერთოდ არ უნდა მივიღოთ მხედველობაში. ჩვენ ხომ პროფესიონალი მრბოლელები ვართ, თანაც საკმაოდ მაღალი კლასის.

**- წელს მხოლოდ სამი გრანპრი მოიგეთ. შეგიძლიათ იმის წარმოდგენა, რომ გახდებით ჩემპიონი ისე, რომ ვერ მოიგებთ ბრაზილიის გრანპრის?**

- შემიძლია. ჩემთვის საკმარისია პოდიუმზე ასვლა იმ შემთხვევაში, თუ ფეტელი ვერ დაასრულებს რბოლას. შესაძლებელია ასეთი ვარიანტი? რა თქმა უნდა. რაც შეეხება მოგებებს, ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენი მანქანა ისეთი სწრაფი არ არის, როგორც "რედ ბული". თუმცა, საბოლოო ჯამში, ყველაფერს წყვეტს გუნდური მოქმედება, "ფერარის" კი ეს უმაღლეს დონეზე აქვს დაყენებული. ამიტომაც მიჭირავს თავი ასე ამაყად, რაც არ უნდა მოხდეს.

**- და მაინც, რატომ უნდა მოიგოთ ტიტული სწორედ თქვენ?**

- აქ ლაპარაკია არა ჩემზე, არამედ მექანიკოსებზე, ინჟინრებზე, "ფერარის" ხელმძღვანელებზე. ისინი თითქმის არ უშვებდნენ შეცდომას ამ სეზონში. მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ გამოვეთიშე ბრძოლას და ეს არც ერთხელ არ ყოფილა გუნდის ბრალი. შედარებისთვის, ფეტელსაც ორი ასეთი გამოთიშვა ჰქონდა – ორივე მექანიკური პრობლემების გამო. ისინი კი მაშინ წარმოიქმნებიან, როცა მანქანაში რაღაც არ არის წესრიგში. თავად სებასტიანი არაფერში იყო დამნაშავე.

### არც ერთი ავარია ტრასის მიღმა

მიუხედავად იმისა, რომ პრესკონფერენციაზე სერიოზული თემები განიხილებოდა, ალონსომ ბავშვობა და ავტოსპორტში თავისი პირველი ნაბიჯები გაიხსენა.

*"პირველად საჭესთან სამი წლის ასაკში დავჯექი. არ მახსოვს, რა მანქანა იყო, მაგრამ 1984 წელს აღებული "მართვის მოწმობის" ფოტო შემორჩენილი მაქვს (ალონსო 1981 წელს არის დაბადებული). რბოლაც ადრე დავიწყე. 8 წლის ასაკში მოვიგე ოლქის ჩემპიონატი კარტინგში, 14 წლისა უკვე მსოფლიოს ჩემპიონი ვიყავი. მაშინ ვფიქრობდი, რომ კარტინგში სამუდამოდ დავრჩებოდი – 14 წლის ვიყავი და უკვე ფულს მიხდიდნენ.*

*ძალიან უბრალო ოჯახში დავიბადე. დედა მაღაზიაში სუნამოებს ჰყიდდა, მამა მაღაროელი იყო. როცა გარკვეულ წარმატებებს მივაღწიე კარტინგში, მამამ მაინც გამომინახა სამუშაო – ლიფტის მემონტაჟის თანაშემწე ვიყავი. მაშინ საერთოდ არ ვფიქრობდი, რომ ოდესმე ფორმულა 1-ის პილოტი გავხდებოდი".*

**- მამაზე გაბრაზებული იყავით?**

- რისთვის? მე მას მთლიანად ვეთანხმებოდი. დიახ, რბოლა გამომდიოდა, მაგრამ სავსებით შეიძლებოდა მომავალი წლისთვის კონტრაქტი ვერ მიმეღო. და მაშინ რა მრჩებოდა? წავიდოდი ლიფტების დასამონტაჟებლად...

ალონსოს პირველი პირადი მანქანა იყო – "რენო მეგანი". ის ამ ავტოთი 90-იანი წლების ბოლოს სარგებლობდა, როცა "რენოს" ღირსებას იცავდა.

*"დიახ, პირველი მანქანა დიდი მოვლენა იყო, - გაეღიმა ესპანელს. – მაშინ 18 წლის ვიყავი, მართვის მოწმობა მივიღე და სკოლაში მანქანით დავდიოდი, არადა, ის სულ რაღაც 400 მეტრში იყო ჩვენი სახლიდან. სასაცილოა".*

**- მართვის მოწმობა უპრობლემოდ აიღეთ?**

- ქალმა ინსტრუქტორმა მხოლოდ ერთი შენიშვნა მომცა. მისი აზრით, გამოცდისას ძალიან ნელა ვმოძრაობდი. ისე ვიყავი შეშინებული, რომ არ მინდოდა, რაიმე შეცდომა დამეშვა. ქალაქში ყველაფერმა კარგად ჩაიარა და როცა ტრასაზე გავედით, იქ საჭიროზე ნელა ვმოძრაობდი. არადა, ინსტრუქტორი სულ სხვა რამეს ელოდა – მაშინ უკვე კარგად მიცნობდნენ.

**- გახსოვთ პირველი ავარია?**

- მე არასოდეს მქონია ავარია.

### ჯაშუშობა ინტერნეტში

რაღაც მომენტში, საუბრის თემა თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებს შეეხო...

*"სოციალური ქსელები პილოტებისთვის – ეს კარგია, - განაცხადა ესპანელმა. – სხედხართ სადმე კაფეში, კითხულობთ მეგობრების ახალ ამბებს, ურთიერთობა გაქვთ ფანებთან... ჩვენ ძალიან დიდ დროს ვატარებთ აეროპორტებსა და ცაში. ყოველთვის თან დამაქვს კომპიუტერი და ვუყურებ ფილმებს. შეიძლება ითქვას, დღე-ღამეში 24 საათი ინტერნეტთან ვარ მიერთებული".*

**- ბევრს წერთ "ტვიტერსა" და "ფეისბუქზე". ამას ტელეფონით აკეთებთ?**

- მათ შორის მეხუთე "აიფონი" მაქვს და ის ამის საშუალებას იძლევა. მაქვს ასევე ნოუთბუქი, რომელიც მოგზაურობებში დამაქვს. ამას ემატება საშინაო პერსონალური კომპიუტერი. და კიდევ, ყველაზე დიდი – სარბოლო სიმულატორი. თავიდან ვფიქრობდი, რომ ვიღაც დამეხმარებოდა "ტვიტერთან" დაკავშირებით, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე, თავად მეკონტროლებინა ის, რაც საჯაროზე გამომქონდა. პასუხებსაც თავად ვცემ. ხანდახან არც ისე ზრდილობიანი ვარ და თუ ამის გამო ერთი ხელმომწერით ნაკლები მეყოლება, ამით ტრაგედია არ მოხდება და არც ჩემი ცხოვრება შეიცვლება.

**- დღეში რამდენჯერ წერთ "ტვიტერზე"?**

- ოთხჯერ-ხუთჯერ. ხანდახან ჩემთვის უფრო იოლია საკუთარი ხასიათის ფოტოთი გადმოცემა, ვიდრე ტექსტური შეტყობინებით. იგივეა "ფეისბუკზე", სადაც მე საკუთარი გვერდი მაქვს. მიყვარს ინტერნეტში ხალხთან ურთიერთობა. სკოლის დროიდან ბევრი არ მინახავს. ორი თვის წინ მოვაწყვე ვახშამი – დაახლოებით 170 ადამიანი მოვიდა. მათ მე ვახსოვარ, რადგან ჩემი სახელი ხშირად ესმით, მე კი არ მახსოვდა, რა ერქვა ყოველ მეორეს.

**- ცოტა ხნის წინ ნასკარ-ის სერიის ჩემპიონი, ამერიკელი ბრედ კესელოვსკი 25 ათასი დოლარით დააჯარიმეს იმის გამო, რომ ზედ რბოლის სტარტის წინ, საკუთარ სარბოლო ავტომობილში "ტვიტერზე" რაღაცას წერდა. "ფერარიში" არ გიჩნდებათ პრობლემა თქვენი ინტერნეტ-აქტიურობის გამო?**

- სერიოზული ინციდენტები არ ყოფილა, ხოლო ფორმულა 1-ის ბოლიდის საჭესთან "ტვიტერზე" წერა საკმაოდ პრობლემატურია – იქ საჭეზე არსებული ღილაკებისთვის არ გყოფნით თითები. გასაგებია, რომ, როცა შენ ამა თუ იმ დოზით ამჟღავნებ გუნდის "სამზარეულოს" ამბებს, სერიოზულ რისკზე მიდიხარ. გახსოვთ, რამხელა ხმაური ატყდა იმის გამო, რომ ჰემილტონმა "ტვიტერზე" თავისი ტელემეტრია გამოიტანა?! (ეს მოხდა ამა წლის სექტემბერში – "მაკლარენის" პილოტს ამით თავისი სისწორის დამტკიცება სურდა გუნდის ინჟინრებთან კამათში. "მაკლარენმა" ფოტოების წაშლა მოითხოვა, მაგრამ ის უკვე მთელს ინტერნეტში იყო გავრცელებული. და მოგვიანებით, რამდენიმე გუნდის ინჟინერმა აღიარა, რომ ჰემილტონი მათ ძალიან დაეხმარა). მინდა ადამიანებს ბევრი საინტერესო მოვუყვე, მაგრამ მესმის: ბევრი რამ კატეგორიულად აკრძალულია.

**- თვალს ადევნებთ იმას, რას წერენ "ტვიტერში" თქვენი კონკურენტები?**

- რა თქმა უნდა. ამით ბევრი მნიშვნელოვანი და ღირებული რამის გაგება შეიძლება. ამიტომაც, ყოველთვის ვადევნებ თვალს სხვის ჩანაწერებს. ამით კარგად ჩანს პილოტის ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

**- ცხოვრებაში შეგიძლიათ იმეგობროთ კონკურენტ პილოტებთან?**

- არა.

**- რამდენიმე წლის წინ, თქვენ ხშირად აძლევდით თავს უფლებას, გაგეკრიტიკებინათ საკუთარი გუნდები. მაგრამ "ფერარიში" ასეთი რამ არ ხდება. გაიზარდეთ თუ უბრალოდ, "სკუდერიაა" უნაკლო?**

- საქმე ისაა, რომ ამ გუნდის ბიჭები თავიანთ სამუშაოს ასი პროცენტით ასრულებენ და მე ამის შესახებ შესანიშნავად ვიცი. ისიც ვიცი, რა ძლიერ განაწყენებული ვიქნები, თუ გავიგებ, რომ ისინი 99 პროცენტით აკეთებენ თავიანთ საქმეს. მე ხომ ასი პროცენტით ვიხარჯები წელიწადში 365 დღის განმავლობაში, ამიტომაც მინდა, ჩემს გარშემო მყოფებსაც იგივე დამოკიდებულება ჰქონდეთ საქმის მიმართ. თუ გუნდში რაღაც ისე ვერ არის, მაშინ მირჩევნია წავიდე, ვიდრე შევეგუო ამას. სწორედ ასე ვიქცეოდი ადრე. მაგრამ "ფერარი" განსაკუთრებული შემთხვევაა. ამ გუნდში აღმერთებენ რბოლებს, ამით ცხოვრობენ. ფორმულა 1-ში შეიძლება მოგებაც და წაგებაც, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შედეგი, არამედ თავად პროცესი. "ფერარიში" ვარ და მესმის, რომ შედეგი – მხოლოდ დროის საკითხია. და ამის გამო მიყვარს საკუთარი გუნდი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



## მეორე მექსიკელი დიდ ცირკში

ფორმულა 1-ის 2013 წლის ჩემპიონატისთვის პელოტონში კიდევ ერთი ვაკანსია შეივსო - „ზაუბერის" მეორე პილოტის როლი მიიღო მექსიკელმა **ესტებან გუტიერესმა**, რომელიც გერმანელი **ნიკო ჰიულკენბერგის** მეწყვილე გახდება. შეგახსენებთ, რომ გუტიერესი შვეიცარიულ საჯინიბოში თანამემამულე **სერხიო პერესს** შეცვლის, რომელიც, თავის მხრივ, „მაკლარენში" გააგრძელებს კარიერას.

გუშინ კიდევ ერთი ტრანსფერის შესახებ გახდა ცნობილი. „მარუსიას" პილოტი **შარლ პიკი** „კატერჰემში" გააგრძელებს კარიერას. 22 წლის ფრანგმა ამ გუნდთან მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა ზუსტ ვადას არ ასახელებენ.

ამ მომენტისთვის, ფორმულა 1-ის გუნდებში შემადგენლობების მხრივ ასეთი მდგომარეობაა:

**რედ ბული:** სებასტიან ფეტელი, მარკ უებერი;
**ფერარი:** ფერნანდო ალონსო, ფელიპე მასა;
**მაკლარენი:** ჯენსონ ბატონი, სერხიო პერესი;
**ლოტუსი:** კიმი რაიკონენი, ერთი ადგილი ვაკანტურია;
**მერსედესი:** ლუის ჰემილტონი, ნიკო როსბერგი;
**ზაუბერი:** ნიკო ჰიულკენბერგი, ესტებან გუტიერესი;
**ფორს ინდია:** ორივე ადგილი ვაკანტურია;
**უილიამსი:** ორივე ადგილი ვაკანტურია;
**ტორო როსო:** დანიელ რიკარდო, ჟან-ერით ვერნი;
**მარუსია:** ორივე ადგილი ვაკანტურია;
**კატერჰემი:** შარლ პიკი, ერთი ადგილი ვაკანტურია;
**HRT:** ორივე ადგილი ვაკანტურია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი. ნოემბრის ტესტები



ბურთით მორგან პარა

# ტესტები დასასრულს მიუახლოვდა

**ნოემბრის ტესტების ბოლოსწინა სათამაშო დღე შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე საინტერესო გამოვა, რადგან დაპირისპირებული გუნდები მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალისანი არიან.**

ძალიან კარგი გუნდის ჩამოყალიბება შეძლო **ფილიპ სენტ-ანდრემ.** ფრანგების გუნდი ისე დამაჯერებლად ასპარეზობს, როგორც არასდროს. რაც მეტწილად „ლე ბლოში“ მგზავის **ფრედერიკ მიშალაკის** დაბრუნებას უკავშირდება. გამოცდილი მორაგბე უმალვე იქცა გუნდის ლიდერად და ფრანგები ნებისმიერი მეტოქისთვის, ადვილი შესაძლებელია, გადაულახავი ბარიერი გახდნენ.

„ლე ბლოს“ მეტოქე არანაკლებ მოლონიერებული სამოას ნაკრებია, რომელმაც ნოემბრის ტესტებზე ყველა მატჩი მოიგო. მათ შორის, სამოელებმა სენსაციურად სძლიეს უელსის ნაკრებს. ფრანგებთან დაპირისპირებაში გამოჩნდება, რამდენად შორსაა წასული ეს გუნდი.

უშელავათო ბრძოლა გაიმართება ლონდონში, „თვიქნემზე“, სადაც „პომები“ სამხრეთ აფრიკის ნაკრებს უმასპინძლებენ. „ბოკეს“ თავკაცი **ჰეინკე მეიერი** ახალ გუნდს აშენებს და სამხრეთაფრიკელები განვითარების პიკს, სავარაუდოდ, სწორედ 2015 წლის მსოფლიოს თასისთვის მიაღწევენ. მანამდე ორივე გუნდს ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი და დღევანდელ დაპირისპირებაში გამოჩნდება, ამ გზაზე რომელი უფრო წინაა.

მსოფლიოს თასის მფლობელი ახალი ზელანდიის ნაკრები კარდიფში, „მილენიუმზე“ უელსის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება, რომელმაც აქამდე ორიდან ორივე თამაში წააგო. მიუხედავად იმისა, რომ „წითელ ურჩხულებს“ აშკარად კრიზისი აქვთ, „ოლ ბლექსი“ თამაშს ძალიან სერიოზულად ეკიდება და საასპარეზოდ უძლიერესი შემადგენლობა გაჰყავს.

### ინგლისი-სამ. აფრიკა

ინგლისი: **15. ალექს გუდი, 14. კრის ეშტონი, 13. მანუ ტუილაგი, 12. ბრედ ბარიტი, 11. მაიკ ბრაუნი, 10. ტობი ფლუდი, 9. ბენ იანგზი. 1. ელქს კორბიშიერო, 2. ტომ იანგზი, 3. დენ კოლი, 4. ჯო ლანჩბერი, 5. ჯოფ პარლინგი, 6. ტომ ვუდი, 7. კრის რობშო, 8. ბენ მოგანი.**

*16. დავიდ პეისი, 17. დევიდ ვილსონი, 18. მაკო ვუნიპოლა, 19. მორის ბოთა, 20. ჯეიმზ ჰესკელი, 21. დენ კერი, 22. ოუენ ფარელი, 23. ჯონათან ჯოსეფი.*

სამხრეთ აფრიკა: **15. ზან კირხნერი, 14. ჯეი პი პიტერსენი, 13. იუან დე იონგი, 12. იანი დე ფლიერსი, 11. ფრანსუა ჰუგარი. 10. პატრიკ ლამბიე, 9. რუან პინაარი. 1. ხუთრო სტენკამპი, 2. ადრიან სტრაუსი, 3. იანი დუ პლესი, 4. ებენ ესტებესი, 5. იუანდერ კრუხერი, 6. ფრანსუა ლოუ, 7. ვილემ ალბერტსი, 8. დუეინ ვერმულენი.**

*16. შხლაკ ბრაიტსი, 17. ჰეინკე ფან დერ მერვე, 18. პატ კილიერსი, 19. ფლიპ ფან დერ მერვე, 20. მარსელ კუცია, 21. ელტონ იანტიესი, 22. იაკო ტაუტე, 23. ლვაზი მვოვო.*

მსაჯი: **ნაიჯელ ოუენსი (უელსი)**

### უელსი-ახ. ზელანდია

უელსი: **15. ლეიგ ჰალპფენი, 14. ალექს კატბერტი, 13. ჯონათან დევისი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. ლაიმ ვილიამსი, 10. რი პრსიტლენდი, 9. მაიკ ფილიპსი. 1. პაულ ჯეიმზი, 2. მეთიუ რისი, 3. აარონ ჯერვისი, 4. ბრედლი დევისი, 5. ლუკ ჩარტერისი, 6. რაიან ჯოუნზი, 7. სემ ვერბარტონი, 8. ტობი ფალეტაუ.**

*16. კენ ოუენსი, 17. გეტლინ ჯენკინსი, 18. სკოტ ენდრიუ, 19. აარონ შინგლერი, 20. ჯასტინ ტიპურიჩი, 21. ტევის კნოლი, 22. ჯეიმზ ჰუკი, 23. სკოტ ვილიამსი.*

ახალი ზელანდია: **15. იარაელ დაგი, 14. ქორი ჯეინი, 13. კონრად სმითი, 12. მაა ნონუ, 11. ჯულიან სავეა, 10. დენ კარტერი, 9. აარონ სმითი. 1. ტონი ვუდკოქი, 2. ენდრიუ ჰორი, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ლუკ რომანო, 5. სემ ვაითლოქი, 6. ლიამ მესამი, 7. რიჩი მაქოა, 8. კირან რიდი.**

*16. დენ კოლი, 17. ვაით კროკეტი, 18. ჩარლი ფაუმუნია, 19. ბროდი რეტალიკი, 20. ვიქტორ ვიტო, 21. პირი ვიპუ, 22. აარონ კრადენი, 23. ბენ სმითი.*

მსაჯი: **კრეიგ იუბერი (სამხრეთ აფრიკა)**

### ირლანდია-არგენტინა

ირლანდია: **15. საიმონ ზებო, 14. ტომი ბოუი, 13. ქის ირლზი, 12. გორდონ დარსი, 11. კრეიგ ჯირლოი, 10. ჯონათან სექსტონი, 9. კონორ მურეი. 1. იან ჰილი, 2. რიჩარდ სტრაუსი, 3. მაიკ როსი, 4. დონჩა რაიანი, 5. მაიკ მაკარტი, 6. პიტერ ომაჰონი, 7. კრის ჰენრი, 8. ჯიმი ჰისლიპი.**

*16. შონ კრონინი, 17. დეივ კილსონი, 18. მაიკ ბენეტი, 19. დონჩა ოაკლაჰანი, 20. იან ჰენდერსონი, 21. ევან რიდანი, 22. რონან ოგარა, 23. ფერგუს მაკფოდენი.*

არგენტინა: **15. ხუან მარტინ ერნანდესი, 14. გონსალო კამაჩო, 13. მარსელო ბოსხი, 12. სანტიაგო ფერნანდესი, 11. ხუან იმჰოფი, 10. ნიკოლას სანჩესი, 9. მარტინ ლანდახო. 1. მარკოს აიერსა, 2. ეუსებიო გუნასუ, 3. მაქსიმიალონო ბუსტოსი, 4. მანუელ კარიზა, 5. ფარიას კაბეჯო. 6. ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე, 7. ხუან მანუელ ლეგუსამონი, ლეონარდო სენატორე.**

*16. აუგუსტინ კრევი, 17. ნაუელ ლობო, 18. ფრასნისკო კოდელა, 19. ტომას ველახოსი, 20, ტომას ლეონარდი, 21. ნიკოლას ვერგაჯო, 22. გონსალო ტიესი, 23. მანუელ მონტერო.*

მსაჯი: **იაკო პეიერი (სამხრეთ აფრიკა)**

### 24 ნოემბერი

**იტალია-ავსტრალია**
**შოტლანდია-ტონგა**
**საფრანგეთი-სამოა**

**ბესიკ ჯანგაველიძე**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 19** | |
| ფინეთი-კვიპროსი | 0:1 |
| ჩერნოგორია-დანია | 2:3 |
| **ინგლისი** | |
| **FA Trophy** | |
| გეიტშიდი-მაკლსფილდი | 2:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ნოვარა-ლივორნო | 0:1 |
| **სერია C1/A** | |
| კომო-კუნეო | 1:4 |
| **ესპანეთი** | |
| სოსიედადი-ოსასუნა | 0:0 |
| **გერმანია** | |
| ფორტუნა-ჰამბურგი | 2:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კიოლნი-ბოხუმი | 3:1 |
| პადერბორნი-დინამო | 2:2 |
| რეგენსბურგი-აალენი | 1:3 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| უნტეხჰახინგი-ხემნიცი | 4:3 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ვიქტორია-კილი | 0:3 |
| ობერნოილანდი-ვერდერი II | 2:2 |
| **რეგიონალლიგა (ჩ-ა)** | |
| კარლ ცაისი-ტორგელოვერი | 2:1 |
| მაგდებურგი-კოტბუსი II | 2:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| დუისბურგი II-კიოლნი II | 1:1 |
| ლოტე-ზიგენი | 4:1 |
| ობერჰაუზენი-ლევერკუზენი II | 2:1 |
| **რეგიონალლიგა (ს-დ)** | |
| ჰოფენჰაიმი II-ფრაიბურგი II | 0:0 |
| ზონენჰოფი-ჰომბურგი | 4:0 |
| **საფრანგეთი** | |
| სტ. ეტიენი-ვალანსი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| კაენი-ანჟერსი | 1:0 |
| ისტრი-არლი | 0:1 |
| ლავალი-დიჟონი | 3:0 |
| ლე მანი-გინგამი | 0:2 |
| ნიმი-ლანსი | 1:2 |
| ნიორი-შატორუ | 2:2 |
| სედანი-ჰავრი | 1:2 |
| ტური-გფკო აიაჩო | 2:1 |
| **ნასიონალი** | |
| ბასტია-ბულონი | 1:0 |
| ბურჟი-კრეტეი | 1:1 |
| ამიენი-ეპინალი | 3:1 |
| კოლმარი-კევილი | 2:1 |
| ორლეანი-შერბური | 2:1 |
| პარიზი-ვანი | 2:2 |
| რედ სტარი-ლუზენაკი | 1:0 |
| რუანი-მეცი | 1:0 |
| **ჰოლანდია** | |
| ბრედა-დენ ჰააგი | 0:3 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-ჰელმონდი | 1:2 |
| გრააფსხაპი-ფორტუნა | 2:2 |
| დენ ბოში-ტელსტარი | 0:1 |
| ეინდჰოვენი-ალმერი | 1:2 |
| ვოლენდამი-ემენი | 3:2 |
| მაასტრიხტი-იგლზი | 3:3 |
| ვეენდამი-ექსელსიორი | 3:2 |

| ბელგია | |
|---|---|
| სტანდარდი-ლიერსი | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| სტ. ტრუიდენი-რუზელარე | 3:0 |
| **პორტუგალია** | |
| ბეირა მარი-გიმარაეში | 2:2 |
| **შოტლანდია** | |
| **III დივიზიონი** | |
| ქუინზ პარკი-სტირლინგი | 2:1 |
| **დანია** | |
| რანდერსი-ოლბორგი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ვიბორგი-კიოგე | 0:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სტ. პოლტენი-ჰარტბერგი | 4:1 |
| გრიოდიგი-ბრაუ ვაისი | 3:0 |
| ჰორნი-ლუშტენაუ | 2:2 |
| ავსტრია (ლ)-ვენა | 3:0 |
| ალტახი-კაპფენბერგი | 2:1 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-ახისარი | 3:1 |
| მერსინი-ქარაბუქი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| დუკლა-ლიბერეცი | 3:0 |
| სლავია-ბანიკი | 0:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-მორავცე | 4:1 |
| **რუსეთი** | |
| როსტოვი-მორდოვია | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| შინიკი-სკა ენერგია | 2:2 |
| **უკრაინა** | |
| ჩერნომორეცი-კრივბასი | 2:0 |
| **პოლონეთი** | |
| კორონა-პიასტი | 4:0 |
| ლეგია-ვიძევი | 1:0 |
| **ხორვატია** | |
| ლოკომოტივა-სლავენი | 3:1 |
| **უნგრეთი** | |
| კაპოშვარი-მტკ | 0:0 |
| პეჩი-პაკსი | 1:3 |
| **რუმინეთი** | |
| გაზ მეთანი-პეტროლული | 2:0 |
| კონკორდია-გლორია | 2:1 |
| დინამო-ოცელული | 2:1 |
| **ბულგარეთის თასი** | |
| ჩერნომორეცი-სპარტაკი | 5:0 |
| ლიტექსი-ლოკომოტივი (პ) | 2:0 |
| **მოლდოვა** | |
| მილსამი-ზიმბრუ | 0:0 |
| ისკრა-რაპიდი | 0:1 |
| აკადემია-ნისტრუ | 0:0 |
| **ავსტრალია** | |
| სიდნეი-ადელაიდა | 1:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ჟალგირისი-კახა ლაბორალი | 82:45 |
| ბეშიქთაში-ბამბერგი | 83:72 |
| კანტუ-პანათინაიკოსი | 69:71 |
| რეალი-ხიმკი | 104:81 |
| მონტეპასკი-მაკაბი (თ-ა) | 89:87 |
| **საფრანგეთი** | |
| პარიზი-სტრასბური | 89:72 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავტომობილისტი-ავანგარდი | 3:6 |
| მეტალურგი (მ)-ბარისი | 5:1 |
| ს. იულიაევი-დონბასი | 5:1 |
| ტრაქტორი-იუგრა | 2:1 |
| აკ ბარსი-სპარტაკი | 2:3 (ო) |
| ნეფტეხიმიკი-დინამო (რ) | 0:1 |
| დინამო (მ)-სევერსტალი | 5:3 |
| სკა-დინამო (მნ) | 3:2 (ო) |
| ცსკა-ტორპედო | 3:2 (ბ) |
| ლევ პოპრადი-ლოკომოტივი | 7:3 |
| სლოვანი-ატლანტი | 3:2 |
| **ავსტრია** | |
| ალბა-ინსბრუკი | 2:5 |
| ვენა-გრაცი | 3:4 (ო) |
| დორნბირნი-ვილახი | 3:2 (ბ) |
| ზალცბურგი-ზაგრები | 2:6 |
| ზნოიმო-ოლიმპია | 4:2 |
| კლაგენფიურტი-ლინცი | 2:1 (ბ) |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-აისბარენი | 3:1 |
| ჰანოვერი-დიუსელდორფი | 3:1 |
| იზერლონი-კრეფელდი | 2:4 |
| მანჰაიმი-კიოლნი | 2:5 |
| მიუნხენი-ვოლფსბურგი | 3:0 |
| შტრაუბინგი-ნიურნბერგი | 1:2 |
| ინგოლშტადტი-აუგსბურგი | 2:3 (ო) |
| **დანია** | |
| ფრედერიკშავენი-ოლბორგი | 0:3 |
| ესბერგი-როდოვრე | 3:2 |
| სონდერიისკი-ჰერლევი | 5:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| მარტინი-ჟილინა | 2:4 |
| პოპრადი-პიესტანი | 1:2 (ბ) |
| სკალიცა-ნიტრა | 6:5 |
| ზვოლენი-ტრენჩინი | 2:0 |
| ბისტრიცა-კოშიცე | 3:2 |
| **ფინეთი** | |
| კალპა-კერპეტი | 3:4 (ო) |
| ჰპკ-ტაპარა | 1:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ლიტვინოვივც | 6:3 |
| ხომუტოვი-სლავია | 1:5 |
| ბუდეიოვიცე-ულინი | 3:6 |
| ბრნო-პარდუბიცე | 2:3 |
| კლადნო-პლზენი | 4:3 |
| ლიბერეცი-კარლოვი ვარი | 3:1 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ბილი | 2:4 |
| დავოსი-ციურიხი | 1:3 |
| რაპერსვილი-კლოტენი | 6:4 |
| სერვეტი-ფრიბურგი | 0:3 |
| ცუგი-ლანგნაუ | 6:2 |

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 8 | 11 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 11 | 19 | (მზე) |
| ბათუმი | 11 | 17 | (მზე) |
| ფოთი | 9 | 19 | (მზე) |
| ზუგდიდი | 6 | 18 | (მზე) |
| გორი | 5 | 14 | (მზე) |
| თელავი | 6 | 10 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 5 | 9 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | -1 | 9 | (მზე) |
| ბორჯომი | -2 | 11 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | -2 | 13 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1362 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6605 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6483 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3302 |

## TV პროგრამა

### 24 ნოემბერი. შაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. ფორტუნა-ჰამბურგი.
**12:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტურის წინ.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**15:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტურის წინ.
**16:45** ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტური. სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი (LIVE).
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტური. მანჩესტერ იუნ-ტუინზ პარკი (LIVE).
**21:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**21:30** ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტური. ასტონ ვილა-არსენალი (LIVE).
**23:30** გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. შალკე-აინტრახტი.
**01:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-კლიპერსი.
**12:00** ძიუდო. გრანპრი. ჩინეთი (LIVE).
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** NBA ACTION.
**16:30** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**17:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. ბაიერნი-ჰანოვერი (LIVE).
**20:30** კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. VII ტური. უნიკახა-პროკომი.
**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**00:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-კლიპერსი.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**13:30** რაგბი. ჰეინეკენის თასი. ნორთჰემპტონი-გლაზგო.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**17:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. შალკე-აინტრახტი (LIVE).
**20:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-კლივლენდი.
**22:30** NBA ACTION.
**23:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.

#### I არხი

**15:00** რაგბი. ტესტ-მატჩი. საქართველო-ფიჯი (LIVE).

#### II არხი

**18:00** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-დილა (LIVE).

### 25 ნოემბერი. კვირა

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. ბაიერნი-ჰანოვერი.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**15:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური. როდა-აიაქსი (LIVE).
**17:30** ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტური. სუონსი-ლივერპული (LIVE).
**19:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტური. ჩელსი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
**22:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური. ეინდჰოვენი-ვიტესი.
**00:00** არგენტინის ჩემპიონატი. XVII ტური. ლანუსი-ესტუდიანტესი (LIVE).
**02:15** არგენტინის ჩემპიონატი. XVII ტური. ბოკა ხუნიორსი-რასინგი (LIVE).

#### GMG-სპორტი 1

**10:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ოკლაჰომა.
**12:00** ძიუდო. გრანპრი. ჩინეთი (LIVE).
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი ევროლიგა. მიმოხილვა.
**16:30** რაგბი. ტესტ-მატჩი. ინგლისი-სამხრეთ აფრიკა.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. ფრაიბურგი-შტუტგარტი (LIVE).
**20:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი (LIVE).
**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**00:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-პორტლენდი (LIVE).

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**12:30** რაგბი. ჰეინეკენის თასი. ტულუზი-ლესტერი.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**17:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**17:30** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური. ეინდჰოვენი-ვიტესი (LIVE).
**19:30** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური. ტვენტე-ცვოლე (LIVE).
**21:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-ბოსტონი.
**23:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ველოსპორტი

# ალბერტო და შიშველი ქალი

ცნობილი ესპანელი ველომრბოლი, წლევანდელი ვუელტას გამარჯვებული **ალბერტო კონტადორი** უნებლიედ თამამი ფოტოსესიის მონაწილე გახდა.

ტურ დე ფრანსის ორგზის ჩემპიონი თავის გუნდთან - „საქსო ბანკთან“ ერთად კანარის კუნძულებზე საწვრთნელ შეკრებას გადის. ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ალბერტოს გზად ნუდისტი ქალბატონი გადაეყარა.

როგორც ფრანგული პრესა წერს, შიშველი ქალი მოულოდნელად გამოჩნდა ტრასაზე, თან ის მარტო არ იყო - მეუღლე ახლდა თან, რომელიც ცოლს ფოტოებს უღებდა. ფოტოსესიაში კონტადორმაც მიიღო მონაწილეობა: ექსჰიბიციონისტს გვერდით ჩაუარა და საკუთარი მობილურით ფოტო გადაუღო.

მოგვიანებით კადრი, რომელშიც ქალს ორი მხრიდან უღებენ ფოტოებს მისი მეუღლე და კონტადორი, ერთ-ერთი ფოტორეპორტიორის წყალობით მოხვდა „ტვიტერზე“.



● ჩოგბურთი



სერენა უილიამსი

# სერენა ბაჰამებზე ისვენებს

ამერიკელმა ჩოგბურთელმა **სერენა უილიამსმა** „ტვიტერზე“ თავის მიკრობლოგში დაწერა იმის შესახებ, თუ როგორ ატარებს არდადეგებს ბაჰამის კუნძულებზე.

*„ვისვენებ კარიბის ზღვის კუნძულებზე. ეს ძალიან ლამაზი და წარმტაცი ადგილია. მალე გავემგზავრები პატრიკ მურატოღლუს საჩოგბურთო აკადემიაში, სადაც 2013 წლის სეზონისთვის მზადებას დავიწყებ“*, - დაწერა ამერიკელმა.

● ავტოსპორტი

# დანიკა ქმარს გაეყარა



დანიკა პატრიკი

მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ქალი ავტომრბოლი, ნასკარ-ის სერიის პილოტი **დანიკა პატრიკი** ქმარს ეყრება. ამერიკელმა ოფიციალურად გამოაცხადა **პოლ ჰოსპენტალთან** განქორწინების შესახებ. ის თავის მეუღლესთან შვიდი წელი ცხოვრობდა.

ეს ინფორმაცია დანიკამ თავისი Facebook-ის მეშვეობით გაავრცელა. *„სამწუხაროდ, უნდა შეგატყობინოთ, რომ შვიდწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, მე და პოლი ერთმანეთს მშვიდობიანად დავშორდით*, - დაწერა მან. - *ეს არ იყო იოლი გადაწყვეტილება, მაგრამ აქამდე ჩვენ ერთად მივედით. ის მნიშვნელოვანი ადამიანი და მეგობარია. ცხოვრება გრძელდება“.*

დანიკა პოლს მაშინ შეხვდა, როცა ავტომრბოლი იმ საავადმყოფოში მკურნალობდა, სადაც ჰოსპენტალი ფიზიოთერაპევტად მუშაობდა. საინტერესოა, რომ ყოფილი მეუღლე პატრიკზე 17 წლის უფროსია.

ამ დღეებში დანიკამ დაასრულა თავისი პირველი სრულფასოვანი სეზონი ამერიკულ სარბოლო სერია NASCAR-ში - ის საერთო ჩათვლაში მე-10 ადგილზე გავიდა. მართალია, პატრიკმა ვერც ერთი რბოლა ვერ მოიგო, მაგრამ სერიის ყველაზე პოპულარულ პილოტად აღიარეს.



ჯენიფერ კაპრიატი

# ჯენიფერის დაჩაგრული ბოიფრენდი

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, 36 წლის ამერიკელი **ჯენიფერ კაპრიატი** თავისი ყოფილი ბოიფრენდის დევნაშია დადანაშაულებული. ყოფილმა გოლფისტმა **ივან ბრენანმა** კაპრიატის წინააღმდეგ პოლიციაში ათი განცხადება შეიტანა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ჩოგბურთელი მას დევნიდა და ავიწროებდა.

შეგახსენებთ, ადრე კაპრიატიმ აღიარა, რომ ჩოგბურთიდან წასვლის შემდეგ დეპრესია დაემართა. 2010 წელს ჯენიფერი საავადმყოფოში მოხვდა ნარკოტიკების ზედმეტი დოზის გამო.

# არაპატრიოტი მარიონი

ფედერაციის თასზე საფრანგეთის ქალთა ნაკრების კაპიტანმა **ამელი მორესმომ** განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ნაკრების რიგებში არ ითამაშებს ქვეყნის პირველი ნომერი **მარიონ ბარტოლი**. შეგახსენებთ, რომ მარიონს ფრანგების რიგებში 2004 წლის შემდეგ არ უთამაშია, რადგან მის მამასა და პირად მწვრთნელს კონფლიქტი ჰქონდა საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციასთან.



ამელი მორესმო

*„ის მოთხოვნები, რომელსაც მარიონის გუნდი გვიყენებს, შეუთავსებელია ჩვენს წარმოდგენასთან თანამედროვე მუშაობაზე. არსებობს შანსი, რომ მომავალში ეს სიტუაცია შეიცვალოს, მაგრამ ამ მომენტისთვის ის ნაკრებში არ იქნება. აუცილებელია, რომ გუნდი ერთი მთლიანი ორგანიზმი იყოს, ბარტოლის კი ცალკე მუშაობა უნდა. ეს ჩემთვის მიუღებელია“*, - განაცხადა მორესმომ „ეკიპთან“ კომენტარში.

■ ■ ■

ამასობაში, ახალი მწვრთნელები დაუნიშნეს დევისის თასზე შვედეთისა და გერმანიის ნაკრებებს.

სტოკჰოლმის ტურნირის დირექტორმა **ტომას იოჰანსონმა** განაცხადა, რომ 2013 წლის დასაწყისიდან შვედეთის გუნდს ჩაიბარებს **ფრედრიკ როზენგრენი**.

რაც შეეხება გერმანიის ნაკრებს, ამ გუნდის დამრიგებელი იქნება 43 წლის **კარსტენ არიენსი** - ყოფილი პროფესიონალი და ATP-ის ერთი ტიტულის მფლობელი.

● კრივი



სტალონე და ძმები კლიჩკოები

# პრეზენტაცია ჰამბურგში

ჰოლივუდის ლეგენდარული მსახიობი **სილვესტერ სტალონე** გერმანიის ქალაქ ჰამბურგში ჩავიდა და პირადად დაესწრო მიუზიკლ „როკის“ მსოფლიო პრემიერას. შეგახსენებთ, რომ ამ მუსიკალური ფილმის თანაპროდიუსერები არიან უკრაინელი სუპერმძიმეწონოსნები - **ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოები**. *„ეს არ არის მხოლოდ 1976 წელს გადაღებული ფილმის რიმეიქი*, - აღნიშნა ჰოლივუდის ვარსკვლავმა. - *ეს რაღაც უნიკალურია. სიყვარულის ლამაზი ისტორია, რომელიც არავის დატოვებს გულგრილს“.*

ძმებმა კლიჩკოებმაც ასევე წარმოადგინეს თავიანთი რომანტიული ხასიათი.

*„როკის პრობლემა აქვს - მე შემიყვარდა ედრიანი“*, - აღნიშნა ვლადიმერმა მიუზიკლის ხილვის შემდეგ. სტალონემ მადლობა გადაუხადა ორკესტრსა და მთელს სამსახიობო ჯგუფს: *„თქვენ მე სიცილი და ტირილი მაიძულეთ. სიხარული მომანიჭეთ იმის გამო, რომ გავჩნდი ამ ქვეყანაზე“*, - ამ სიტყვებით დაასრულა პრეზენტაცია სტალონემ.

# კამაჩო გამორთეს

მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის, პუერტორიკოელი **ექტორ კამაჩოს** ოჯახმა მძიმე გადაწყვეტილება მიიღო. როგორც იცით, მოკრივე შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლი გახდა - მას ცეცხლსასროლი იარაღით მძიმე ჭრილობები მაშინ მიაყენეს, როცა მის ავტომობილს უცნობებმა ცეცხლი გაუხსნეს.

50 წლის მოკრივე საავადმყოფოში გადაიყვანეს. თავდაპირველად, ექიმები კამაჩოს გადარჩენის შანსებს საკმაოდ მაღლა აფასებდნენ. ამბობდნენ, რომ სპორტსმენს გადაადგილებასთან დაკავშირებით შეექმნებოდა პრობლემები, რადგან ერთმა ტყვიამ ხერხემალი დააზიანა. მაგრამ საბედისწერო აღმოჩნდა ტყვია, რომელიც კამაჩოს თავში მოხვდა, მოგვიანებით ექიმებმა ტვინის სიკვდილი დააფიქსირეს და პუერტორიკოელის ოჯახმა გადაწყვიტა აპარატიდან გამორთოს მოკრივე.

ეს უსიამოვნო პროცედურა დღეს შესრულდება და მას შემდეგ, რაც ოფიციალურად დაფიქსირდება მოკრივის სიკვდილი, მის ორგანოებს ტრანსპლანტაციისთვის გამოიყენებენ.



ექტორ კამაჩო

● დოპინგი

# ისევ რუსული დოპინგი

2004 წლის ათენის ოლიმპიურ თამაშებზე აღებული დოპინგ-სინჯების შემოწმების შემდეგ აკრძალული პრეპარატის მიღებაშია მხილებული ორი რუსი სპორტსმენი, აგრეთვე თითო სპორტსმენი უკრაინიდან და ბელარუსიდან.

ჯერჯერობით არ სახელდება სპორტსმენთა გვარები, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ყველანი ოლიმპიური პრიზიორები არიან, ერთ-ერთი კი ოქროს მედლის მფლობელია.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესების თანახმად, ოლიმპიადების დროს აღებული დოპინგ-სინჯები რვა წლის განმავლობაში ინახება. ამ პერიოდის განმავლობაში, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს აქვს ამ სინჯების შემოწმების უფლება, თუ ამის აუცილებლობა დადგება დღის წესრიგში.

2012 წლის აგვისტოში, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სინჯების შემოწმება გადაწყვიტა და ეს ოთხი სპორტსმენიც ამ დროს გამოიჭირეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
9 772233 382000

## მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608